ბასკო

სასკოლო მგზაობის პროგრამა

ბასკო

სასკოლო მზაობის პროგრამა

5-6 წლის ბავშვებისთვის

თბილისი, 2014

www.polskapomoc.gov.pl

პუბლიკაცია "ბასკო - სკოლამდელი მზაობის პროგრამა" შექმნილია პროექტის "სასკოლო მზაობის ცენტრები საქართველოში" ფარგლებში. პროექტი თანადაფინანსებულია პოლონეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს საერთაშორისო დახმარების პროგრამის ფარგლებში.

Opracowanie „Program kształtowania gotowości szkolnej - Basko (dla dzieci w wieku 5-6 lat)" powstało w ramach realizacji projektu „Centra gotowości Szkolnej w Gruzji". Projekt współfinansowany w ramach programu polskiej współpracy rozwojowej Ministerstwa Spraw Zagranicznych RP.

ავტორები:
ნინო ალელიშვილი
თამარ ბაქრაძე
ოლღა მუსხელიშვილი
მარია მაგდალენა ფერენცი
ნინო ჯიჯავაძე

Autorzy:
Nino Alelishvili
Tamar Baqradze
Olga Muskhelishvili
Maria Magdalena Ferenc
Nino Jijavadze

მხატვრები:
ნინო ჯიჯავაძე
სოფო ელიაშვილი

Opracowanie graficzne:
Nino Jijavadze
Sofo Eliashvili

პროექტის კოორდინატორი
მაჟენა რაფალსკა

Koordynator programu
Marzena Rafalska

ISBN 978-9941-0-7237-6

მოცემული პუბლიკაცია გამოხატავს მხოლოდ ავტორების შეხედულებებს, რაც შეიძლება არ ემთხვეოდეს პოლონეტის რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს ოფიციალურპოზიციას

Publikacja wyraża wyłącznie poglądy autora i nie może być utożsamiana z oficjalnym stanowiskiem Ministerstwa Spraw Zagranicznych RP.

წინასიტყვაობა

ბავშვები ჩვენი მომავალია - ამ ფრაზას ხშირად გაიგონებთ როცა საუბარია ბავშვების ცხოვრების და მათი სამყაროს გაუმჯობესებაზე.

ბავშვები ჩვენი აწმყოა - ეს არის თეზისი, რომელსაც ჩვენ ვეყრდნობით ჩვენს საქმიანობაში. ბავშვების მომავლისათვის უნდა ვიმუშაოთ აქ და ახლა. ბავშვის საგანმანათლებლო და ცხოვრებისეულ წარმატებას საფუძველი ეყრება ადრეულ ასაკში. ადრეული განათლება ანვითარებს ბავშვის თანდაყოლილ პოტენციალს, აყალიბებს მის სოციალურ კომპეტენციებს, ამზადებს სკოლაში სწავლისთვის. ამიტომ ძალიან მნიშვნელოვანია, რომ სკოლამდელი განათლება იყოს მაღალი ხარისხის და რაც შეიძლება ბევრი ბავშვისთვის იყოს ხელმისაწვდომი.

საქართველოში სკოლამდელი განათლების ორგანიზება არის ადგილობრივი თვითმმართველობის ექსკლუზიური უფლება. ხშირად ეკონომიკური ფაქტორები განაპირობებს იმას, რომ სკოლამდელი განათლება ნაკლებად არის ხელმისაწვდომი რეგიონებში. ჩვენი ორგანიზაციების მიერ შემუშავებული სკოლამდელი განათლების ალტერნატიული მოდელი აძლევს ადგილობრივ თვითმმართველობებს დამატებით შესაძლებლობებს, რადგანაც არის იაფი და მორგებულია ადგილობრივ პირობებზე.

ხელმისაწვდომობა არის საფუძველი, მაგრამ არანაკლებ მნიშვნელოვანია სკოლამდელი განათლების ხარისხი. ხარისხი - ეს არის სწავლების კარგი პროგრამა, კვალიფიცირებული და შემოქმედი მასწავლებელი, მშობლები, რომლებიც ჩართულები არიან სასწავლო პროცესში. აგრეთვე, ხარისხი არის სუფთა და ბავშვის საჭიროებებზე მორგებული სასწავლო ოთახი, შესაბამისად აღჭურვილი განმავითარებელი მასალებით, წიგნებითა და სათამაშოებით.

ამ წიგნში განხილული მოდელი აპრობირებულია პოლონეთის რესპუბლიკაში, და ჩვენი ანალიზით მისი კომპლექსური დანერგვა იძლევა სკოლამდელი განათლების ხარისხის ამაღლების გარანტიას და გვაძლევს საშუალებას მივაღწიოთ სასკოლო მზაობის მაღალ დონეს. საქართველოში სკოლამდელი განათლების ხელშეწყობისთვის ჩვენ განვახორციელეთ 7 პროექტი პოლონეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს დაფინანსებით, პოლონეთის დახმარების პროგრამის ფარგლებში, და ყოველი მომდევნო პროექტი იყო შემდეგი საფეხური ჩვენი კონცეფციის განვითარებისა და არეალის გაფართოებისათვის.

კივიტასისა და ედუკატორის 2008 წელს დაწყებულმა ერთობლივმა, თანმიმდევრულმა მუშაობამ მიგვიყვანა დღევანდელ შედეგამდე - ალტერნატიული სკოლამდელი განათლების მოდელის შემუშავება და სრული კონცეპტუალიზაცია. ჩვენ მოვამზადეთ სწავლების პროგრამა "ბასკო", შეფასების ინსტრუმენტი ბავშვის განვითარების და სასკოლო მზაობის დონის შესაფასებლად, და, აგრეთვე, სპეციალური სასწავლო პროგრამა მასწავლებელთა გადამზადებისათვის.

პროგრამა "ბასკო", რომელსაც ჩვენ ვთავაზობთ მასწავლებლებს, მშობლებს, თვითმმართველობის წარმომადგენლებს და ყველა სხვა დაინტერესებულ პირს, შექმნილია ჩვენი კონცეფციის ფარგლებში, და აუცილებლად მოუტანს სარგებელს საქართველოს ბავშვებს. ვიტოვებ იმედს, რომ ეს წიგნი ხელს შეუწყობს მათი უკეთესი მომავლის შანსების ამაღლებას.

მაჟენა რაფალსკა,
პროექტის კოორდინატორი,
საზოგადოება "ედუკატორი"

პროგრამის ავტორები

ნინო ალელიშვილი

თამარ ბაქრაძე

ოლღა მუსხელიშვილი

მარია მაგდალენა ფერენცი

ნინო ჯიჯავაძე

ლიცენზია Creative Commons Attribution 3,0 Poland (CCBY 3.0 PL) საფუძველზე საავტორო უფლებები პუბლიკაციაზე "სასკოლო მზაობის პროგრამა ბასკო (5-6 წლის ბავშვებისათვის)"ეკუთვნის ორგანიზაციას SOSPPiN „Edukator" ლომჟაში. ნებისმიერი მასალების გამოყენება ნებადართულია მოცემულ ლიცენზიაზე, საავტორო უფლებების მქონე ორგანიზაციაზე და პოლონეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს 2014 წლის თანამშრომლობის პროგრამაზე (რომლის ფარგლებშიც შეიქმნა ეს პუბლიკაცია) ინფორმაციის მიწოდებით.

„Program kształtowania gotowości szkolnej - Basko (dla dzieci w wieku 5-6 lat)" jest dostępny na licencji Creative Commons Uznanie autorstwa 3.0 Polska. Pewne prawa zastrzeżone na rzecz SOSPPiN „Edukator" w Łomży. Utwór powstał w ramach programu polskiej współpracy rozwojowej realizowanej za pośrednictwem MSZ RP w roku 2014. Zezwala się na dowolne wykorzystanie utworu, pod warunkiem zachowania ww. informacji, w tym informacji o stosowanej licencji, o posiadaczach praw oraz o programie polskiej współpracy rozwojowej.

სარჩევი

სასკოლო მზაობის ცენტრები 7
ავტორებისგან 11

ნაწილი I – ბასკოს პრინციპები 13

ნაწილი II – მეთოდოლოგია 18
პოზიტიური გარემო ჯგუფში 18
წესები ჯგუფში. რთული ქცევის მართვა 20
თამაშის პედაგოგიკა 22
მასწავლებლის როლი 23
დღის განრიგი 24
ბავშვისადმი ინდივიდუალური მიდგომა 25
განსხვავებულობა და თანაბარი მონაწილეობა სკოლამდელ განათლებაში 28
ბავშვის პორტფოლიო 30
მშობლებთან თანამშრომლობა 30
თემატური სწავლება 31
რას ნიშნავს თემატური სწავლება 31
- ჯგუფის სივრცე 32
- როგორ გავანაწილოთ ბავშვები ცენტრებში 34
- ეზოს აქტივობები 35
- წლიური გეგმა 36

ნაწილი III – სწავლისა და განვითარების სფეროები, შედეგები და ინდიკატორები ... 38
ბავშვის განვითარების სფეროები და გამჭოლი კომპეტენციები 38

შედეგები და ინდიკატორები 38
გამჭოლი კომპეტენციები 39
სფერო - შემეცნება და ზოგადი ცოდნა 43
სფერო - სოციალურ-ემოციური განვითარება 50
სფერო - მეტყველების განვითარება და წიგნიერება? 52
სფერო - ესთეტიკა და კულტურა 54
სფერო - ჯანმრთელობა და ფიზიკური განვითარება 56

ნაწილი IV – ბავშვის განვითარების შეფასების ინსტრუმენტი 58
ბავშვის განვითარების შეფასება 58
ბავშვზე დაკვირვება 58
დაკვირვების ცხრილის შედგენა 58
შედეგების შეჯამება 70
შედეგების ინტერპრეტირება 72

ნაწილი V – დანართები 74
დანართი 1. წერილი მშობლებს 74
დანართი 2. წლის გეგმა 75
დანართი 3. კვირის გეგმა 76
დანართი 4. თკვირის თემის ნიმუშები 79
I თემა: ხორბლის გრძელი გზა 79
II. თემა: სახლები 82

გამოყენებული ლიტერატურა: 87

სასკოლო მზაობის ცენტრები

როგორ დაიწყო...

სასკოლო მზაობის პროგრამა "ბასკო" (ბაღიდან სკოლამდე) შეიქმნა პოლონურ-ქართული პროექტის ფარგლებში სპეციალურად სასკოლო მზაობის ჯგუფებისთვის. პროექტს, რომლის სახელწოდებაც არის "სასკოლო მზაობის ცენტრები საქართველოში" ახოციელებს საერთაშორისო ასოციაცია "კივიტას გეორგიკა" პოლონეთის არასამთავრობო ორგანიზაცია "ედუკატორ"-თან თანამშრომლობით და პოლონეთის რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს დაფინანსებით. უნდა აღინიშნოს, რომ ეს ორგანიზაციები - "კივიტას გეორგიკა" და "ედუკატორი" - 2007 წლიდან თანამშრომლობენ საქართველოში სკოლამდელი განათლების ხელმისაწვდომობის გაზრდისა და მისი ხარისხის ამაღლების მიზნით.

დღეს საქართველოში თითქმის არავინ აყენებს ეჭვიქვეშ სკოლამდელი განათლების მნიშვნელობას ბავშვის განვითარებისათვის, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ბევრ სოფელში საბავშვო ბაღები არ არსებობს, ან იმდენად გადატვირთულია, რომ საგანმანათლებლო დაწესებულების ფუნქციას ვეღარ ასრულებს. მწვავედ დგას სკოლამდელი განათლების ხელმისაწვდომობის საკითხი, მაგრამ ხშირად ადგილობრივ თვითმმართველობას არ ყოფნის სახსრები ახალი ბაღების ასაშენებლად, ზოგან კი ასეთი ბაღის აშენება არც არის რაციონალური სკოლამდელი ასაკის ბავშვების სიმცირის გამო. ასეთ შემთხვევაში საჭირო ხდება სკოლამდელი განათლების სხვა, ალტერნატიული ფორმების გამოყენება.

ერთ-ერთი ასეთი ფორმა, რომელსაც საქართველოში ამკვიდრებენ ორგანიზაციები "კივიტას გეორგიკა" და "ედუკატორი", არის ნახევარდღიანი "სკოლამდელი განათლების ცენტრები", 3-დან 6 წლამდე ბავშვებისთვის (დაწვრილებითი ინფორმაცია ამ მოდელის შესახებ შეგიძლიათ იხილოთ საიტზე: www. civitas.ge ან www.preskola.ge). 2008 წლიდან საქართველოს რეგიონებში ასეთი 100-ზე მეტი ცენტრი შეიქმნა მუნიციპალიტეტებთან თანამშრომლობით და სხვადსხვა დონორების დაფინანსებით.

სკოლამდელი განათლების კიდევ ერთი ალტერნატიული მოდელი - სასკოლო მზაობის ცენტრები - არის აგრეთვე ორგანიზაციების "კივიტას გეორგიკა" და "ედუკატორი" ინიციატივა. ეს მოდელი უზრუნველყოფს 5 წლის ბავშვებისთვის სკოლამდელი განათლების მიწოდებას და სკოლისთვის მათ მომზადებას იმ დასახლებულ პუნქტებში, სადაც მიუწვდომელია სკოლამდელი განათლების სხვა ფორმები.

სახელწოდებამ - სასკოლო მზაობის ცენტრი - არ უნდა გვაფიქრებინოს, რომ ასეთი ჯგუფი ემსახურება მხოლოდ ბავშვის სკოლისთვის მომზადებას ამ ცნების ვიწრო გაგებით. რეალურად, ის ასრულებს იგივე ფუნქციას, რასაც სტანდარტული საბავშვო ბაღის დამამთავრებელი ჯგუფი და ორიენტირებულია ბავშვის ჰოლისტურ განვითარებაზე. სასკოლო მზაობა ასეთი განვითარების ერთ-ერთი კონკრეტული შედეგია.

როგორ მუშაობს...

სასკოლო მზაობის ჯგუფი ფუნქციონირებს სკოლის შენობაში, სადაც იკავებს ერთ ან ორ საკლასო ოთახს. ეს ოთახები არ არის მოწყობილი, როგორც სტანდარტული კლასები და მეცადინეობა არ მიმდინარეობს მერხებთან ჯდომისა და მოსმენის ფორმით, არამედ ის წააგავს საბავშვო ბაღის ჯგუფის ოთახს - ხალიჩა, 4-6 ბავშვზე გათვლილი დაბალი მაგიდები, ბევრი სხვადასხვა სათამაშო და თემატური კუთხეები. როგორც უკანასკნელ წლებში საქართველოს გამოცდილებამ აჩვენა, სწავლის "სასკოლო" ფორმა ხუთი წლის ბავშვისთვის არაეფექტური და ზოგჯერ მავნეცაა. ამ ასაკში ბავშვის ქცევის წამყვანი ფორმა არის თამაში და ეს, ისევე როგორც ბავშვის სხვა ასაკობრივი თავისებურებები, აუცილებლად არის გასათვალისწინებელი სწავლების მეთოდიკის შერჩევის დროს. ამიტომ სწავლების მთავარ მეთოდიკად სასკოლო მზაობის ცენტრებში მიღებულია თამაშის პედაგოგიკა.

როგორც წესი, ჯგუფში გაერთიანებულია 16-20 ბავშვი. ეს რაოდენობა ოპტიმალურია საერთაშორისო გამოცდილებით და შეესაბამება საქართველოს სინამდვილესაც. ეს აძლევს მასწავლებელს შესაძლებლობას ინდივიდუალურად მიუდგეს თითოეულ ბავშვს, გაითვალისწინოს მისი ინტერესები და შესაძლებლობები და, შესაბამისად, მაქსიმალურად შეუწყოს ხელი მათი პოტენციალის განვითარებას.

ინდივიდუალური მიდგომა ყოველი ბავშვისადმი - ეს არის სასკოლო მზაობის ცენტრის მუშაობის მთავარი პრინციპი. ყოველი ბავშვი განსაკუთრებულია, აქვს განვითარების საკუთარი ტემპი, განსხვავებული

ტემპერამენტი, ინტერესები. ბავშვები ცენტრში მოდიან განსხვავებული ტრადიციებისა და შეხედულებების ოჯახებიდან. ამიტომაც უნიფიცირებული მიდგომა ჯგუფისადმი ვერ მოიტანს სასურველ შედეგებს. მასწავლებელი ძალიან კარგად უნდა იცნობდეს თითოეული ბავშვის თავისებურებებს, რათა მაქსიმალურად შეუწყოს ხელი მისი პოტენციალის გახსნას.

ჯგუფი მუშაობს კვირაში 5 დღე, დღეში 4 საათის განმავლობაში. საერთაშორისო გამოცდილებამ აჩვენა, რომ ეს დრო (კვირაში 20 საათი) საკმარისია ბავშვისთვის ხარისხიანი სკოლამდელი განათლების მიწოდებისთვის, თუ მასწავლებელი მუშაობს სპეციალურად შემუშავებული პროგრამის მიხედვით. ამიტომ განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს მასწავლებლის კვალიფიკაციას.

ბავშვებთან მუშაობს 2 ადამიანი - მასწავლებელი და მასწავლებლის თანაშემწე. სკოლამდელ დაწესებულებებში მომუშავე მასწავლებლების კვალიფიკაციის საკითხი საქართველოში ჯერ-ჯერობით მოგვარებული არ არის. რა თქმა უნდა, სასურველია მას ჰქონდეს პედაგოგიური განათლება, თუმცა პატარა სოფლებში ხშირად არ მოიძებნება დიპლომირებული მასწავლებელი. ზოგჯერ კი უმაღლესის დიპლომიც არ არის საჭირო კვალიფიკაციის გარანტია. გამოსავალი შეიძლება იყოს მასწავლებელთა გადამზადების სპეციალური პროგრამები, ტრენინგები, კონსულტაციები. ამიტომ სასკოლო მზაობის ცენტრების მასწავლებლები აუცილებლად გადიან 64-საათიან ტრენინგს. ტრენინგი ტარდება ორ ნაწილად - ცენტრის მუშაობის დაწყებამდე და დაწყებიდან ერთი თვის შემდეგ. ტრენინგზე განიხილება 5 წლის ბავშვის ასაკობრივი თავისებურებები, ჯგუფში მუშაობის მეთოდიკა, მისაღწევი შედეგები და მათი შეფასების ინდიკატორები. შესაბამისი ტრენინგის მოდული აგრეთვე შემუშავდა პროექტის ფარგლებში.

მასწავლებელთან ერთად, მნიშვნელოვანი ფუნქცია აკისრია მის თანაშემწესაც. თანაშემწის როლს, ამ მოდელში, მორიგეობით ასრულებენ მშობლები. ჩვეულებრივად, მშობლები არ უთმობენ საკმარის დროს ბავშვის განვითარებას. ხშირად ეს გამოწვეულია იმით, რომ მათ უბრალოდ არ იციან, რამდენად არის სკოლამდელი განათლება მნიშვნელოვანი. გარდა ამისა, უმრავლესობას არ აქვს საჭირო ცოდნა, ან უბრალოდ ვერ ან არ იცლიან ბავშვისთვის. სასკოლო მზაობის ცენტრები კი ორიენტირებულია სწორედ ბავშვის განვითარებაზე. გარდა ამისა, ეს ცენტრები, სხვა უნარებთან ერთად, უზრუნველყოფს ბავშვის სოციალური უნარების განვითარებას, რაც ოჯახის პირობებში ფაქტიურად შეუძლებელია, თუნდაც მშობლებს ჰქონდეთ კვალიფიკაცია, დრო და სურვილი ყველა სხვა უნარების განვითარებისათვის.

თანაშემწის როლის შესრულება მშობლების მხრიდან უზრუნველყოფს მათ ჩართულობას სკოლამდელი ჯგუფის საქმიანობაში და თავიანთი ბავშვების განვითარებაში. მჭიდრო თანამშრომლობა მასწავლებელთან არის მშობლებისთვის ერთგვარი პედაგოგიური სკოლა. მასწავლებელი, თავის მხრივ, უკეთესად ხედავს ოჯახების ინტერესებს, საჭიროებებს და თავისებურებებს, რაც, საბოლოო ჯამში, ხელს უწყობს პედაგოგიური პროცესის ხარისხის ამაღლებას.

იაფი და ხარისხიანი...

შემოთავაზებული მოდელი საშუალებას იძლევა მინიმალური დანახარჯებით მნიშვნელოვანი შედეგები იქნას მიღწეული სასკოლო მზაობის ამაღლების საქმეში. რამდენადაც სასკოლო მზაობის ჯგუფში ბავშვები ატარებენ მხოლოდ 4 საათს დღეში, ამიტომ კვება არ არის გათვალისწინებული. შესაბამისად, სტანდარტული საბავშვო ბაღისგან განსხვავებით, ასეთი ცენტრისთვის არ არის საჭირო რთული ინფრასტრუქტურა და დამატებითი შტატები, ტენდერების და შესყიდვების განხორციელება. საკმარისია ერთი საკლასო ოთახი და ერთი მასწავლებელი. სკოლის კომუნალურ ხარჯებს ერთი დამატებითი კლასის ფუნქციონირება მნიშვნელოვნად ვერ გაზრდის. ჯგუფის შენახვისთვის საჭიროა ერთი მასწავლებლის ხელფასის და სახარჯი მასალის (სათამაშოები, ფანქრები, პლასტელინი, ფურცლები, წიგნები და ა.შ.) შეძენისთვის საჭირო თანხის გამოყოფა. ეს არ არის დიდი თანხა.

ნებისმიერ მუნიციპალიტატს აქვს ფინანსური საშუალება გამოიყენოს ეს მოდელი და გახსნას სასკოლო მზაობის ჯგუფები ისეთ სოფლებში, სადაც არის სკოლა, მაგრამ არ არსებობს საბავშვო ბაღი. აგრეთვე, სასკოლო მზაობის ჯგუფის ფუნქციონირების ხარჯები შეუძლია საკუთარ თავზე აიღოს სკოლამაც, ვინაიდან სწორედ სკოლაა ყველაზე უფრო დაინტერესებული მიიღოს პირველ კლასში მომზადებული ბავშვები, რომლებსაც არ აქვთ პრობლემები სასკოლო მზაობის თვალსაზრისით.

სასკოლო მზაობის ჯგუფებისთვის სპეციალურად შემუშავდა პროგრამა "ბასკო". ეს პროგრამა დაეხმარება მასწავლებლებს მკაფიოდ დაინახონ მისაღწევი შედეგები, სწორად დაგეგმონ საკუთარი საქმიანობა და შეაფასონ, თუ რამდენად მიაღწიეს დასახულ მიზანს. ეს პროგრამა, ისევე, როგორც სხვა მეთოდური მასალები, შემუშავებული "კივიტას გეორგიკას" და "ედუკატორის" პროექტის ფარგლებში, ეყრდნობა გაეროს ბავშვთა ფონდის და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ შემუშავებულ ადრეულ ასაკში ბავშვის განვითარების სტანდარტებს და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დამტკიცებულ სკოლამდელი განათლების მიზნებს.

ავტორებისგან

დაბადებიდან 6 წლამდე ასაკი ჩვენი ცხოვრების უმნიშვნელოვანესი პერიოდია. სწორედ ამ ასაკში ყველაზე ინტენსიურად ვითარდება ადამიანის ფიზიკური და გონებრივი შესაძლებლობები; ყალიბდება ღირებულებითი და ესთეტიკური დამოკიდებულებები, ვითარდება მისი თანდაყოლილი უნარები. ადრეულ ასაკში მიღებული გამოცდილება მნიშვნელოვან როლს თამაშობს ადამიანის პიროვნული, სოციალური და აკადემიური პოტენციალის განსაზღვრაში და გამოვლენაში. ამიტომაც ანიჭებენ პედაგოგები და ფსიქოლოგები ესოდენ დიდ ყურადღებას ბავშვის ადრეულ განვითარებას.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, საჭიროა არსებობდეს ხარისხიანი სასწავლო პროგრამები სკოლამდელი დაწესებულებებისთვის. სწორედ ამიტომ გადავწყვიტეთ შეგვექმნა პროგრამა "**ბა**ღიდან **სკო**ლამდე", შემოკლებით - **ბასკო**. ბასკო განკუთვნილია 5-6 წლის ასაკის ბავშვებისათვის და მისი მიზანია ხელი შეუწყოს ბავშვების მრავალმხრივ განვითარებას და სკოლისთვის მომზადებას.

პროგრამას წარმოგიდგენთ ჩვენი საყვარელი ბუ.

თავიდან შევთანხმდით, რომ ბუ ბასკო წარმოადგენდა პროგრამის თითოეულ თავს. მაგრამ ჩვენი ბუ ბასკო ძალიან მოუსვენარია და წამდაუწუმ ჩნდება ტექსტში თავისი რეკომენდაციებით მასწავლებლებისათვის. მიგვაჩნია, რომ ბასკოს რჩევები სასარგებლო და პრაქტიკულია, ამიტომ ვიმედოვნებთ, რომ მასწავლებლები ყურადღებით წაიკითხავენ და გამოიყენებენ საკუთარ საქმიანობაში.

პროგრამა მოიცავს ხუთ ძირითად ნაწილს:

- ბასკოს პრინციპები
- მეთოდოლოგია
- სწავლისა და განვითარების სფეროები, შედეგები და შედეგების ინდიკატორები
- ბავშვის განვითარების შეფასების ფორმა
- დანართები

პირველ ნაწილში მოცემულია ის ძირითადი პრინციპები, რომელსაც ეფუძნება პროგრამა ბასკო. პრინციპები ითვალისწინებს სკოლამდელ განათლებაში, განვითარების ფსიქოლოგიასა და ნეირომეცნიერებაში დაგროვებულ ცოდნას. ამავე დროს, ზოგიერთი მათგანი ღირებულებითი ხასიათისაა და ბავშვის უფლებების პერსპექტივიდან გამომდინარეობს. ბასკოს ძირითადი პრინციპები წარმოადგენს პროგრამის დანარჩენი ნაწილების ამოსავალ წერტილს და, შესაბამისად, სკოლამდელი განათლების ეტაპზე ყოველდღიური საქმიანობის დაგეგმვის, ბავშვისადმი და მისი ოჯახისადმი დამოკიდებულებისა და პედაგოგის თვით-რეფლექსიის ბაზისს.

პროგრამის მეორე ნაწილი - *მეთოდოლოგია* - ეძღვნება იმ მეთოდებს, რომელთა გამოყენებას ბასკო სთავაზობს სკოლამდელი ასაკის ბავშვებთან მომუშავე მასწავლებლებს. ის მოიცავს მასწავლებლის საქმიანობის დაგეგმვის, წარმართვის და შეფასების ძირითად ასპექტებს:

- პოზიტიური გარემო ჯგუფში
- წესები ჯგუფში და რთული ქცევის მართვა
- თამაშის პედაგოგიკა
- მასწავლებლის როლი
- დღის განრიგი
- ბავშვისადმი ინდივიდუალური მიდგომა
- განსხვავებულობა და თანაბარი მონაწილეობა სკოლამდელ განათლებაში
- ბავშვის პორტფოლიო
- მშობლებთან თანამშრომლობა.

პროგრამის მეორე ნაწილში აგრეთვე განხილულია თემატური სწავლების მეთოდოლოგია და შესაბამისი გარემოს მოწყობის პრინციპები.

პროგრამის მესამე ნაწილში მოცემულია 5-6 წლის ასაკში მისაღწევი სასურველი შედეგები ბავშვის განვითარებისა და სწავლის სფეროების მიხედვით და აგრეთვე შესაბამისი ინდიკატორები, რომლებიც საშუალებას იძლევა დავადგინოთ, არის თუ არა მიღწეული სასურველი შედეგი.

ამ ნაწილში ბასკო ეყრდნობა "ადრეულ ასაკში სწავლისა და განვითარების სტანდარტებს", რომელიც შემუშავდა 2008 წელს ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრის მიერ გაეროს ბავშთა ფონდის UNICEF ხელშეწყობით.

გასათვალისწინებელია, რომ მოყვანილი შედეგები საორიენტაციო ხასიათისაა და მათი გამოყენება უნდა მოხდეს არა ბავშვების კატეგორიზებისთვის (მაგალითად, „სუსტია მათემატიკურ უნარებში", ან „ვერ მეგობრობს თანატოლებთან"), არამედ ყოველდღიური საქმიანობის ისე წარმართვისთვის, რომ თითოეულ ბავშვს, მისი სურვილებიდან, უნარებიდან და შესაძლებლობებიდან გამომდინარე, მიეცეს მრავალფეროვან აქტივობებში მონაწილეობისა და მრავალმხრივი განვითარების საშუალება.

მეოთხე ნაწილში მოცემულია ბავშვის განვითარების შეფასების ინსტრუმენტი, რომელიც შემუშავდა სპეციალურად მოცემული პროგრამისათვის.

მეხუთე ნაწილში, დანართების სახით, მოყვანილია დოკუმენტაციის ფორმები და სხვა მასალა, რომელიც მასწავლებელს დაეხმარება მისი ყოველდღიური საქმიანობის დაგეგმვასა და ორგანიზებაში.

პროგრამა ბასკო, როგორც აღვნიშნეთ, დაიწერა წინა სასკოლო წლისათვის, ანუ იგულისხმება, რომ განკუთვნილია 5-6 წლის ბავშვებისათვის და მისი გამოყენება შესაძლებელია მხოლოდ წინასასკოლო დაწესებულებებში. მაგრამ რეალურად ამ ასაკის ბავშვებზე არის ორიენტირებული მხოლოდ ბასკოს მეოთხე ნაწილი - შედეგები და ინდიკატორები. ამის გათვალისწინებით (ანუ მესამე ნაწილის გარეშე), ბასკოს გამოყენება შესაძლებელია ნებისმიერ სკოლამდელ დაწესებულებაში, ყველა ასაკობრივ ჯგუფში. ამიტომ იმედს ვიტოვებთ, რომ პროგრამა ბასკო საინტერესო და სასარგებლო იქნება არა მხოლოდ სასკოლო მზაობის ჯგუფების მასწავლებლებისათვის, არამედ სკოლამდელი დაწესებულებების გაცილებით ფართო წრისათვის.

ნაწილი I

ბასკოს პრინციპები

პროგრამა ბასკო ეყრდნობა რვა ძირითად პრინციპს:

❖ *სკოლამდელი ასაკი წარმოადგენს თავისთავად ღირებულ პერიოდს ადამიანის ცხოვრებაში*

სკოლამდელი განათლება არ უნდა იყოს განხილული როგორც მხოლოდ სკოლისთვის მოსამზადებელი პერიოდი. სკოლაზე მუდმივად ორიენტირება ადრეულ განათლებას ხშირად უკარგავს იმ ღირებულებას, რომელსაც ბავშვობა თავისთავად ატარებს, ხოლო პედაგოგიურ პრაქტიკას გადააქცევს სპეციფიკური ცოდნის გადაცემის პროცესად, ცოდნისა, რომელიც „საჭიროა სკოლაში წარმატებისთვის“. ბავშვობა არ არის მხოლოდ ზრდასრულობისთვის მოსამზადებელი პერიოდი. ის თავისთავად ღირებული, განსხვავებული და საინტერესო ეტაპია თითოეული ადამიანის ცხოვრებაში. ბავშვები თავისებურად ხედავენ სანყაროს. ხშირად ის, რაც ზრდასრულებს უმნიშვნელოდ მიაჩნიათ, ბავშვისთვის, შესაძლოა, ძალიან ბევრს ნიშნავდეს. ამიტომ ბავშვების სწავლება, თამაში, მათთან კომუნიკაცია მათი რეალობიდან და ყოველდღიური ცხოვრებიდან უნდა გამომდინარეობდეს, რადგან სწორედ ეს შექმნის საუკეთესო პირობას მომავალი წარმატებისთვის.

❖ *თითოეული ბავშვი განსაკუთრებულია*

თითოეული ბავშვი განსაკუთრებული და გამორჩეულია თავისი ინდივიდუალური თავისებურებებით. მათ უნიკალურობას განაპირობებს გენეტიკური მემკვიდრეობა, გამოცდილება, სოციალური და კულტურული გარემო. ბავშვები განსხვავებულად ვითარდებიან, აქვთ განსხვავებული ტემპერამენტი, აღქმის და დასწავლის სტილი, ტემპი. ჯგუფი, რომელთანაც მასწავლებელი მუშაობს, წარმოადგენს უნიკალური თვისებების მქონე ინდივიდთა ერთობას. სკოლამდელი განათლების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიზანია, თითოეული ბავშვის განსაკუთრებულობის პატივისცემასთან და ინდივიდუალობის ხელშეწყობასთან ერთად, ჯგუფის საერთო ღირებულებების, ურთიერთპატივისცემისა და მეგობრულად თანაცხოვრების კულტურის ჩამოყალიბება. თითოეული ბავშვის ინდივიდუალობისა და განსაკუთრებულობის მიღება და დაფასება ამდიდრებს სკოლამდელი განათლების პროცესს

და უფრო საინტერესოს ხდის მას, როგორც ბავშვებისთვის, ისე ზრდასრულებისთვის. **ინდივიდუალური მიდგომა ყოველი ბავშვისადმი** არის ხარისხიანი სკოლამდელი განათლების აუცილებელი პირობა.

❖ *ბავშვის უფლებების პატივისცემა და რეალიზება წარმოადგენს ხარისხიანი განათლების ქვაკუთხედს*

ბავშვისადმი ინდივიდუალური მიდგომა გულისხმობს როგორც მისი ინტერესების, ტემპერამენტისა და განვითარების ტემპის გათვალისწინებას, აგრეთვე მისი, როგორც პიროვნების აღიარებასა და პატივისცემას, მისი უფლებების დაცვას.

ბავშვის უფლებათა კონვენციის თანახმად, განურჩევლად ყველა ბავშვს აქვს სიცოცხლის, ზრდისა და განვითარების, განათლების, თამაშის, თავისუფალი აზრის გამოხატვის და თანამონაწილეობის უფლება ყველა იმ საკითხში, რომელიც მას უშუალოდ ეხება. ბავშვი არის პიროვნება, მას აქვს უფლება დაკმაყოფილებული ჰქონდეს პირველადი მოთხოვნილებები (კვება, წყალი, სუფთა ჰაერი, ძილი), უფლება გაიზარდოს და განვითარდეს მზრუნველ, უსაფრთხო გარემოში, სადაც დაცული იქნება ნებისმიერი სახის ძალადობისგან.

ხარისხიანი სკოლამდელი განათლება გულისხმობს ბავშვების ჩართვას ისეთ საგანმანათლებლო პროცესში, სადაც მათ აქვთ თვითგამოხატვის საშუალება, მათ აზრს პატივს სცემენ და ითვალისწინებენ ყოველდღიური აქტივობების დაგეგმვისას.

❖ *ბავშვი ყველაზე უკეთესად სწავლობს ძიების პროცესში, შეცდომების დაშვებისა და გამოსწორების გზით, დამოუკიდებელი არჩევანისა და გადაწყვეტილებების მიღების საშუალებით*

მნიშვნელოვანია ადრეულ ასაკში ხელი შევუწყოთ ბავშვის დამოუკიდებლობას, წავახალისოთ გააკეთოს არჩევანი, ჩავრთოთ გადაწყვეტილების მიღების პროცესში. ამით დავეხმარებით მას ჩამოყალიბდეს ისეთ მოქალაქედ, რომელსაც შეუძლია პასუხისმგებლობის საკუთარ თავზე აღება.

„ბავშვის უფლებათა კონვენცია“ მიიღო გაეროს გენერალურმა ასამბლეამ 1989 წლის 20 ნოემბერს, ხოლო ძალაში შევიდა 1990 წლის სექტემბერში. დოკუმენტი 54 მუხლისაგან შედგება და მოიცავს არა მარტო სამოქალაქო და პოლიტიკურ, არამედ სოციალურ და ეკონომიკურ უფლებებსაც. ამ მხრივ კონვენციას გამორჩეული ადგილი უკავია ადამიანთა უფლებების თემაზე შექმნილ დოკუმენტთა შორის. ამავე დროს ამ დოკუმენტმა ყველაზე ფართო საერთაშორისო აღიარება მოიპოვა: კონვენცია რატიფიცირებულია მსოფლიოს ყველა სახელმწიფოს მიერ (გარდა ორისა). საქართველო ამ კონვენციას 1994 წელს შეუერთდა, რაც იმას ნიშნავს, რომ ქვეყანამ კონვენციით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების პასუხისმგებლობა აიღო.

სწავლისა და განვითარების უნარი არის ბავშვის თანდაყოლილი თვისება. იგი დაბადებიდან აქტიურად იწყებს მის ირგვლივ სამყაროს შემეცნებას - დამოუკიდებლად, საკუთარი შესაძლებლობის ფარგლებში, და სხვების დახმარებით. ხუთი წლისათვის ბავშვს უკვე აქვს დაგროვებული ძალიან დიდი ცოდნა, უნარები, გამოცდილება და ეს განვითარების პროცესი გრძელდება. ამ ასაკში ბავშვს ებადება უამრავი შეკითხვა, მისი ინტერესების სფერო სულ უფრო და უფრო ფართოვდება. მნიშვნელოვანია გვახსოვდეს, რომ ბავშვი უკეთესად სწავლობს მაშინ, როცა თვითონვე აღმოაჩენს, გააკეთებს, დააკავშირებს ამა თუ იმ მოვლენებს; ამიტომ საჭიროა მას ჰქონდეს შესაძლებლობა საკუთარ კითხვებზე პასუხი სხვადასხვა აქტივობის მეშვეობით მიიღოს. ეს შეიძლება იყოს დაკვირვება, თამაში, ცდის ჩატარება ან ექპერიმენტირება შესაბამისი მასალით. აუცილებელია მივცეთ ბავშვს შეცდომის დაშვების საშუალება. შეცდომების გაანალიზება და გამოსწორების გზების ძიება სწავლის გაცილებით ეფექტური ფორმაა, ვიდრე ინფორმაციის პირდაპირი გადაცემა.

❖ *უსაფრთხო, მზრუნველი და განმავითარებელი გარემო უმნიშვნელოვანესია ხარისხიანი სკოლამდელი განათლების პროცესის წარმართვისთვის*

განვითარებისა და სწავლისათვის, დამოუკიდებლად ძიებებისთვის ბავშვს ესაჭიროება უსაფრთხო, მზრუნველი და, ზოგადად, განმავითარებელი გარემო. ამ ცნებაში იგულისხმება როგორც ბავშვის სასწავლო საჭიროებებზე გათვლილი ფიზიკური გარემო (სპეციალურად მოწყობილი სივრცე, აღჭურვილობა, განმავითარებელი სათამაშოები და წიგნები, სამუშაო მასალები და ა.შ.), აგრეთვე სოციალური გარემო, რომელსაც ქმნიან სხვა ბავშვები და ზრდასრულები.

❖ *თამაში არის ბავშვისთვის სასიამოვნო და ბუნებრივი საქმიანობა, რომლის საშუალებით ის შეიმეცნებს ფიზიკურ, სოციალურ და კულტურულ სამყაროს*

ხუთი წლის ბავშვის ქცევის ძირითადი ფორმა არის თამაში. თამაში არის მნიშვნელოვანი გამოცდილება, რომელიც საშუალებას აძლევს ბავშვს ისწავლოს, გაიფართოვოს ცოდნის არეალი. ის ხელს უწყობს ბავშვების ფიზიკური, სოციალურ-ემოციური, შემეცნებისა და მეტყველების უნარების განვითარებას. თამაშის დროს ბავშვები იყენებენ ფანტაზიასა და შემოქმედებით უნარებს, სწავლობენ პრობლემის გადაჭრის გზებსა და თანამშრომლობას, გამოხატავენ საკუთარ რეალურ და წარმოსახვით სამყაროს. ცოდნა, რომელსაც ბავშვი თამაშის გზით იღებს და უნარები, რომლებიც მას თამაშისას უვითარდება, ბევრად უფრო მყარად რჩება მის მეხსიერებაში, ვიდრე ფორმალური გზით მიწოდებული ინფორმაცია. ამიტომ აუცილებელია სკოლამდელი განათლება სწორედ თამაშის პრონციპს ემყარებოდეს. სასკოლო მზაობის ჯგუფში ბავშვის ძირითადი საქმიანობა უნდა იყოს თამაში.

❖ *ბავშვის ოჯახთან თანამშრომლობა, ოჯახის ღირებულებების პატივისცემა ხარისხიანი სკოლამდელი განათლების წინაპირობაა*

ადრეულ ასკაში ბავშვის ოჯახი წარმოადგენს ყველაზე მნიშვნელოვან სოციალურ წრეს, სადაც ბავშვი ვითარდება

და სწავლობს. მშობლებთან ურთიერთობა დიდ როლს თამაშობს ბავშვის პიროვნების ჩამოყალიბებაში. ამ ასაკში მშობელი არის ძირითადი მოდელი, მისაბაძი მაგალითი; შესაბამისად, ბავშვის განვითარება დიდწილად დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ მოქმედებს მშობელი ამა თუ იმ სიტუაციაში, როგორ პასუხობს ბავშვის საჭიროებებს, სურვილებს, ქცევას და ა.შ.

მშობლებთან ურთიერთობა საგანმანათლებლო პროცესის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილია. პედაგოგმა პოზიტიური ურთიერთობები უნდა დაამყაროს ბავშვების მშობლებთან და მაქსიმალურად ჩართოს ისინი საგანმანათლებლო პროცესში. მშობელთა მონაწილეობაზე მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული ბავშვის წარმატებული ადაპტაცია სკოლამდელ დაწესებულებაში და აქტიური მონაწილეობა ჯგუფის საქმიანობაში. მშობლებთან თანამშრომლობის პროცესში სკოლამდელი დაწესებულება პატივს უნდა სცემდეს და, შესაძლებლობის ფარგლებში, ითვალისწინებდეს ოჯახის მოთხოვნილებებს და ღირებულებებს, თუმცა ეს არ უნდა მოხდეს ბავშვის უფლებების უგულებელყოფის ხარჯზე. სკოლამდელ დაწესებულებასა და ოჯახს შორის უნდა შედგეს შეთანხმება ბავშვთან მუშაობის ძირითად პრინციპებსა და საერთო მიდგომებზე.

- *ხარისხიანი სკოლამდელი განათლება უზრუნველყოფს ბავშვის ჰოლისტურ განვითარებას*

ადრეულ ასაკში ბავშვის განვითარება არის რთული, კომპლექსური პროცესი, რომელსაც სიმარტივისთვის (და ტრადიციულად) განიხილავენ, როგორც სხვადასხვა სფეროების ერთობლიობას. ეს არის ფიზიკური განვითარება, ინტელექტუალური, ემოციური, სოციალური და ა.შ. ასეთი დაყოფა ზრდასრულებს გვჭირდება ბავშვის შესახებ ცოდნის მოპოვების, ორგანიზებისა და შესაბამისი პრაქტიკული საქმიანობის განხორციელებისთვის, თუმცა ეს დანაწევრება დიდწილად პირობითია, განვითარების სფეროები არ არის ერთმანეთისგან მკვეთრად გამიჯნული. ნებისმიერი თამაშისა თუ აქტივობის დროს ბავშვს სხვადასხვა უნარი უვითარდება, უყალიბდება ღირებულები და იგი იძენს მრავალფეროვან ცოდნას.

ჩვენი მიზანია დავეხმაროთ ბავშვის ყველა უნარის განვითარებას, მივაწოდოთ მას მრავალფეროვანი ცოდნა, შევუწყოთ ხელი ბავშვის ჰოლისტურ ანუ მთლიანობით და ყოველმხრივ განვითარებას.

სწორედ ამ მიზნის მისაღწევად ხდება სკოლამდელი განათლების პროგრამის სტრუქტურირება განვითარების სფეროების მიხედვით. ასეთი მიდგომა გვეხმარება დავგეგმოთ სასწავლო პროცესი, მოვიფიქროთ განმავითარებელი აქტივობები, შევაფასოთ ბავშვის განვითარების დონე და ტემპი. მასწავლებლისთვის უფრო თვალსაჩინო ხდება, რას ნიშნავს ბავშვის ჰოლისტური (ყველა სფეროს მიხედვით თანაბარი) განვითარება, უადვილდება შესაბამისი აქტივობების შერჩევა - უნდა შეეცადოს დაიცვას ბალანსი, და თანაბრად მიაწოდოს ბავშვებს აქტივობები სხვადასხვა განვითარების სფეროდან.

ჯანფრანკო ზავალონი, იტალიელი მასწავლებელი, ეკოლოგი, მოყვარული მეთოჯინე, წიგნების ავტორი და ილუსტრატორი. იგი არის ავტორი მანიფესტისა, რომელიც ეხმარება ბავშვს გაიზარდოს ბუნებასთან ჰარმონიაში:

ბავშვის ბუნებრივი უფლებები

1. ***უფლება იყოს უსაქმოდ***
   ჰქონდეს ისეთი დრო, რომელიც არ არის დაგეგმილი უფროსების მიერ.
2. ***უფლება დაისვაროს***
   ითამაშოს ქვიშით, მიწით, ბალახით, ფოთლებით, წყლის კენჭებით, ქვებითა და პატარა ტოტებით.
3. ***უფლება შეიგრძნოს სხვადასხვა სურნელი***
   ამოიცნოს ის სურნელები, რომლებსაც სთავაზობს ბუნება.
4. ***საუბრის უფლება***
   რათა თავად მოუსმინოს და მას მოუსმინონ.
5. ***უფლება აკეთოს თვითონ***
   დააჭედოს ლურსმნები, გახერხოს და გააშალაშინოს, გამოიყენოს ზუმფარას ქაღალდი, წებო, გამოძერწოს, გადააბას და გაკვანძოს თოკი, დაანთოს ცეცხლი.
6. ***უფლება იცხოვროს ჯანსაღ გარემოში***
   დაბადებიდან მიიღოს ჯანსაღი საკვები, დალიოს სუფთა წყალი და ისუნთქოს სუფთა ჰაერით.
7. ***უფლება ითამაშოს გარეთ***
   თავისუფლად ითამაშოს სკვერში, ისეირნოს ქუჩაში.
8. ***უფლება იყოს ბუნებაში***
   ააშენოს კარავი ტყეში სათამაშოდ, ითამაშოს დამალობანა ლერწმებში და უბრალოდ ხეზე იძრომიალოს.
9. ***უფლება მოუსმინოს სიჩუმეს***
   ქარის ხმა, ჩიტების ჭიკჭიკს, წყლის ჩხრიალს.
10. ***უფლება დააკვირდეს შუქჩრდილებს***
    უყუროს მზის ამოსვლას და ჩასვლას, დატკბეს მთვარისა და ვარსკვლავების ცქერით.

ნაწილი II

მეთოდოლოგია

ძირითად პრინციპებზე შეთანხმების შემდეგ დავფიქრდეთ, როგორ ვიმუშავოთ ბავშვებთან პრაქტიკულად. რა მეთოდები და მიდგომები უნდა გამოვიყენოთ? როგორ დავგეგმოთ და ჩავატაროთ მეცადინეობები? როგორ შევაფასოთ ჩვენი მუშაობის შედეგები? მოკლედ რომ ვთქვათ, უნდა შევარჩიოთ მუშაობის მეთოდიკა, და სწორედ ამას ეძღვნება შემდეგი თავი.

პოზიტიური გარემო ჯგუფში

სასკოლო მზაობის ჯგუფის მასწავლებლის უპირველესი მიზანია შექმნას ისეთი გარემო, რომ ბავშვმა თავი იგრძნოს ლაღად და მხიარულად, სიხარულით მოდიოდეს დილით და სიამოვნებით ატარებდეს დღეს.

პირველი დღიდანვე ბავშვს უნდა მოეწონოს ჯგუფში ყოფნა და მოუნდეს აქ ყოველდღიურად მოსვლა. ამისთვის კი იგი ჯგუფში თავს უსაფრთხოდ და დაცულად უნდა გრძნობდეს.

მასწავლებელმა თავიდანვე უნდა გააცნოს ბავშვს ახალი გარემო, დაათვალიერებინოს ყველა დამხმარე სათავსო, მიმდებარე ტერიტორია, ეზო. ბავშვმა უნდა იცოდეს, სად არის ტუალეტი, ვის მიმართოს დახმარებისთვის და ა.შ.

„უსაფრთხო გარემო“ ბავშვის გადასახედიდან სულაც არ არის ის, რასაც გულისხმობენ უფროსები. სამაგიეროდ, ძალიან საშიში შეიძლება იყოს კარი, რომელიც ყოველთვის ჩაკეტილია - ვინ იცის, რა არის ამ კარის მეორე მხარეს! შესაძლებელია „საფრთხეები“ იმალებოდეს სკოლის შენობის ან ეზოს უცნობ კუთხეებში.

ბავშვმა უნდა იცოდეს, რომ ეს ჯგუფი მისია, თავს უნდა თვლიდეს ჯგუფის პატრონად და არა სტუმრად. პასუხისმგებლობა სივრცისა და მასალების მოვლაზე მასწავლებელმა უნდა გადაუნაწილოს ბავშვებსაც. ამის ერთ-ერთი საშუალებაა ბავშვების საქმიანობების სიის შედგენა და გამოკვრა თვალსაჩინო ადგილას. ცხრილი განსაზღვრავს ბავშვების ყოველდღიურ ჩართულობას ჯგუფის მოვლაში, ეს შეიძლება იყოს ყვავილების მორწყვა, მაგიდების გადაწმენდა და ა.შ. აგრეთვე ბავშვებმა უნდა მიიღონ მონაწილეობა ჯგუფის მომავალი საქმიანობის დაგეგმვაში.

მნიშვნელოვანია, ბავშვი ენდობოდეს მასწავლებელს და უსაფრთხოდ გრძნობდეს მასთან თავს. მასწავლებელმა უნდა შეძლოს ამ ნდობის მოპოვება და შენარჩუნება. ამისთვის

საჭიროა თითოეულ ბავშვთან ინდივიდუალური ურთიერთობის დამყარება, საუბარი, მისთვის შეკითხვების დასმა, სიტყვიერი წახალისება. მასწავლებელი უნდა იჩენდეს ყურადღებას ბავშვის ინტერესებისა და პრობლემების მიმართ, უთანაგრძნობდეს - ერთი სიტყვით, აგრძნობინოს, რომ მისთვის მნიშვნელოვანია და სასიამოვნო ამ ბავშვთან ურთიერთობა.

გახსოვდეთ, რომ უფროსისგან ზოგჯერ ერთი, თუნდაც უნებლიე, ტყუილიც საკმარისია, რომ ბავშვის მისდამი ნდობა სამუდამოდ დიკარგოს. ამიტომ ყოველთვის იყავით გულწრფელი და არასოდეს მოატყუოთ ბავშვი; ყოველთვის შეასრულეთ დაპირება - ბავშვი არ შესრულებულ დაპირებასაც მოტყუებად აღიქვამს.

მასწავლებლის მიერ გამოჩენილი ყურადღება განსაკუთრებით მოქმედებს ბავშვის თვითშეფასებაზე. ამ დროს დიდ როლს თამაშობს ბავშვთან ურთიერთობის ფორმა. საუბრისას მასწავლებელი უნდა დაიხაროს ბავშვის სიმაღლეზე, ესაუბროს პატივისცემით, როგორც თანასწორს, თავი შეიკავოს ზედმეტი სახელებისგან ან დამამაცირებელი მიმართვებისგან (პუტკუნა, წრიპა, გოგო, ბიჭო და ა.შ.) და იარლიყებისგან („ზარმაცი“, „ცელქი“). დაუშვებელია ბავშვზე საუბარი (თუნდაც მშობელთან) მისი თანდასწრებით.

აუცილებელია მასწავლებელმა შეამჩნიოს და დააფასოს ბავშვის შრომა და მიღწევები. ამავე დროს შექება რეალურად უნდა იყოს დამსახურებული, და ბავშვს კარგად უნდა ესმოდეს, რისთვის შეაქებს. მაგალითად: “ყოჩაღ, რა ზუსტად მოახვედრე ბურთი მიზანში!“ - თუ ბავშვმა ბევრი იწვალა და, როგორც იქნა, მოახერხა ბურთის კალათაში ჩაგდება. მაგრამ მას მერე, რაც ბავშვმა ეს ეტაპი დაძლია და ბურთის კალათაში ჩაგდება მისთვის სირთულეს აღარ წარმოადგენს, ასეთი შექება მხოლოდ უარყოფით შედეგს გამოიწვევს.

ბავშვის საქმიანობისა და ნამუშევარზე საუბრისას სასურველია არა შეფასების, არამედ აღწერის გამოყენება. ზოგადი, თუნდაც პოზიტიური ხასიათის ფრაზების (რა ლამაზი ნახატია, ან რა კარგად ცეკვავ და ა.შ.) ნაცვლად, ჯობია ფერის, გამოსახულების ზომის აღწერა, თუ ეს ნახატი ან ნაძერწია, ან მოძრაობის, ილეთისა - თუ ცეკვაა. მაგალითად: როგორი ყვითელი მზეა? ასეთი ფორმის ხეები როგორ გამოძერწე? ამ კოშკის ასაშენებლად დიდი ზომის კუბურები გამოიყენე ხომ?

არასოდეს უთხრათ ბავშვს, რომ რაღაც არასწორად დახატა („სად გინახავს ლურჯი მზე“, ან „სახლს რომ ასეთი ფორმა არა აქვს“), პირიქით, წაახალისეთ მისი შემოქმედობითობა.

აგრეთვე დაუშვებელია ბავშვების ერთმანეთთან შედარება, რადგან ამით პირდაპირ ვეუბნებით ბავშვს, რომ ის „ცუდია“, „არ შეუძლია“ და ა.შ. გარდა ამისა, ბავშვების შედარება, ან თუნდაც მათ შორის „სამაგალითოს“ გამოყოფა, ხელს არ უწყობს ბავშვებს შორის მეგობრული ურთიერთობების ჩამოყალიბებას.

მეგობრობა ჯგუფელებთან დიდწილად განაპირობებს ბავშვის ფსიქოლოგიურ კომფორტს ჯგუფში. მასწავლებელმა ხელი უნდა შეუწყოს ბავშვებს შორის პოზიტიური ურთიერთობების ჩამოყალიბებას და შენარჩუნებას, ისე რომ არცერთი ბავშვი არ იყოს უარყოფილი და გარიყული, ასწავლოს ბავშვებს კონკრეტული სტრატეგიები მეგობრობის დასამყარებლად და შესანარჩუნებლად. სკოლამდელ ასაკში შეძენილი ეს უნარები უაღრესად დიდ გავლენას ახდენს ადამიანის მომდევნო ცხოვრებაზე.

როგორ დავეხმაროთ ბავშვს მეგობრების შეძენაში?

ჯერ დაეხმარეთ ბავშვს უბრალოდ დაამყაროს ურთიერთობა ჯგუფის სხვა წევრებთან. სხვადასხვა საქმიანობების დროს დააწყვილეთ ბავშვები, რათა მათ უკეთ გაიცნონ ერთმანეთი და ჰქონდეთ პირადი კონტაქტის საშუალება. პირველი დღიდანვე აქტიურად გამოიყენეთ საინტეგრაციო თამაშები.

დაეხმარეთ ბავშვებს პოზიტიური ურთიერთობის შენარჩუნებაში. ასწავლეთ გაზიარება, თანამშრომლობა, რიგის დაცვა, ეს უნარები ხომ ასე საჭიროა დადებითი ურთიერთობებისთვის.

დაეხმარეთ პატარებს კონფლიქტების არიდებაში. წაახალისეთ ბავშვები სიტყვებით აღწერონ და გამოთქვან საკუთარი გრძნობები და იდეები, ასწავლეთ სხვების მოსმენა, დაეხმარეთ პრობლემის გადაჭრაში.

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი უნარი, რომლის განვითარებაზეც უნდა იზრუნოს მასწავლებელმა, არის კონფლიქტებისა და პრობლემების გადაწყვეტის უნარი.

ბავშვებს შორის კონფლიქტების გადაწყვეტისთვის მასწავლებელს შეუძლია გამოიყენოს შემდეგი სტრატეგია:

- თავდაპირველად დაეხმაროს ბავშვებს დამშვიდებაში; ამისთვის შესთავაზოს ღრმად სუნთქვა, ან ნელა დათვლა, გავიდეს ბავშვთან ერთად წყნარ ადგილას და ა.შ.
- შემდეგ წაახალისოს ბავშვები მოახდინონ პრობლემის ვერბალიზაცია და იდენტიფიცირება. ამისათვის საჭიროა ნეიტრალური პოზიციის შენარჩუნება და კონფლიქტის თითოეული მონაწილის ყურადღებით მოსმენა;
- და ბოლოს, დაეხმაროს ბავშვებს პრობლემის გადაჭრის გზების მოფიქრებაში. ეს გულისხმობს ბავშვების აზრებისა და იდეების მოსმენას და მათთან ერთად მისაღები ვარიანტის შერჩევას.

ბავშვების მიერ ერთმანეთის ფიზიკურად დაშავების მცდელობისას მასწავლებელი დაუყოვნებლივ უნდა ჩაერიოს და უზრუნველყოს ორივე ბავშვის უსაფრთხოება.

წესები ჯგუფში. რთული ქცევის მართვა

პოზიტიური ქცევის წახალისება ბავშვის ქცევის მართვის ერთ-ერთი ყველაზე ეფექტური საშუალებაა. მასწავლებელმა ყოველთვის უნდა დაინახოს და ხაზი გაუსვას ბავშვის დადებით მხარეებს, აღნიშნოს მისი ყველა დადებითი ქმედება. ამავე დროს, უნდა მოერიდოს ზოგად ფრაზებს „ჭკვიანი გოგო,

კარგი ბიჭი და ა.შ.“, არამედ აღნიშნოს სწორედ ის, რატომაც იმსახურებს ბავშვი შექებას, მაგალითად: მიხარია, რომ თიკოს ფანქრები ათხოვე, მადლობა, რომ გაგვიშალე მაგიდა და ა.შ. ამასთან, მკაფიოდ უნდა იყოს განსაზღვრული, და ბავშვს უნდა ესმოდეს, რა შეიძლება, და რა არა. ამაში ძალიან გვეხმარება ჯგუფის წესები.

ჯგუფის წესები უნდა ჩამოყალიბდეს თავიდანვე, და ამ პროცესში ბავშვებმა უნდა მიიღონ აქტიური მონაწილეობა. წესები ფორმულირებული უნდა იყოს მოკლედ, ნეგატიური ფრაზების გარეშე (მაგ., „ჯგუფში დავდივართ“ - „ჯგუფში არ დავრბივართ“-ის მაგივრად) და უნდა გამოიკრას თვალსაჩინო ადგილას. იმ შემთხვევაში, თუ წესები არ მუშაობს, მასწავლებელმა და ბავშვებმა ერთად უნდა მოიფიქრონ გადაწყვეტა, ან ახალი წესი.

წესების შემუშავება ასრულებს ორმაგ ფუნქციას: ერთის მხრივ, ეს წესები ემსახურება ბავშვების უსაფრთხოებას და ეხმარება მსწავლებელს დაამყაროს წესრიგი ჯგუფში, მეორე მხრივ, როდესაც ბავშვები მონაწილეობას იღებენ წესების შემუშავებაში, ისინი იძენენ დემოკრატიულ პრინციპებსა და მოქალაქეობასთან დაკავშირებულ მნიშვნელოვან ელემენტარულ ცოდნას და უყალიბდებათ შესაბამისი ღირებულებები.

მასწავლებელმა უნდა წაახალისოს თანამშრომლობა, ურთიერთდახმარება, თანაგრძნობა. კონფლიქტების თავიდან ასაცილებლად სამუშაო კუთხეები უნდა იყოს დაცული და მყუდრო, რათა ბავშვებმა შეძლონ კონკრეტულ აქტივობაზე კონცეტრირება, მასალები იყოს საკმარისი რაოდენობის და მათ ჰქონდეთ განსაზღვრული ადგილი. სასურველია წინასწარ გამოიყოს ინდივიდუალური სამუშაოს ჩასატარებელი საზღვრები, დაუმთავრებელ ნამუშევრებს (როგორიცაა მოზაიკა, კუბურები, ნაძერწი და სხვა კონსტრუქციები) მასწავლებელი ინახავს დასრულებამდე და შლის ბავშვთან შეთანხმებით.

მიაჩვიეთ ბავშვები სამუშაო ადგილის მოწესრიგებას საქმიანობის დამთავრების შემდეგ. ეს შეიძლება იყოს ჯგუფის წესების ერთ-ერთი პუნქტი. გახადეთ ეს პროცესი სახალისო! მოიფიქრეთ „დალაგების სიმღერა“, მოაწყეთ შეჯიბრი, დაითვალეთ ალაგებული ნივთები.

ერთი აქტივობიდან მეორეზე გადასვლა არ უნდა იყოს ბავშვებისთვის მოულოდნელი. ამ დროს შეიძლება გამოვიყენოთ სახალისო მინიშნება, სიმღერა ან ლექსი. სასურველია დღის ვიზუალური განრიგის გამოყენება, რათა დღის კომპონენტები ბავშვებისათვის თვალსაჩინო იყოს. მასწავლებელმა უნდა მისცეს ბავშვებს საკმარისი დრო საქმიანობის დასრულებისთვის, და შეეცადოს ისე დაგეგმოს და წარმართოს სასწავლო პროცესი, რომ ბავშვებს არ მოუწიოთ ლოდინი ჯგუფში ტექნიკური საკითხების მოგვარების გამო (მასალების მოუმზადებლობა, ავეჯის გადაწყობა და ა.შ.).

ერთ-ერთი ყველაზე დიდი გამოწვევა მასწავლებლისთვის არის ბავშვის რთული ქცევა. ეს შეიძლება იყოს:

- თვითდამაზიანებელი ქცევები (საკუთარი თავის კბენა, გაკაწვრა);
- აგრესიული ქცევები (დარტყმა, კბენა);
- ტანტრუმი (ბრაზის გამოხატვა იატაკზე დაცემით, ფეხების ბაკუნით, ნივთების მტვრევით);
- პიკა (საჭმელად უვარგისი ნივთების ჭამა - მიწა, ღილები, ექსკრემენტები).

სამწუხაროდ, რთული ქცევის საპასუხოდ უფროსები ხშირად მიმართავენ დასჯას, რაც ასეთი ქცევის აღკვეთის ყველაზე არაეფექტური საშუალებაა. ბავშვის რთული ქცევის შემთხვევაში მასწავლებელმა უნდა შეინარჩუნოს სიმშვიდე და იფიქროს ამ საქციელის გამომწვევ მიზეზებზე. ეს შეიძლება იყოს რაიმეს შიში, სურვილი მიიქციოს ყურადღება, შეუძლოდ ყოფნა, მოწყენა, დაღლილობა და ა.შ. როცა რთული ქცევის მიზეზი ცნობილია, მასთან გამკლავება უფრო ადვილია.

ყოველთვის გახსოვდეთ, რომ ბავშვს აქვს უარის უფლება, უფლება აირჩიოს სასურველი საქმიანობა, ან თუნდაც განმარტოვდეს. მისი ასეთი საქციელი არ უნდა ითვლებოდეს „რთულ ქცევად“ ან „ყურადღების დეფიციტად“.

დაუშვებელია დასჯის ისეთი ფორმების გამოყენება, როგორიც არის ფიზიკური ზემოქმედება (ყურის აწევა, შეჯანჯღარება, თმებზე მოქაჩვა, ჩარტყმა) და სიტყვიერი შეურაწყოფა (სალანძღავი და დამამცირებელი სიტყვები, სხვებთან შედარება, დაცინვა), ყვირილი, დაშინება, მუქარა, კუთხეში დაყენება, ცარიელ ოთახში ჩაკეტვა და ა.შ.

თამაშის პედაგოგიკა

სკოლამდელი ასაკის ბავშვებისთვის სწავლის საუკეთესო ფორმა არის თამაში, და ამიტომ სასურველია თამაშის როგორც სწავლების ძირითად საშუალების გამოყენება. თამაშის დროს ბავშვები დამოუკიდებლად ურთიერთობენ ერთმანეთთან, მათ აერთიანებთ საერთო მიზანი, რომლის მიღწევასაც ერთად ცდილობენ, იზიარებენ საერთო ინტერესებსა და განცდებს. თამაშის დროს ბავშვი სწავლობს თანამშრომლობას. თამაში ასწავლის ბავშვს ურთიერთობებს, ყურადღებას, საკუთარი აზრების სწორად გამოხატვასა და დიალოგის წარმართვას, ავითარებს მეტყველებას. თამაშის მეშვეობით ბავშვი სწავლობს და გაითავისებს სოციალურ და კულტურულ ნორმებს, სწავლობს საკუთარი ემოციების მართვას. თამაში და ექსპერიმენტი (რომელიც, ცხადია, სკოლამდელი ასაკის ბავშვისთვის ისევ თამაშია), არის სამყაროს შემეცნების სახალისო და ყველაზე ეფექტური გზა. ნებისმიერ ინფორმაციას ბავშვი ყველაზე კარგად გაიაზრებს და ითვისებს თამაშით.

„თამაში, შეიძლება ითქვას, ერთადერთი სინამდვილეა, რომელშიც ბავშვი ცხოვრობს და ერთადერთი ძირითადი პრაქტიკის ფორმაა, რომლის ნიადაგზეც მისი განვითარება მიმდინარეობს“ (დ.უზნაძე)

სასკოლო მზაობის ჯგუფის (ისევე, როგორც ნებისმიერი სკოლამდელი დაწესებულების) გარემოში ბავშვის ძირითადი საქმიანობა უნდა იყოს თამაში. მასწავლებელი გეგმავს თამაშებს ბავშვების გარკვეული უნარების განვითარებისთვის ან/და ცოდნის გასაღრმავებლად, და შესთავაზებს მთელ ჯგუფს, ან მოაწყობს თამაშს მცირე ჯგუფებად სპეციალურად აღჭურვილ კუთხეებში. გარდა ამისა, ძალიან მნიშვნელოვანია დღის განმავლობაში ბავშვებს დარჩეთ დრო თავისუფალი თამაშისთვის, ანუ ისეთი თამაშისთვის, რომლის ინიციატორები და ავტორები თვითონვე არიან, თავად ადგენენ ან ცვლიან წესებს თამაშის პროცესში. მასწავლებელს შეუძლია ჩაერთოს ბავშვების თავისუფალ თამაშში მხოლოდ როგორც რიგითი მოთამაშე, ან მიაწოდოს იდეა რათა თამაში გახდეს უფრო შინაარსიანი და საინტერესო.

მასწავლებლის როლი

მასწავლებლის როლი სკოლამდელ განათლებში უაღრესად მნიშვნელოვანია. მასწავლებელმა უნდა შეძლოს ბავშვის განვითარების სტიმულირება, მისი პოტენციალის მაქსიმალური გახსნა. ამისთვის აუცილებელია ბავშვის განვითარების თეორიების, ფსიქოლოგიის, სწავლების სხვადასხვა სტრატეგიებისა და მეთოდების ცოდნა, და ამ ცოდნის ყოველდღიურ მუშაობაში შემოქმედებითად გამოყენების უნარი.

ხშირად გაუზიარეთ თქვენს კოლეგებს იდეები და გამოცდილება, დაესწარით ერთმანეთის მეცადინეობებს, იმსჯელეთ მიღწეულ შედეგებზე და სამომავლო გეგმებზე, პრობლემების გადაწყვეტაზე. გუნდური მუშაობა უფრო ეფექტურს გახდის თქვენს საქმიანობას.

მასწავლებლის საქმიანობა არ შემოიფარგლება მხოლოდ ჯგუფში ბავშვებთან მუშაობით. მან წინასწარ უნდა განსაზღვროს, თუ რა ცოდნისა ან/და უნარების გადაცემას აპირებს ჯგუფისთვის, დაგეგმოს, თუ როგორ უნდა იყოს ნასწავლი ესა თუ ის შინაარსი, განვითარებული რომელიმე უნარი - ინდივიდუალურად, ჯგუფურად თუ მცირე ჯგუფებში, რა მასალა დასჭირდება, ასევე როგორი იქნება თავად აქტივობები; დაწეროს დღის გეგმა. რაც მეტ ფანტაზიასა და შემოქმედებითობას გამოიჩენს მასწავლებელი, მით უფრო სახალისო და შედეგიანი იქნება სწავლის პროცესი.

მასწავლებელზეა დამოკიდებული, თუ რამდენად მდიდარია სასწავლო გარემო: როგორ არის მოწყობილი ოთახი, რა მასალებია შეტანილი, რამდენად მრავალფეროვანია დაგეგმილი აქტივობები, რამდენად სწორად და ეფექტურად

ანაწილებს დროს; როგორ ახერხებს მასწავლებელი ბავშვების ინტერესის სტიმულირებას, შესაბამისი საუბრის წამოწყებას, ბავშვებთან ინტერაქციას.

ყველაზე კარგი შედეგები ყოველთვის ექნება იმ მასწავლებელს, რომელიც დღეს გეგმავს ბავშვების ინტერესებიდან გამომდინარე, და მათი განვითარების დონის გათვალისწინებით. დღის სცენარში მასწავლებლის მიერ ინიცირებული აქტივობის გარდა აუცილებლად გათვალისწინებული უნდა იყოს ბავშვების მიერ ინიცირებული სწავლება. აგრეთვე, მასწავლებელმა ხელი უნდა შეუწყოს ბავშვებს დამოუკიდებლად აირჩიონ აქტივობა და მასალა, მუშაობის ფორმა, წაახალისოს მათი ინიციატივები. ამ დროს მასწავლებელი არის პასიური, აკვირდება ბავშვებს, ესაუბრება მათი საქმიანობისა და ნამუშევრის შესახებ, უსვამს შეკითხვებს, აძლევს ბიძგს განახორციელონ საკუთარი იდეები.

მასწავლებლის მიერ ინიცირებული სწავლების დროს იგი თავად ირჩევს თემას და გეგმავს შესაბამის აქტივობებს. ბავშვბის მიერ ინიცირებული სწავლების დროს მასწავლებელი ირჩევს თემას და გეგმავს აქტივობებს ბავშვების ინტერესებიდან გამომდინარე.

მნიშვნელოვანია მასწავლებელმა ნაკლებად მიაწოდოს ბავშვებს მზა ცოდნა/ინფორმაცია. სწავლების გაცილებით უფრო ეფექტური ფორმაა ბავშვების დაინტერესება სხვადასხვა მოვლენებით, თემებით და მათი სტიმულირება თვითონ მოიძიონ გაჩენილ კითხვებზე პასუხი. ინტერესის სტიმულირების მრავალი გზა არსებობს - ისტორიის მოყოლა საკუთარი გამოცდილებიდან, არტეფაქტის ჩვენება, ექსკურსია, სურათებიანი წიგნის დათვალიერება და სხვა. ძალიან მნიშვნელოვანია მასწავლებელმა სწორად შეარჩიოს კითხვები და ეს კითხვები დასვას საჭირო მომენტში და სწორი ფორმით. სასურველია მასწავლებელმა თავი აარიდოს დახურულ კითხვებს და იხმაროს ღია კითხვები, ეს ხელს უწყობს ბავშვის მეტყველებისა და აზროვნების უკეთ განვითარებას.

ინფორმაციის პირდაპირი მიწოდება, როგორც წესი, საჭიროა ისეთ შემთხვევებში, როდესაც ბავშვებს სჭირდებათ კონკრეტული ინსტრუქციები. მაგალითად, ეს შეიძლება იყოს დაკავშირებული ახალი სათამაშოს გამოყენებასთან, უსაფრთხოების წესების შემუშავებასთან და ა.შ.

დღის განრიგი

ჯგუფის მუშაობის გრაფიკი - დღის განრიგი - საჭიროა როგორც ბავშვებისთვის, ასევე პედაგოგისთვის. ბავშვებს უყვართ, როცა დადგენილია გარკვეული წესები, როდესაც იციან მოქმედებების თანმიმდევრობა, და არ ელიან მოულოდნელობებს. პედაგოგისთვისაც უფრო მარტივია დღის სცენარის შემუშავება იმ ჩარჩოს ფარგლებში, რომელსაც ქმნის ყოველდღიური საქმიანობა. მაგალითად, ყოველი დღე იწყება და მთავრდება დილის (საღამოს) წრით, ანუ ჯგუფის საერთო შეხვედრით, სადაც მასწავლებელი და ბავშვები ერთმანეთს უზიარებენ

მათთვის საინტერესო და აქტუალურ აზრებს, ხდება მისალმება და დღის დაგეგმვა ან დღის შეჯამება და დამშვიდობება. გარდა ამისა, არსებობს კიდევ რამდენიმე აქტივობა, რომელიც ყოველდღიურად უნდა შესრულდეს. მაგალითად, ყოველდღიურად ბავშვები გარეთ ატარებენ არა ნაკლებ ერთი საათისა, აგრეთვე ყოველდღიურად ხდება მცირე ჯგუფებში მუშაობა, წიგნის კითხვა (მოსმენა), ფიზიკური მოძრაობები, ხუთი წუთი თითების ვარჯიშებისთვის.

დღის განრიგის შედგენისას გასათვალისწინებელია, რომ მოძრავი თამაშები უნდა ენაცვლებოდეს წყნარი მუშაობის პერიოდებს, უნდა იყოს დაცული ბალანსი მასწავლებლის მიერ დაგეგმილ და ბავშვების ინიციატივით წამოწყებულ აქტივობებს შორის, აგრეთვე განვითარების სხვადასხვა სფეროებთან დაკავშირებულ აქტივოვბებს შორის. უნდა ვეცადოთ, რომ განვითარების ყველა სფერო კვირის განმავლობაში თანაბრად იყოს ჯგუფის აქტივობებში წარმოდგენილი. გარდა ამისა, ბავშვებს აუცილებლად უნდა დარჩეთ დრო (დაახლოებით მთელი დროის 1/4) თავისუფალი თამაშისათვის, ურთიერთობებისთვის, ერთმანეთთან და მასწავლებელთან სასაუბროდ. ამავე დროს დღის განრიგი უნდა იყოს მოქნილი, მასწავლებელს უნდა ჰქონდეს საშუალება დაგეგმოს აქტივობების მიმდევრობა თემის ლოგიკიდან გამომდინარე. მაგალითად, ჯერ თამაში ეზოში და თოვლის შეგროვება, შემდეგ ოთახში დაბრუნება და თოვლზე ექსპერიმენტების ჩატარება. ან ჯერ ოთახში პროფესიების თემაზე მუშაობა, ხოლო მერე სასეირნოდ გასვალა და საპარიკმახეროს სტუმრობა.

სავარაუდო დღის განრიგი:

- დილის შეხვედრა - 15-20 წუთი
- ჯგუფური მუშაობა (დაგეგმილი აქტივობა, რომელსაც მასწავლებელი მთელ ჯგუფთან ერთად ატარებს) - 10 -15 წუთი
- მცირე ჯგუფების სხვადასხვა ცენტრებში მუშაობა მონაცვლეობით - 1 საათი
- ეზო - 1 საათი
- კითხვა - 15 -20 წუთი
- მუსიკა ან ცეკვა - 15 -20 წუთი
- მცირე ჯგუფების სხვადასხვა ცენტრებში მუშაობა მონაცვლეობით - 1 საათი
- განვლილი დღის შეჯამება - 15- 20 წუთი

ბავშვისადმი ინდივიდუალური მიდგომა

მნიშვნელოვანია აქტივობების დაგეგმვისა და ჩატარებისას მასწავლებელი რეალურად აფასებდეს თითოეული ბავშვის ინტერესებს და შესაძლებლობებს, და იცოდეს, რომელი კონკრეტული უნარის განვითარების რა საფეხურზე იმყოფება ბავშვი, ანუ შეძლოს განსაზღვროს თითოეული ბავშვის განვითარების უახლოესი ზონა.

ლევ ვიგოტსკი განასხვავებს ბავშვის განვითარების აქტიურ ზონას და განვითარების უახლოეს ზონას. ბავშვის განვითარების აქტიური ზონა გულისხმობს იმ ამოცანების ზედა ზღვარს, რომელთა შესრულებაც ბავშვს დამოუკიდებლად, სხვების დახმარების გარეშე შეუძლია. ბავშვის განვითარების უახლოესი ზონა კი გულისხმობს იმ ამოცანათა/მოქმედებათა ზედა ზღვარს, რომელთა შესრულებაც ბავშვს შეუძლია უფრო კომპეტენტური ადამიანის დახმარებით.

ბავშვის უახლოესი განვითარების ზონა მოიცავს სწავლის და პრობლემების გადაჭრის უნარებს, რომლებიც მხოლოდ ახლა იწყებს ჩამოყალიბებას და განვითარებას. რასაკვირველია, დროთა განმავლობაში ყოველი ბავშვის უახლოესი განვითარების ზონა იცვლება; ის გარკვეულ ამოცანებს/მოქმედებებს ეუფლება და მზად არის უფრო რთული დავალებების შესასრულებლად.

ბავშვის აქტიური და უახლოესი განვითარების ზონის ცოდნა მასწავლებელს საშუალებას აძლევს დაგეგმოს სხვადასხვა ტიპის აქტივობები, შეიტანოს შესაბამისი მასალა და დაეხმაროს ბავშვს შემდეგ ეტაპზე გადასვლაში. აქტივობები შერჩეული უნდა იყოს ინდივიდუალურად, ისე რომ მაქსიმალურად მოხდეს ბავშვს უახლოესი განვითარების ზონის ათვისება; გარდა ამისა, მასწავლებელი ყოველთვის უნდა ითვალისწინებდეს ბავშვების ინდივიდუალურ თავისებურებებს - რისი კეთება უყვარს, როგორ სწავლობს უკეთესად, ნელია თუ სწრაფი, ვისთან ერთად უყვარს ყოფნა, და ა.შ.

რა არის ბავშვის ინდივიდუალური თავისებურებები?

- ტემპერამენტი - ანუ ტემპერამენტის რომელი ტიპია წამყვანი: მელანქოლიკი, სანგვინიკი, ქოლერიკი, ფლეგმატიკი.
- განწყობა - პოზიტიურად არის განწყობილი ბავშვი თუ ნეგატიურად გარემოს მიმართ.
- სენსორული ბარიერი - რა აღიზიანებს ბავშს: ხმაური, სუნი, ტემპერატურის ცვლილება, ტაქტილური შეგრძნებები, სხვა.
- ადაპტაციის უნარი - როგორ რეაგირებს ბავშვი ცვლილებებზე და როგორ ეგუება ახალ სიტუაციას .
- ბიოლოგიური რითმი - მაგალითად, კვების და ძილის როგორი რეჟიმი აქვს ბავშვს.
- დასწავლის სტილი - როგორ სწავლობს ბავშვი უკეთესად – მოსმენით (აუდიალური), დანახვით (ვიზუალური), თუ შეხებით და მოძრაობით (კინესტეტიკური)
- ამტანობა - როგორ უმკლავდება ბავშვი გაღიზიანებას და მარცხს, რამდენად სწრაფად იღლება სხვადასხვა საქმიანობისას.
- კონტაქტურობა - როგორ ურჩევნია თამაში – დიდ ჯგუფში, წყვილში თუ განმარტოებით.
- ინტერესები - რა აინტერესებს ბავშვს განსაკუთრებით, აქვს თუ არა გამოკვეთილი ინტერესები.

ბავშვის შესახებ ამ ინფორმაციის მოძიებისთვის საუკეთესო საშუალება და მასწავლებლის ძირითადი ინსტრუმენტი ბავშვზე დაკვირვებაა.

დაკვირვება არის ყურება და ჩანიშვნა იმისა, თუ რას აკეთებს და ამბობს ბავშვი. არსებობს სხვადასხვა სახის დაკვირვება. მაგალითად, ბუნებრივად, დღის განმავლობაში - არაფორმალური, ან რეგულარული, დაგეგმილი - ფორმალური დაკვირვება. ნებისმიერი სახის დაკვირვება უნდა იყოს ობიექტური, რაც გულისხმობს მასწავლებლის შეფასებებისგან და წინასწარი განწყობებისგან მაქსიმალურად თავისუფალ დაკვირვებას ბავშვის ქცევასა და საუბარზე; მხოლოდ ფაქტების, მოქმედების, ჟესტებისა და მიმიკის, ნამუშევრების აღწერას და ტექსტის ციტატების ჩანიშვნას. მნიშვნელოვანია, რომ დაკვირვებასთან დაკავშირებული ჩანაწერები დაკვირვების მომენტიდან მცირე დროში გაკეთდეს, რადგან გარკვეული დეტალები შესაძლოა მალევე მივიწყებას მიეცეს. ბავშვზე დაკვირვება უმნიშვნელოვანესი უნარია, რომლის გარეშეც რთულია საგანმანათლებლო პროცესის ბავშვების საჭიროებების შესაბამისად წარმართვა.

დაკვირვების შემდეგი საფეხური არის რეფლექსია. რეფლექსიის დროს მასწავლებელი გაიაზრებს და გააანალიზებს დაკვირვების შედეგებს – რა უნარები და ინტერესები გამოავლინა ბავშმა, და დაფიქრდება, როგორ გამოიყენოს ეს ინფორმაცია ბავშვის შემდგომი განვითარებისათვის.

რეფლექსიის შემდეგი ეტაპია რეაქცია. ამ ეტაპზე მასწავლებელი მოიფიქრებს, დაგეგმავს და განახორციელებს ისეთ აქტივობებს, რომლებიც ითვალისწინებს ბავშვის ინტერესებს და აძლევს მას შემდგომი განვითარების საშუალებას.

იმისათვის, რომ სასწავლო პროცესი სრულფასოვნად და შედეგიანად წარიმართოს, მასწავლებელს აუცილებლად ესაჭიროება ჯგუფში მოსიარულე თითოეული ბავშვის განვითარების დონის განსაზღვრა; რეკომენდებულია ეს

შევადაროთ:

„დათო დღეს ძალიან ცელქობს და მავნებლობს. ის განგებ აწუწებს წყალს იატაკზე და ბავშვებსაც აწუწებს, თან ამოწმებს ვუყურებ თუ არა და მერე გამომწვევად დასცინის სხვა ბავშვებს.“ - ეს არაობიექტური დაკვირვების ნიმუშია, აქ დომინირებს მასწავლებლის შეფასებები და მისი დამოკიდებულება ბავშვისადმი.

„დათო თამაშობს წყლის ბორბლით, ცოტა წყალი დაესხა იატაკზე და გვერდზე მდგომი ბავშვების ფეხსაცმელებზე. მან მე შემომხედა, შემდეგ ბავშვებს და დაიწყო სიცილი.“ – ეს არის ობიექტური დაკვირვების ნიმუში, მასწავლებელი მიუკერძოებლად აღწერს იმას, რაც ხდება.

გაკეთდეს წელიწადში სამჯერ – სასწავლო წლის დაწყებისას, თებერვალში და წლის ბოლოს, ივნისში. ამ პროცესში კვლავ დაკვირვების მეთოდი გამოიყენება, მაგრამ ყოველდღიური დაკვირვებისგან განსხვავებით, ეს არის დაგეგმილი, ფორმალური დაკვირვება. მასწავლებლის დასახმარებლად პროგრამა ბასკოსთან ერთად შემუშავდა ბავშვის შეფასების შესაბამისი ინსტრუმენტი (იხ. ნაწილი IV).

ბავშვზე დაკვირვების შედეგად მისი ინტერესებისა და განვითარების დონის განსაზღვრა, ხოლო შემდგომ, ამ ინფორმაციაზე დაყრდნობით, ბავშვისთვის საინტერესო და სახალისო განმავითარებელი გარემოს შექმნა - ეს მეთოდი შეიმუშავა, და პრაქტიკაში პირველად გამოიყენა მარია მონტესორიმ. მასწავლებელი ქმნის გარემოს, რომელიც შეესაბამება ბავშვის საგანმანათლებლო მოთხოვნილებებს მოცემულ მომენტში, ხოლო ბავშვი თვითონ ირჩევს, რა აინტერესებს, რას გააკეთებს. მასწავლებელი მას მხოლოდ აჩვენებს, როგორ მუშაობს ესა თუ ის სათამაშო, ხელსაწყო, ხოლო შემდგომ ყურადღებით აკვირდება ბავშვის პროგრესს რომ არ გამოტოვოს მომენტი, როცა ბავშვისთვის უკვე უინტერესო ხდება შეთავაზებული დავალებები და საჭირო ხდება უფრო მაღალ საფეხურზე მისი გადაყვანა, ანუ ახალი, უფრო რთული სათამაშოების და დავალებების შეთავაზება.

დამეხმარე გავაკეთო თვითონ - ეს არის მონტესორის პედაგოგიკის დევიზი.

ბავშვების პერიოდული შეფასება ასრულებს ორმაგ ფუნქციას: პირველი, თვალსაჩინო ხდება თითოეული ბავშვის ძლიერი და სუსტი მხარეები და მისი განვითარების დინამიკა, რაც პირდაპირ კარნახობს მასწავლებელს, რომელ სფეროებში სჭირდება ბავშვს მეტი ხელშეწყობა; მეორე, მასწავლებელი ხედავს საკუთარი მუშაობის შედეგებს და ნაკლებს და, შესაბამისად, შეუძლია მათი გამოსწორება. მაგალითად, თუ რომელიმე ბავშვი ჩამორჩება მეტყველების უნარებში, მასწავლებელი მიხვდება, რომ საჭიროა მისთვის მეტყველების განმავითარებელი მეტი, ან უფრო სახალისო აქტივობების მოფიქრება. მაგრამ თუ მატყველების განვითარების მხრივ ჩამორჩება მთელი ჯგუფი, მასწავლებელმა უნდა გადახედოს საკუთარი მუშაობის მეთოდებს და დაფიქრდეს, რას არ აკეთებს სწორად და რა შეუძლია შესთავაზოს ბავშვებს ამ სფეროს განვითარებისათვის.

განსხვავებულობა და თანაბარი მონაწილეობა სკოლამდელ განათლებაში

ბავშვთა უფლებათა კონვენციის თანახმად, ყველა ბავშვს აქვს უფლება მიიღოს განათლება. განათლების პროცესი და საგანმანათლებლო გარემო მორგებული უნდა იყოს თითოეული ბავშვის საჭიროებებზე, ითვალისწინებდეს თითოეული ბავშვის პიროვნულ და კულტურულ თავისებურებებს. სკოლამდელი განათლების საფეხურზე თანაბრი ხელმისაწვდომობის პირობების შექმნისთვის მნიშვნელოვანია:

- *განსხვავებულობის აღიარება და პატივისცემა;*
- *ბავშვების სოციალური ინტეგრაცია;*
- *თანადგომისა და ურთიერთდახმარების გარემოს შექმნა;*

- *ყველა ბავშვისთვის ეფექტიანი სასწავლო-საალმზრდელო გარემო პირობების შექმნა;*
- *ბავშვებში სოციალური სამართლიანობის ღირებულების ჩამოყალიბების ხელშეწყობა;*
- *ყურადღების გამახვილება არა შეზღუდვასა და სისუსტეებზე, არამედ შესაძლებლობებსა და ძლიერ მხარეებზე.*

თითოეული ბავშვის განათლების უზრუნველყოფისთვის უმნიშვნელოვანესია სკოლამდელი განათლების პედაგოგის თვით-კრიტიკულობისა და თვით-რეფლექსიის უნარი. პედაგოგი, ისევე როგორც საზოგადოების ნებისმიერი წევრი, გარკვეული შეხედულებებისა და წინასწარი განწყობების მატარებელია, რაც მისდა უნებურად, შესაძლოა ზეგავლენას ახდენდეს სკოლამდელი განათლების პრაქტიკაზე. ასეთი წინასწარი განწყობები თუ სტერეოტიპები შესაძლოა უკავშირდებოდეს გენდერულ როლებს (მაგ., რა შეიძლება ითამაშოს გოგომ და რა - ბიჭმა), ეთნიკურ და რელიგიურ ჯგუფებს, ოჯახის ფორმებს, შეზღუდულ შესაძლებლობებს, სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობას და სხვა ინდივიდუალურ თუ ჯგუფურ მახასიათებლებს. პედაგოგის დამოკიდებულებებმა და წინასწარმა განწყობებმა ბავშვთან ან მის სოციო-კულტურულ გარემოსთან დაკავშირებით შესაძლოა მნიშვნელოვანი ზეგავლენა მოახდინოს საგანმანათლებლო პროცესზე, შეზღუდოს ბავშვის პოტენციალი, უგულებელყოს მისი რეალური ინტერესები და შესაძლებლობები. ამიტომ პედაგოგი მუდმივად უნდა იაზრებდეს საკუთარ დამოკიდებულებებსა და მოსაზრებებს, და წარმართავდეს პრაქტიკას თითოეული ბავშვის ინტერესებიდან გამომდინარე.

იმისათვის, რომ თითოეულ ბავშვს ჰქონდეს ჯგუფში მიკუთვნებულობის განცდა, ფიზიკური გარემო უნდა შეესაბამებოდეს მის საჭიროებებს, ინტერესებსა და იდენტობას. სათამაშოები, წიგნები, სურათები და სხვა მასალები პოზიტიურად უნდა ასახავდეს განსხვავებული სქესის, შესაძლებლობების, ეთნიკური და რელიგიური ჯგუფების, სოციალური და ეკონომიკური მდგომარეობის მქონე ბავშვებსა და ზრდასრულებს. მნიშვნელოვანია რომ გამოსახულებები და ტექსტები არ იყოს სტერეოტიპული და ასახავდეს ინდივიდთა და ჯგუფთა რეალურ ცხოვრებას.

განსხვავებულობის პატივისცემა გულისხმობს სწორი ტერმინოლოგიის გამოყენებას. დაუშვებელია ისეთი სიტყვების გამოყენება, როგორიცაა: შეზღუდული ბავშვი, ინკლუზიური ბავშვი, ავადმყოფი ბავშვი, შეფერხებული, არანორმალური, ქალაჩუნა, ქალაბიჭა, ურჯულო და სხვა. შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვებთან მიმართებაში მიღებული ტერმინებია: სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე ბავშვი, განსაკუთრებული საჭიროებების მქონე ბავშვი. დაუშვებელია ისეთი ტერმინები თუ მიმართვები, რომლებიც რაიმე ფორმით ხელს უწყობს სტერეოტიპების შექმნას ან გაძლიერებას (მაგ. „ნუ ტირი, გოგო ხომ არ ხარ?“, „ბიჭივით ცელქია“ და ა.შ.).

სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბავშვის სასწავლო პროცესში ჩართვამდე, აუცილებელია მოხდეს მისი საჭიროებების სრულყოფილი იდენტიფიკაცია, რაც გულისხმობს მისი ფსიქო-ფიზიკური განვითარების შეფერხებისა და სწავლის სირთულეების აღმოჩენას და დადგენას. როდესაც ეს გაკეთებულია, შესაძლებელი ხდება

ბავშვის საგანმანათლებლო პროცესში ჩართვა; ამისთვის აუცილებელია:

- *ადაპტირებული ფიზიკური გარემო - იგულისხმება როგორც ოთახის და შენობის სხვა ნაწილების ადაპტაცია (პანდუსი, საპირფარეშოები, სათამაშო მოედანი, მითითებები კედელზე და სხვა), ასევე საჭირო ინვენტარი თამაშისა და სხვა აქტივობებისთვის;*

- *შესაბამისი მეთოდების ცოდნა და მრავალფეროვანი აქტივობების შემუშავება - მასწავლებელი კარგად უნდა იცნობდეს თითოეული სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბავშვის ინდივიდუალურ მახასიათებლებს და სთავაზობდეს მათ ისეთ აქტივობებს, რომლებიც ამ ბავშვის განვითარებისთვის აუცილებელია;*

- *მშობლებთან მუშაობა - ინკლუზიური განათლების პრინციპი გასაგები უნდა იყოს როგორც სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბავშვის, ასევე სხვა დანარჩენი ბავშვების მშობლებისთვის; აუცილებელია მშობლებთან რეგულარული შეხვედრების ჩატარება, რათა მათ გაიაზრონ, რომ ამ პრინციპით მუშაობა ხელს შეუწყობს თითოეული ბავშვის სოციალურ-ემოციურ განვითარებას.*

ბავშვის პორტფოლიო

სასწავლო პროცესის ეფექტურად წარმართვისთვის მასწავლებელს სჭირდება ბაშვის პორტფოლიო. პორტფოლიო არის ბავშის ინდივიდუალური ნამუშევრების ნაკრები, სადაც დოკუმენტირებულია ბავშვების ჯგუფში მუშაობის პროცესი და ამ მუშაობის შედეგები. ეს შეიძლება იყოს ნახატები, სამუშაო ფურცლები, გასაფერადებლები, ნამუშევრები წერითი ელემენტებით, ბავშვის ფოტოები სხვადასხვა აქტივობების დროს, ბავშვის მიერ გაკეთებული ისეთი ნამუშევრების ფოტოები, რომლებსაც დიდხანს ვერ შევინახავთ (კუბურებით აშენებული შენობა, საქვიშეში გაკეთებული კონსტრუქცია, პლასტილინის ნაკეთობა). აუცილებელია ეს ნამუშევრები დათარიღდეს და ისე შეინახოს. პორტფოლიოში ასევე უნდა შევიდეს მასწავლებლის მიერ ბავშვზე დაკვირვების შედეგად გაკეთებული ჩანაწერები.

პორტფოლიო აძლევს მასწავლებელს საშუალებას ბავშვის განვითარების ისტორიის ფონზე გაანალიზოს ბავშვის საჭიროებები და გამოიყენოს ეს ცოდნა მომავალი აქტივობების დაგეგმვისათვის. ამასთანავე პორტფოლიო გამოიყენება მშობლებისთვის ბავშვის მიღწევებისა და საჭიროებების გასაცნობად.

მშობლებთან თანამშრომლობა

მშობელთა ჩართულობას სკოლამდელი დაწესებულების მუშაობაში უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს, მშობლებთან მჭიდრო თანამშრომლობის გარეშე სასურველი შედეგის მიღწევა შეუძლებელია. მასწავლებელს შეუძლია მიმართოს მშობელთა ჩართვის სხვადასხვა გზებსა და ფორმებს:

- მშობელთა მიერ საკუთარი ნიჭის, საქმიანობის, პროფესიული ცოდნის გაზიარება;

- არტეფაქტების მოტანა, მეორადი მასალის შეგროვება;
- ჯგუფში და მის გარეთ მიმდინარე აქტივობებში, ექსკურსიებში მონაწილეობა.

პროექტში „სასკოლო მზაობის ცენტრები“ მასწავლებლის თანაშემწის ფუნქციას ჯგუფში ასრულებენ მშობლები. ეს ნიშნავს, რომ ყოველი ბავშვის ერთ-ერთ მშობელს (ან ოჯახის ნებისმიერ წევრს) თვეში ერთხელ უწევს მორიგეობა. ამ გზით ხდება მშობლების ჩართვა ჯგუფის ყოველდღიურ ცხოვრებაში და მათი გათვითცნობიერება ბავშვების ფსიქოლოგიასა და პედაგოგიკის საკითხებში.

გარდა ამისა, მშობლებთან კომუნიკაციის სხვადასხვა ფორმები არსებობს:

- საინფორმაციო დაფა, რომელიც მოთავსებულია ჯგუფის შესასვლელში. აქ გამოფენილი უნდა იყოს ბავშვების ნამუშევრები, სამუშაო პროცესის ამსახველი ფოტოები. ამავე დაფაზე მასწავლებელი მშობლებს გააცნობს კვირის თემას, გამოაქვეყნებს სასწავლო პროცესთან დაკავშირებულ ჩანაწერებს;
- ყოველდღიური კომუნიკაცია თითოეულ მშობელთან ინდივიდუალურად ბავშვის წარმატებებზე და მიღწევებზე;
- ყოველკვირეული შეხვედრები სასწავლო პროცესთან დაკავშირებულ თემების განსახილველად;
- სატელეფონო ზარი, ან ტექსტური შეტყობინება, რომლის განხორციელება სასურველია მშობლისთვის პოზიტიური მესიჯის გადასაცემად.
- საფოსტო ყუთი. ეს არის ჯგუფის შესასვლელში მოთავსებული, ინდივიდუალურად თითოეული ოჯახისთვის განკუთვნილი მცირე ზომის ყუთი, სადაც მოთავსებული იქნება მშობლებისთვის განკუთვნილი წერილი მათი შვილის წარმატებების ამსახველი ტექსტით.
- წინადადებების ყუთი, რომელიც კარგი საშუალებაა მშობლების იდეების, შენიშვნებისა და წინადადებების შესაგროვებლად. ყუთი უნდა განთავსდეს ჯგუფის შესასვლელში, თვალსაჩინო ადგილას; მშობლების წერილობითი მესიჯები შეიძლება იყოს ანონიმური.
- წერილი - ეს არის წერილობითი შეტყობინება, რომელიც შეიცავს სასწავლო პროცესთან დაკავშირებულ ზოგად ინფორმაციას, აქტივობებისთვის საჭირო მეორადი რესურსის ჩამონათვალს, ექსკურისიის ადგილისა და განრიგის აღწერას და ა.შ. (ნიმუში იხ. დანართში)

თემატური სწავლება

რას ნიშნავს თემატური სწავლება

თემატური სწავლება არის მეთოდოლოგია, რომელიც გულისხმობს სასწავლო პროგრამის აგებასა და აქტივობების დაგეგმვას კონკრეტული თემების გარშემო. ის ეყრდნობა იმ პრინციპს, რომ ბავშვი უკეთ სწავლობს მაშინ, როცა თავის ცოდნას საკუთარ გამოცდილებასთან აკავშირებს. თემატური სწავლება გვაძლევს განათლებისა და განვითარების სფეროების ინტეგრირების საშუალებას, ამ დროს ბავშვის მეხსიერება ინახავს კონცეფციებს და არა ფაქტებს, ბავშვი თავად აკეთებს არჩევანს, უვითარდება აზროვნება.

ეს მეთოდიკა გულისხმობს სასწავლო პროცესის დაგეგმვას ბავშვებისათვის საინტერესო თემების მიხედვით; ყოველი თემა გრძელდება 1 ან 2 კვირა და მოიცავს სოციალურ-ემოციური, მეტყველების, შემეცნებით, შემოქმედებით და ფიზიკურ აქტივობებს (ხატვა, ძერწვა, სიმღერა, ცეკვა, როლური და მოძრავი თამაშები, ექსპერიმენტები და მრავალი სხვა). ამგვარად, თემატური სწავლება უზრუნველყოფს ბავშვის ყოველმხრივ განვითარებას.

თემატური სწავლების დროს თემა იშლება ქვეთემებად, ხოლო ქვეთემები - ყოველდღიურ აქტივობებად. თემატური სწავლების საფეხურებია:

1. თემის არჩევა.
2. პროგრამის დაგეგმვა და განხორციელება;
3. შემაჯამებელი ღონისძიება

პირველ ეტაპზე – თემის შერჩევისას – მასწავლებელმა უნდა იფიქროს რამდენიმე ასპექტზე: რისი სწავლება უნდა ბავშვებისთვის, რა უნარების განვითარება უნდა მათთვის, როგორ დააკავშირებენ ბავშვები მიღებულ ცოდნას რეალურ ცხოვრებასთან. აგრეთვე უნდა გაითვალისწინოს ბავშვების განვითარების თავისებურებები და მათი ინტერესები.

მეორე ეტაპზე – პროგრამის დაგეგმვა – მასწავლებელი მოიფიქრებს თემასთან დაკავშირებულ აქტივობებს სხვადასვხა დისციპლინებში, განსაზღვრავს, რომელ აქტივობებს ჩაატარებს მთელ ჯგუფთან ერთად და რომელს - პატარა, 5-6 ბავშვიან ქვეჯგუფებთან, მოამზადებს და შეიტანს შესაბამის რესურსს ჯგუფის სივრცეში, დაგეგმავს თემასთან დაკავშირებულ ექსკურსიებს ან სტუმრის ვიზიტს ჯგუფში.

მესამე ეტაპი – შემაჯამებელი ღონისძიება – შეიძლება იყოს პრეზენტაცია, რომელზეც ბავშვები გამოფენენ თემაზე მუშაობისას დამზადებულ ნამუშევრებს და მოწვეულ სტუმრებს უამბობენ სამუშაო პროცსის შესახებ, ასევე შესაძლოა ჩატარდეს თემატური მინი-სპექტაკლი ბავშვების მონაწილეობით, სადაც ისინი მხოლოდ მსახიობები კი არ იქნებიან, არამედ თავად მოიფიქრებენ სცენარს, შეარჩევენ მუსიკას, დაამზადებენ კოსტუმებს და ა.შ. შეჯამების კიდევ ერთი ფორმაა ექსკურსია - თემის დასასრულს ბავშვები შესაძლოა წავიდნენ ექსკურსიაზე და ნახონ ის, რაზეც მუშაობდნენ კვირის განმავლობაში.

თემატური სწავლების ერთ-ერთი პრინციპია ბავშვებს ჰქონდეთ საშუალება გააკეთონ არჩევანი, თავად გადაწყვიტონ, რომელ ცენტრში იმუშავებენ, თავად შეარჩიონ მასალა ნამუშევრების დასამზადებლად და ა.შ.

ჯგუფის სივრცე

თემატური სწავლება ჯგუფის სივრცის საგანგებო მოწყობას გულისხმობს. უნდა მოხდეს ოთახის დაყოფა პატარა არეებად, ველებად, სადაც ბავშვებს სხვადასხვა სახის აქტივობებში ჩართვის საშუალება ექნებათ და, შესაბამისად, სხვადახვა უნარებს განივითარებენ. ოთახში პატარა სივრცეების (ე.წ. ცენტრების) გარდა, აუცილებელია იყოს ერთი ისეთი ადგილი, სადაც ყველა ბავშვი დაეტევა, ე.წ. ჯგუფური შეხვედრების ადგილი. სასურველია, ამ ადგილას გაიშალოს ხალიჩა. ჯგუფური შეხვედრების ადგილზე ბავშვები და მასწავლებლები ერთად შეიკრიბებიან და ერთმანეთს გასული, ან მიმდინარე დღის

მუშაობის შედეგებს გააცნობენ, კითხულებენ წიგნებს, თამაშობენ ჯგუფურ თამაშებს.

ჯგუფში სასურველია იყოს:

- **ხელოვნების ცენტრი** - ამ ცენტრში ბავშვები შემოქმედებით უნარებს განივითარებენ, ამისათვის მათ უნდა ჰქონდეთ საშუალება მოსინჯონ სხვადასხვა მასალები და ტექნოლოგიები ნამუშავრების (ფერწერული სურათები, ნახატები, კოლაჟები, ქანდაკებები, მაკეტები) შესაქმნელად. ცენტრში საჭირო რესურსებია: ფერადი ფანქრები, გუაშები, აკვარელის საღებავები, საძერწი მასალა (პლასტელინი, თიხა), მაკრატლები, თეთრი და ფერადი ფურცლები; ასევე სხვადასხვა მეორადი და ბუნებრივი მასალა: ღილები, ფერადი ნაჭრები, რკოები, გირჩები, ფოთლები და სხვა.

- **სამაგიდო თამაშების ცენტრი** მათემატიკური უნარების განვითარებას ემსახურება, აქ ბავშვები ითვლიან, ზომავენ, თამაშობენ სხვადასხვა სახის სამაგიდო თამაშებს. ცენტრში საჭირო რესურსებია: ლოტო, მოზაიკა, ფაზლი, სახაზავები, დასათვლელი საგნები (გირჩები, რკოები, კენჭები, ღილები და სხვა), სხვადასხვა ზომის და ფერის მუყაოს ან პლასტმასის გეომეტრიული ფიგურები და სხვა.

- **დრამატული თამაშების ცენტრი** - ამ ცენტრში ბავშვებს უნდა ჰქონდეთ საშუალება სხვადახვა როლში გარდაისახონ და სიუჟეტური თამაშები ითამაშონ. ცენტრში საჭირო რესურსებია: სხვადასხა პროფესიის და გმირის კოსტიუმები და აქსესუარები, სათამაშო ჭურჭელი, თოჯინები; „ექიმობანას“, „მაღაზიობანას“ და მსგავსი თამაშებისთვის საჭირო სათამაშო ატრიბუტიკა, მეორადი ქსოვილები, ძველი ტანსაცმელი და სხვა საოჯახო ნივთები.

- **კუბურების ცენტრი** - აქ ბავშვს შევთავაზებთ საშუალო და დიდი ზომის კუბურებს, რათა ბავშვებმა შეძლონ კონსტრუირება. ცენტრში საჭირო რესურსებია: სხვადასხვა ზომის კუბურები, მეორადი მუყაოს ყუთები, რომლებიც კუბურების მაგივრობას გაწევს, პატარა მანქანები, ცხოველები (რომლებიც აშენებული კონსტრუქციების ბინადრები გახდებიან) და სხვა.

- **წიგნიერების ცენტრი** - ეს არის მყუდრო ადგილი, სადაც ბავშვებს აქვთ საშუალება დაათვალიერონ სხვადასხვა წიგნები, განივითარონ წერითი უნარები, მოუსმინონ ზღაპრებს. სასურველია აქ იდოს პატარა ხალიჩა და ბალიშები, ასევე უნდა იყოს მაგიდა და სკამები საწერად. ცენტრში საჭირო რესურსებია: მრავალფეროვანი წიგნები და ჟურნალები, ხელის და თითების თოჯინები, ფლანელის ან მაგნიტური დაფა ფიგურებით, საწერი (ფანქრები, ბურთულიანი კალმები, რვეულები და ქაღალდი) და მოსასმენი (კასეტები, დისკები მოთხრობების, ზღაპრების და ლექსების ჩანაწერებით) მასალები.

- **აღმოჩენების ცენტრი** არის ადგილი, სადაც ბავშვები აკვირდებიან და იკვლევენ ცოცხალ და არაცოცხალ ბუნებას. იკვლევენ საგნების ფიზიკურ და ქიმიურ თვისებებს, ატარებენ შესაბამის ექსპერიმენტებს, ცენტრში საჭირო რესურსებია: სასწორი, ლუპა, მაგნიტი, პინცეტები, პიპეტები და სხვა.

ცენტრების გარდა, აუცილებლად უნდა არსებობდეს ადგილი, სადაც მასწავლებელი ჩაატარებს აქტივობებს მსხვილი მოტორიკის განვითარებისათვის (მოძრავი და წესებიანი თამაშები). ეს შეიძლება იყოს ეზო, სპორტული დარბაზი ან უბრალოდ შენობის დერეფანი.

ჯგუფის სივრცის მოწყობისას მასწავლებელმა ყურადღება უნდა მიაქციოს შემდეგს:

- ბავშვების ნამუშევრები კედლებზე ბავშვის თვალის სიმაღლეზე უნდა იყოს გამოფენილი.
- მასალები და აღჭურვილობა ხელმისაწვდომი უნდა იყოს ყველა ბავშვისთვის, მათ შორის, განსაკუთრებული საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე ბავშვებისთვის.
- მასალები დალაგებული უნდა იყოს გარკვეული წესის მიხედვით, ისე, რომ ბავშვებმა იცოდნენ, სად იპოვნიან საჭირო ნივთს.
- თაროები არ უნდა იყოს გადატვირთული, მათზე უნდა იყოს გრაფიკული ნიშნები იმის საჩვენებლად, თუ სად რა არის მოთავსებული.
- მასალები ლოგიკურად უნდა იყოს ორგანიზებული, მაგალითად, ფანქრები და ფლომასტერები სახატავი ფურცლების გვერდით.
- ჯგუფში გამოფენილი უნდა იყოს დასურათებული განრიგი, რათა ბავშვებმა იცოდნენ, რა აქტივობას რა მოსდევს.
- ჯგუფის შესასვლელში მოთავსებული უნდა იყოს ე.წ. „წასვლა-მოსვლის დაფა“, სადაც ბავშვები აღნიშვნავენ მოსვლას და წასვლას.
- სასურველია ოთახში შექმნილი იყოს სახლის მსგავსი მყუდრო ატმოსფერო, დეკორატიული ნივთებით, ოთახის მცენარეებით, თევზების აკვარიუმით, მაგიდის გადასაფარებლებითა და ლამაზი ბალიშებით.
- თითოეულ ბავშვს უნდა ჰქონდეს თავისი ყუთი ან კალათა საკუთარი სახელით ან ფოტოთი - პირადი ნივთების შესანახად.
- სასურველია ჯგუფში გამოიფინოს ბავშვების ფოტოები თავის ოჯახებთან ერთად.
- ოთახში უნდა იყოს პატარა, წყნარი ადგილები, სადაც შეიძლება ითამაშოს ერთმა ან ორმა ბავშვმა.
- ყოველდღიური მორიგეობის სია გაფორმებული უნდა იყოს გრაფიკულად ისე, რომ ბავშვებმა შეძლონ საკუთარი თავისა და მოვალეობების ამოცნობა (ეს შეიძლება იყოს ნახატი, ფოტო, წარწერა).

როგორ გავანაწილოთ ბავშვები ცენტრებში

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ჯგუფის სივრცე დაყოფილია ცენტრებად. ბავშვების ცენტრებში განაწილებისას მთავარია დავიცვათ ძირითადი პრინციპი - მივცეთ მათ არჩევანის თავისუფლება ცენტრის შერჩევისას. თითოეულ ცენტრში ერთ ჯერზე 5-6 ბავშვზე მეტი არ უნდა შევიდეს.

ცენტრებში განაწილება შესაძლებლია სხვადასხვანაირად მოხდეს. თუ მასწავლებელი გამოუცდელია, თავდაპირველად შესაძლებელია მოსინჯოს სიის შედგენა. რას ნიშნავს ეს? მასწავლებელი ჯგუფურ შეხვედრაზე ბავშვებს აცნობს, თუ რომელ ცენტრში რა აქტივობა ჩატარდება, და ბავშვები „ეწერებიან“ ცენტრებში, ანუ მასწავლებელი ფურცელზე ინიშნავს, თუ რომელ ბავშვს სად უნდა შესვლა.

გააკეთეთ დაფა, რომელზეც ბავშვები აღნიშნავენ ჯგუფში მოსვლას და წასვლას. „წასვლა–მოსვლის დაფა“ გააფორმეთ ისე, რომ ბავშვებისთვის სახალისო და მიმზიდველი იყოს. მაგალითად, დააწერეთ ბავშვების სახელები ფერადი ქაღალდისგან გამოჭრილ თევზებს, და მოსვლისას ყოველი ბავშვი თვითონ მიამაგრებს საკუთარ თევზს მუყაოს აკვარიუმს, ხოლო წასვლისას ამოიღებს აკვარიუმიდან. თევზებისა და აკვარიუმის მაგივრად შეგიძლიათ გამოიყენოთ ქაღალდის ყვავილები და მდელოს სურათი, ან ფოთლები და ხე. აგრეთვე შეიძლება გამოვიყენოთ ბავშვების ფოტოები და მატარებლის ან სახლის გამოსახულება.

ცენტრებში განაწილების კიდევ ერთი მეთოდია „ბარათების“ მეთოდი. თითოეული ცენტრის შესასვლელთან ჩამოკიდებულია ჯიბაკებიანი დაფა, სადაც მოთავსებულია ცენტრში შესასვლელი ბართები. მას შემდეგ, რაც შეიტყობენ დღის თემას, ბავშვები თავად გადანაწილდებიან ცენტრებში, ამოიღებენ ბარათს ჯიბაკიდან და ისე შედიან სამუშაოდ, ხოლო მუშაობის დასრულების შემდეგ გამოდიან ცენტრიდან და ბარათს ისევ ჯიბაკში ათავსებენ. თუ ჯიბაკები ცარიელია, ეს ნიშნავს, რომ ცენტრში შესვლა შეუძლებელია, რადგან ყველა ადგილი დაკავებულია.

ყურადღება უნდა მივაქციოთ შემდეგს: აუცილებელი არ არის ყველა ბავშვმა „მოიაროს“ ყველა ცენტრი ერთი დღის განმავლოვაში, მთავარია თემაზე მუშაობის პერიოდში ბავშვმა ყველა ცენტრში მოსინჯოს ძალები. ხოლო იმ შემთხვევაში, თუ ბავშვი სისტემატიურად მხოლოდ ერთ ცენტრს ირჩევს, იგი უნდა წავახალისოთ, რომ სხვა ცენტრებშიც სცადოს მუშაობა, თუმცა არჩევანის უფლება მაინც მხოლოდ ბავშვზეა, საბოლოო სიტყვა მას ეკუთვნის.

თუ ჯგუფის ბავშვების უმრავლესობა ძირითადად ერთ რომელიმე ცენტრს ირჩევს და სხვა ცენტრებში შესვლაზე უარს ამბობს, მასწავლებელი უნდა დაფიქრდეს, ხომ არ არის ცენტრში მასალების სიმწირე, ან იქ ჩატარებული აქტივობები ხომ არ არის უინტერესო და მოსაწყენი. საკითხის გაანალიზების შემდეგ მან შესაბამისი ცვლილებები უნდა შეიტანოს მოცემულ ცენტრში.

ეზოს აქტივობები

ეზოს სივრცის სწორად ათვისება სასწავლო პროცესის მნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილია. იმის გათვალისწინებით, რომ ეზო ყოველდღიური განრიგის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტია, აუცილებელია ეზოს სრულფასოვნად გამოყენება. როგორ უნდა მოვახერხოთ ეს? რა სახის აქტივობები უნდა ჩატარდეს ეზოში? მნიშვნელოვანი წილი, რა თქმა უნდა, ფიზიკურ აქტივობებზე მოდის, სწორედ ეზოში უნდა ჰქონდეთ ბავშვებს იმის საშუალება, რომ ჩაერთონ სხვადასხვა მოძრავ თამაშებში, განივითარონ მსხვილი მოტორიკა. არ არის აუცილებელი ეს თამაშები იყოს თემასთან დაკავშირებული, შეიძლება ეს იყოს ე.წ. წესებიანი, სპორტული თამაშები. თუმცა ეზოში ასევითვე წარმატებით შესაძლოა ჩატარდეს შემდეგი აქტივობები: ფუნქციური თამაში (კვლევა, ცდები და დაკვირვება),

დრამატული (როლური) თამაში, კონსტრუქციული თამაში (აშენება სხვადასხვა მასალით).

ეზოში მოსახერხებელია სხვადასხვა სენსორული აქტივობ-ების ჩატარება (ქვიშითა და წყლით მანიპულირება), რაც ასე მნიშვნელოვანია სკოლამდელ ასაკში. სასურველია ეზოში ბავშვებს ჰქონდეთ საშუალება დაამუშავონ მიწა, დათესონ მცენარეები და მოუარონ მათ.

კარგი იქნება, თუ წინასწარ დაამზადებთ ე.წ. საქმიანობების სკივრებს ეზოში გასატანად. ეს არის მუყაოს, ან ხის ყუთე-ბი, სადაც მოთავსებულია კონკრეტული საქმიანობისთის განკუთვნილი ნივთები, მაგალითად:

- **პიკნიკის სკივრი** - დასაფენი, ქოლგა, მეტალის ან ერთჯერადი ჭურჭელი.
- **სარეცხის სკივრი** - საპონი, ჯამები, სარეცხის თოკი და სარჭები.
- **სახატავი სკივრი** - დაფები, ფურცლები, ფანქრები, საღებავები, ფუნჯები.
- **საქვიშეს სკივრი** - საქვიშის აღჭურვილობა, წყლის ჭურჭელი.
- **ბოსტნის სკივრი**- სარწყავები, პატარა ნიჩბები და ფოცხები, ხელთათმანები, აბრები, თესლები.
- **ხეზე სამუშაო სკივრი** - ხის ნაჭრები, ლურსმნები და ჩაქუჩები, სახვრეტელა, ხის წებო.

იმის მიხედვით თუ რა არის დაგეგმილი ეზოში, ბავშვე-ბი გაიტანენ შესაბამის სკივრს. ერთკვირიანი პროგრამის დაგეგმვისას მასწავლებელს უნდა ახსოვდეს, რომ ეზოში შეიძლება ნებისმიერი აქტივობის ჩატარება, იქნება ეს მუსიკა და მოძრაობა, ხელოვნება, დრამატული თამაშები, წიგნების კითხვა თუ დაკვირვება და კვლევა. კარგ ამინდში მთლიანი სასწავლო პროცესის ეზოში გადატანა არის შესაძლებელი.

როგორ წავუკითხოთ ბავშვებს წიგნები?

- ყურადღებით აირჩიეთ წიგნი.
- წინასწარ წაიკითხეთ და გაივარჯიშეთ ხმამაღლა კითხვაში.
- კითხვის დაწყებამდე დარწმუნდით, რომ ყველა ბავშვი კომფორტულად ზის და ხედავს სურათებს.
- გამოიყენეთ ექსპრესიული კითხვის ტექნიკა: ხმის შეცვლა, ჟესტები.
- მიეცით ბავშვებს დრო გაიაზრონ მოსმენილი.
- აჩვენეთ ილუსტრაციები.
- პერიოდულად გააყოლეთ თითი ნაბეჭდს.
- ჩართეთ ბავშვები კითხვის პროცესში შეკითხვების დასმით.
- წაკითხვის შემდეგ მოათავსეთ წიგნი წიგნიერების
- კუთხეში, რომ ბავშვებმა თვითონ დაათვალიერონ.

წლიური გეგმა

წლის გეგმის შესადგენად მასწავლებელმა კარგად უნდა იცოდეს, რა ცოდნის გადაცემას აპირებს ბავშვებისათვის და რა უნარები უნდა რომ განუვითაროს ამ წლის განმავ-ლობაში. ამაში მას დაეხმარება მოცემული პროგრამის

მესამე ნაწილი, სადაც მისაღწევი (სასურველი) შედეგები დაჯგუფებულია ბავშვის განვითარების სფეროების მიხედვით, და თან ახლავს შესაბამისი ინდიკატორები, რაც მასწავლებელს დაეხმარება აქტივობების დაგეგმვაში და შედეგების შეფასებაში.

მასწავლებელმა უნდა იფიქროს, რა თემები შეარჩიოს დასახული მიზნების მისაღწევად. შერჩეული თემები საინტერესო უნდა იყოს ბავშვებისათვის და იძლეოდეს სახალისო აქტივობების მოფიქრების საშუალებას. თემის ხანგრძლივობა დამოკიდებულია მის შინაარსზე და იმაზე, თუ რამდენად მრავალფეროვან და საინტერესო აქტივობებს დაგეგმავს მასწავლებელი ამ თემის ფარგლებში. შესაბამისად, ზოგიერთი თემა არის მოკლევადიანი და შეიძლება მხოლოდ 1-2 დღით შემოიფარგლოს (მაგ., დედის დღე), ზოგიერთი კი – უფრო მასშტაბურია და შესაძლოა ორი კვირამდეც გაგრძელდეს. მასწავლებელი თავად უნდა მიხვდეს, კვლავ აქტუალურია თუ არა თემა ბავშვებისთვის, ხომ არ დაკარგეს მათ ინტერესი.

როგორც ვთქვით, პროგრამის მესამე ნაწილში მოყვანილია ის შედეგები, რომელსაც სასურველია მიაღწიოს 5-6 წლის ბავშვმა სასწავლო წლის ბოლოსთვის, ანუ სკოლაში შესვლის დროისთვის. ბუნებრივია, ეს შედეგები არ მიიღწევა ერთ დღეში, ან თუნდაც ერთ კვირაში. ამიტომ წლის გეგმაში უნდა ჩაიდოს აქტივობების მიმდევრობა, რომელიც თანდათან (ეტაპობრივად) მიგვიყვანს დასახულ მიზნამდე. აქ მნიშვნელოვანია არ გადავახტეთ შუალედურ ეტაპებს.

მაგალითად, ჯერ უნდა ვასწავლოთ ბავშვს მაკრატლის ხმარება, და მხოლოდ ამის შემდეგ შეიძლება დავისახოთ მიზნად კონტურის მიხედვით გამოჭრის სწავლება, რაც არის მისაღწევი შედეგი ფიზიკური განვითრების სფეროში.

მეორე მაგალითი. ერთ-ერთი მისაღწევი შედეგი შემეცნების სფეროში პორმულირებულია შემდეგნაირად:

ბავშვი ასრულებს მათემატიკურ გარდაქმნებს (მიმატება-გამოკლებას 10-ის ფარგლებში) ყოველდღიურ აქტივობაში სათამაშოებისა და მონეტების გამოყენებით (მაგ., „მე მივეცი გიას ერთი კუბურა. მას ახლა ორი აქვს“).

ცხადია, არ აქვს აზრი ამ შედეგის მისაღწევად აქტივობების დაგეგმვას, თუ ბავშვებმა ჯერ არ ისწავლეს საგნების დათვლა.

მასწავლებელი თემების შერჩევის პროცესში აუცილებლად ისახავს ე.წ. „ოპერატიულ“, ანუ შუალედურ ეტაპზე მისაღწევ მიზნებს. ამაში მას დაეხმარება ბავშვების უახლოესი განვითარების ზონის ცოდნა - ოპერატიული მიზნები ყოველთვის ამ ზონიდან უნდა იყოს აღებული.

წინასწარი გეგმის შედგენა არ ნიშნავს, რომ მასწავლებელს წლის განმავლობაში აღარ შეუძლია მასში ცვლილებების შეტანა. პირიქით, სასწავლო პროცესში მასწავლებელი აქტიურად აკვირდება ბავშვებს, განსაზღვრავს მათ ინტერესებს და, შესაბამისად, ახდენს თემების მოდიფიცირებას.

ნაწილი III

სწავლისა და განვითარების სფეროები, შედეგები და ინდიკატორები

ზემოთ ვისაუბრეთ იმაზე, თუ როგორ უნდა ვიმუშაოთ ბავშვებთან. ამ თავში განვიხილოთ, რა გვინდა ვასწავლოთ მათ და რა უნარები განუვითაროთ. პროგრამის სტუქტურირება ბავშვის განვითარების სფეროების მიხედვით დაგვეხმარება თვალსაჩინოდ დავინახოთ მისაღწევი შედეგები და უფრო მარტივად დავგეგმოთ სასწავლო პროცესი. ამავე დროს მნიშვნელოვანია გვახსოვდეს, რომ ბავშვის განვითარების სფეროების ამგვარი დაყოფა დიდწილად პირობითია, ამ სფეროებს შორის არ არსებობს მკვეთრი საზღვარი. რეალურად მასწავლებლის მიერ დაგეგმილი ნებისმიერი აქტივობა ერთდროულად რამდენიმე სფეროს მოიცავს.

ბავშვის განვითარების სფეროები და გამჭოლი კომპეტენციები

მოცემულ პროგრამაში ბავშვის განვითარების სფეროებად მოიაზრება:

1. ჯანმრთელობა და ფიზიკური განვითარება
2. სოციალურ-ემოციური განვითარება
3. მეტყველების განვითარება
4. შემეცნებითი განვითარება და ზოგადი ცოდნა
5. ესთეტიკა და კულტურა

ცალკე გამოვყავით ის უმნიშვნელოვანესი უნარები, რომლებიც ვითარდება ხუთივე ზემოთ ჩამოთვლილი სფეროს პარალელურად და, შეიძლება ითქვას, აერთიანებს მათ. ამიტომაც ვუწოდებთ ამ უნარებს გამჭოლ კომპეტენციებს. მოცემულ პროგრამაში გამჭოლ კომპეტენციებად განიხილება:

- ცნობისმოყვარეობა და ინტერესი
- ინიციატივა და დამოუკიდებლობა
- ყურადღების კონცენტრაცია
- შემოქმედებითობა და გამომგონებლობა
- პრობლემის გადაჭრა
- აზრის გამოხატვა და რეალობასთან კავშირი
- გააზრება და ინტერპრეტაცია
- კრიტიკული აზროვნება და კვლევა

შედეგები და ინდიკატორები

ქვემოთ დეტალურად არის განხილული, თუ რა შედეგს გვინდა მივაღწიოთ ბავშვის განვითარების თითოეულ სფეროში, ყოველი შედეგისთვის მოყვანილია ინდიკატორები, რომლებიც გვიჩვენებს, მიღწეულია თუ არა ეს შედეგი.

მეტი თვალსაჩინოებისთვის თითიეულ ანვითარების სფეროში მისაღწევი შედეგები და შესაბამისი ინდიკატორები დაჯგუფებულია ქვესფეროების მიხედვით და განაწილებულია ცხრილებში. ასეთი სახით მოცემული მასალა დაეხმარება მასწავლებელს ადვილად გამოიყენოს ის თავის ყოველდღიურ საქმინაობაში.

გამჭოლი კომპეტენციები

ეს ნაწილი იწყება გამჭოლი კომპეტენციებით, რადგან სწორედ ეს კომპეტენციებია საფუძველი და გამაერთიანებელი იმ კონკრეტული უნარებისა, რომლებიც ამა თუ იმ სფეროს მიეკუთვნება.

კომპეტენცია	შედეგი	ინდიკატორები
ცნობისმოყვარეობა და ინტერესი	ბავშვი გამოხატავს ინტერესს და ავლენს ცნობისმოყვარეობას სიახლის მიმართ	• ხალისით დადის სასეირნოდ, ახალი ადგილების გასაცნობად. • უფროსის დახმარებით ეძებს ახალ ინფორმაციას მის მიერვე გამორჩეული ინტერესის სფეროსთან დაკავშირებით. • მონაწილეობს ახალი ღონისძიებებისა და მიმდინარე მოვლენების განხილვაში (მაგ., რატომ მოხდა ეს?).
ინიციატივა და დამოუკიდებლობა	ბავშვი ავლენს ინიციატივასა და დამოუკიდებლობას	• შეუძლია დამოუკიდებელი არჩევანის გაკეთება. დამოუკიდებლად ირჩევს საქმიანობას (მაგ., ისეთ თამაშს, რომელიც უკავშირდება მისი გამორჩეული ინტერესების სფეროს). • არჩეულ საქმიანობას დამოუკიდებლად ართმევს თავს. • გეგმავს მარტივ საქმიანობას და ასრულებს გეგმას უფროსის მცირე დახმარებით. • მიჰყავს საუბარი თავისთვის საინტერესო მიმართულებით.

კომპეტენცია	შედეგი	ინდიკატორები
ყურადღების კონცენტრაცია	ბავშვს შეუძლია შეაჩეროს და შეინარჩუნოს ყურადღება მოცემულ ამოცანაზე მაშინაც, როდესაც აწყდება პრობლემას	• ინარჩუნებს ინტერესს ჩანაფიქრის ან საქმიანობის მიმართ, სანამ ბოლომდე არ მიიყვანს საქმეს, მიუხედავად ხელისშემშელელი ფაქტორებისა. • ისახავს მიზანს და დამოუკიდებლად ცდილობს მის განხორციელებას წინასწარ ჩამოყალიბებული გეგმის მიხედვით. • ჯგუფური აქტივობის დროს ყურადღებას ამახვილებს იმ ობიექტზე ან ადამიანზე, რომელიც იმ მომენტში მთელი ჯგუფის ყურადღების ცენტრშია. • გაგებით ეკიდება წინააღმდეგობებს და აგრძელებს მუშაობას იმედგაცრუების გარეშე (მაგ., როცა ეღვრება წყალი, გადაწმენდს დაღვრილს და ხელახლა დაისხამს).
შემოქმედებითობა და გამომგონებლობა	ბავშვი ყოველდღიურ საქმიანობას უდგება შემოქმედებითად და გამომგონებლურად	• იგონებს წესებს ჯგუფური თამაშისთვის. • თამაშობს როლურ თამაშს (მაგ., გაითამაშებენ სამი გოჭის ამბავს), ან სიმბოლურ თამაშს (მაგ., ექიმობანას ან ძაღლობანას). • ჩანაფიქრის განხორციელებისას იყენებს სხვა დანარჩენი ბავშვებისაგან განსხვავებულ ხერხს (მაგ., ქმნის კუბების განსხვავებულ სტრუქტურას ან ნახატს). • ცვლის ნაცნობ მოთხრობას, გმირების ან მოქმედებების დამატებით.

კომპეტენცია	შედეგი	ინდიკატორები
პრობლემის გადაჭრა	ბავშვი ეძებს პრობლემის გადაჭრის სხვადასხვაგვარ გზებს	• სვამს შეკითხვებს და ელოდება პასუხს, რათა გადაჭრას ესა თუ ის პრობლემა. • მუშაობს ჯგუფის სხვა წევრებთან ერთად პრობლემის გადაჭრაზე და გადაწყვეტილების მიღებისას იყენებს სხვადასხვა სტრატეგიას. • ხვდება, რომ რაღაც კონკრეტულ საკითხზე, საგანზე მუშაობა მისთვის შეიძლება რთული იყოს (მაგ., „ეს ფაზლი - ბევრ პატარა ფირფიტად ან კუბად დანაწევრებული სურათი - ძნელად ასაწყობი იქნება“). • წყვეტს ამოცანას, აწყობს 12-16-ნაწილიან ფაზლს. • იყენებს კონკრეტული პრობლემის გადაჭრის ერთზე მეტ გზას.
აზრის გამოხატვა და რეალობასთან კავშირი	ბავშვი წარმოადგენს საგნებს სიმბოლოების მეშვეობით; განასხვავებს ფანტაზიას რეალობისაგან	• ცნობს ნახატ სიმბოლოებს, რომლებიც გადმოსცემენ ადგილის დანიშნულებას (მაგ., გადასასვლელის, მიწისქვეშა გადასასვლელის, მედ. პუნქტის, საპირფარეშოს აღმნიშვნელ სიმბოლოებს). • თხრობის დროს იშველიებს საგნებს, სურათებს, სიმბოლოებს მეტი თვალსაჩინოებისათვის (მაგ., როდესაც რაღაცას აღწერს). • იყენებს განსხვავებულ საგნებს როგორც სიმბოლოებს როლური თამაშის დროს. • შეუძლია დაასახელოს ის მომენტი, როცა ფანტაზია ჩართულია რეალობაში (მაგ., „მე მხოლოდ ვთამაშობდი“, - ამბობს ბავშვი, როდესაც რაღაც წარმოსახვით თამაშშია ჩართული). • შეუძლია ახსნას, გმირები, პერსონაჟები, საგნები, ადგილები, რომლებსაც წიგნებში, ტელევიზორში თუ კომპიუტერის ეკრანზე ხედავს, რატომ შეიძლება იყვნენ არარეალურები.

კომპეტენცია	შედეგი	ინდიკატორები
გააზრება და ინტერპრეტაცია	ბავშვს შეუძლია ისწავლოს საკუთარ გამოცდილებაზე დაყრდნობით	• იმახსოვრებს და აღწერს წარსულში მომხდარ მნიშვნელოვან მოვლენებსა და საინტერესო ამბებს. • ცდილობს მოიპოვოს ინფორმაცია, რათა გაერკვეს მომავალში მოსალოდნელ მოვლენებში. • ჩანაფიქრის განხორციელებისას იყენებს ინფორმაციის სხვადასხვა წყაროს. • გეგმავს ღონისძიებებს და მიზნის დასახვისას ითვალისწინებს გამოცდილებას.
კრიტიკული აზროვნება და კვლევა	1. ბავშვი ადარებს ობიექტებს, ეძებს მსგავსებასა და განსხვავებას, აფასებს მოვლენებს 2. ბავშვი ობიექტებზე ინფორმაციას დაკვირვების, ცდისა და შეცდომის მეთოდით იღებს	• აკვირდება ობიექტს ან მოვლენას, იკვლევს და სვამს შეკითხვებს ახალი ან დამატებითი ინფორმაციის მისაღებად. • შეუძლია საკმაოდ დამაჯერებელი, აზრიანი ახსნა ამა თუ იმ საკითხისა, უფროსის დახმარების გარეშე (მაგ., ამბობს, რომ ბურთზე ვერ დადებს კუბს, რადგან ბურთი მრგვალია და გაგორდება). • აჯგუფებს საგნებს ერთზე მეტი წინასწარ აღებული თვალსაჩინო მახასიათებლის მიხედვით (მაგ., მოცემულია სხვადასხვა ფერის ფანქრები და ფლომასტერები, ბავშვი, მოთხოვნის მიხედვით, აჯგუფებს წითელი ფერის ფანქრებს ერთ მხარეს და ასევე წითელი ფერის ფლომასტერებს - მეორე მხარეს). • აღწერს სხვადასხვასვა დღეს მომხდარ მოვლენებს „შედარებითი“ სიტყვების გამოყენებით (მაგ., დღეს „უფრო მეტი ვიარეთ, ვიდრე გუშინ). • ადარებს თავის გამოცდილებას თანატოლისას და ითვალისწინებს გადაწყვეტილების მიღებისას. • შეუძლია ახსნას არჩევანის საფუძველი.

სფერო - შემეცნება და ზოგადი ცოდნა

გარე სამყაროს შემეცნების სურვილი და ინტერესი არის ბავშვის თანდაყოლილი თვისება, და მასწავლებელმა ყველანაირად უნდა შეუწყოს ხელი ამ ინტერესის განვითარებას, შეუქმნას ბავშვს ექსპერიმენტირების, კითხვების დასმისა და პასუხების მოძიების საშუალება. ბავშვებს უნდა მიეცეს საშუალება აწარმოონ დაკვირვებები, დაგეგმონ საკუთარი კვლევები და შეამოწმონ ვარაუდები, მოუძებნონ ფაქტებს (სწორი თუ არასწორი) ინტერპრეტაციები. ბავშვი მაქსიმალურად აქტიურად, უშუალო გამოცდილების საფუძველზე, უნდა იყოს ჩართული გარე სამყაროს შემეცნებაში.

მასწავლებელმა უნდა შეიტანოს ჯგუფში ისეთი ხელსაწყოები და მასალები, როგორიცაა მაგნიტები, გამადიდებელი შუშები, სასწორები, სარკეები, ბორბლები, სხვადასხვა თვისებების მქონე ფხვიერი მასალები და სითხეები. მისცეს ბავშვებს საშუალება დააკვირდნენ ბუნებაში მიმდინარე პროცესებსა და მოვლენებს, ცოცხალი ორგანიზმების განვითარების ციკლებს, დათესონ, დარგონ, მოუარონ მცენარეებს. მასწავლებელმა უნდა შესთავაზოს ბავშვებს მათემატიკური (ლოგიკური) აზროვნების განმავითარებელი თამაშები, ეს არის როგორც ლოტოები და ფაზლები, ასევე ნებისმიერი სხვა თამაშები, რომელიც საჭიროებს დათვლას, ანგარიშს, გაზომვას და შედარებას, განაწილებას, სქემებისა და ცხრილების შედგენას, სივრცეში ორიენტირებას და სხვა. ასეთი აქტივობის შედეგად ბავშვს უვითარდება:

- კრიტიკული და ლოგიკური აზროვნების უნარი;
- ინტერესი და ცნობისმოყვარეობა;
- თანამშრომლობის უნარი;
- შემოქმედებითი მოქმედებისა და აზროვნების უნარი;
- ცოდნის, ფაქტებისა და მტკიცებულებების პატივისცემა;
- გახსნილი, მიუკერძოებული აზროვნების უნარი;
- ბუნებისადმი მზრუნველობითი დამოკიდებულება.

ქვესფერო	შედეგი	ინდიკატორები
დედამიწა და გარემო	1. ბავშვი შეისწავლის მის უშუალო ბუნებრივ გარემოს და ამ გარემოში დროთა განმავლობაში მომხდარ ცვლილებებს; 2. იცის და სწორად შეუძლია განასხვაოს სხვადასხვა სახის ლანდშაფტები და ბუნებრივი პირობები.	• აკვირდება და სწავლობს, რა ცვლილებები ხდება ბუნებაში წლის განმავლობაში, ცნობს წელიწადის დროებს და იცის, რა არის მათთვის დამახასიათებელი. • წიგნებისა (სურათების) და მულტიმედიური საშუალებების გამოყენებით ეცნობა განსხვავებული ბუნების ადგილებს და ლანდშაფტებს (უდაბნო, ოკეანე, ჯუნგლები, არქტიკა და ა.შ.), სვამს კითხვებს მათი განსხვავებების შესახებ.

ქვესფერო	შედეგი	ინდიკატორები
დედამიწა და გარემო		• ასახელებს ადამიანის აქტივობებს, რომელიც იწვევს გარემოს ცვლილებებს (მაგ., სახლების მშენებლობა, ხეების ჭრა, ბაღების გაშენება, გზების გაყვანა). • იცის, თუ როგორ უნდა მოუფრთხილდეს ბუნებას, გარემოს და ამას ყოველდღიურობაში ახორციელებს (მაგ., ქუჩაში ნაგავს ურნაში ყრის, წყალს მოშვებულს არ ტოვებს, ხეს ტოტს არ სტეხს).
ცოცხალი სამყაროს აღმოჩენა	ადვილად დაკვირვებადი ნიშნების/მახასიათებლების მიხედვით ბავშვი შეისწავლის მცენარეებს, ცხოველებს და ადამიანებს, მათ ურთიერთდამოკიდებულებას მათ საარსებო გარემოსთან და ერთმანეთთან	• ბავშვმა იცის საკუთარი სხეულის ნაწილები, აგებულება, აქვს წარმოდგენა ზოგიერთი შინაგანი ორგანოს ფუნქციონირების შესახებ. • იცის გრძნობის ორგანოების შესახებ, ვერბალურად აღწერს უშუალო შეგრძნებებს. • აკვირდება და აღწერს მცენარეების დამახასიათებელ ნიშან-თვისებებს (მაგ., იცის, რა არის ფესვი, ღერო, ნაყოფი და ა.შ.). • მასწავლებლის დახმარებით აკვირდება და აღწერს მცენარეთა განვითარების წლიურ ციკლს. • ცნობს მცენარეებს (ხეებს, ყვავილებს) მის უშუალო გარემოში, იცის ზოგიერთის სახელები. • უფროსებთან ერთად მონაწილეობს მცენარეთა დარგვა-დათესვებში, უვლის ეზოს და ოთახის მცენარეებს. • მასწავლებლის დახმარებით აკვირდება და აღწერს მწერების, ფრინველებისა და ცხოველების ნიშან-თვისებებს, ყურადღებას ამახვილებს მათ შორის განსხვავებებზე. • ცნობს შინაურ ცხოველებსა და ფრინველებს, აგრეთვე საქართველოში მობინადრე ზოგიერთ გარეულ ცხოველსა და ფრინველს, იცის მათი სახელები. • უფროსების ხელშეწყობით აკვირდება გარეული და შინაური ფრინველების კვებისა და განვითარების ციკლის თავისებურებებს.

ქვესფერო	შედეგი	ინდიკატორები
		• უფროსის დახმარებით აღწერს ცხოველებს, მცენარეებსა და გარემოს შორის ურთიერთდამოკიდებულებას. • აქვს წარმოდგენა გადაშენებული ცხოველების შესახებ, იცის, რა არის ნაკრძალი.
საგნებისა და მოვლენების აღმოჩენა	1. ბავშვი შეისწავლის მის უშუალო გარემოში არსებულ საგნებს, მასალებს და ნივთიერებებს	• ბავშვი მის უშუალო გარემოში (საკლასო ოთახი, ეზო, ბინა) პოულობს მსგავსი მასალისგან დამზადებულ საგნებს (მაგ., ხის კუბურები, ხის სკამი, ხის კოვზი, ხის საკიდი). • მის უშუალო გარემოში პოულობს სხვადასხვა მასალისგან დამზადებულ მსგავსი დანიშნულების საგნებს (მაგ., პლასტმასის კოვზი, ლითონის კოვზი, ხის კოვზი). • განარჩევს მასალების თვისებებს - ფერი, ტექსტურა, სუნი. • თვითონ ან მასწავლებლის მითითებით ექსპერიმენტირებს ფხვიერ და თხევად ნივთიერებებთან (მაგ., აკვირდება სხვადასხვა სითხეების შერევას, სითხეში სხვადასხვა ნივთიერების გახსნას და ა.შ.). • უშუალო დაკვირვების საფუძველზე სწავლობს, თუ რა ხდება დაჭრის, გახეხვის, შეწებების, გაცხელების, გაციების, მოღუნვის, დაგრეხვის, სითხის ერთი ჭურჭლიდან მეორეში გადასხმის შედეგად. • ცნობს და იყენებს მარტივ ხელსაწყოებს (მაგ., სასწორი, ძაბრი, გამადიდებელი შუშა, ჩაქუჩი, მაკრატელი, ქაღალდის სახვრეტი, სათქვეფელა). • სვამს შეკითხვებს - რისგან, ან როგორ მზადდება ესა თუ ის ნივთი (ქსოვილი, ტანსაცმელი, ფეხსაცმელი, ავეჯი).

ქვესფერო	შედეგი	ინდიკატორები
საგნებისა და მოვლენების აღმოჩენა	2. ბავშვი იყენებს ტექნიკას შესაბამისი დანიშნულებით	• სვამს კითხვებს იმ სხვადასხვა ტექნიკურ საშუალებასა და საყოფაცხოვრებო მოწყობილობაზე თუ სხვა, რომლებიც ადამიანს ეხმარება ყოველდღიურ საქმიანობაში (მაგ., როგორ გადაადგილდებოდნენ, როდესაც არ იყო მანქანები). • უფროსის დახმარებით იწყებს იმ ტექნიკური საშუალებების გაცნობას, რომლებიც მის ირგვლივაა.
	3. ბავშვი შეისწავლის სხვადასხვა ფიზიკური ძალების ზემოქმედებას ლოკალური გარემოს ობიექტებზე	• გამოთქვამს ვარაუდს და პრაქტიკულად ამოწმებს ხახუნის, ინერციის და მაგნიტური ძალების მოქმედების ზეგავლენას სხეულის მოძრაობაზე (მაგ., ასრიალებს კუბურას ხაოიან და გაპრიალებულ ზედაპირზე, აკვირდება მაგნიტის მოქმედებას სხვადასხვა მასალისგან დამზადებულ სხეულებზე). • ამოიცნობს ბუნებრივი და ხელოვნური სინათლის, სითბოს და ბგერის წყაროებს (მაგ., მზე და ნათურა; ქარი და რადიო). • ატარებს მარტივ ცდებს (ინსტრუქციის მიხედვით და/ან საკუთარი ფანტაზიით) სხეულებზე სინათლისა და სითბოს ზემოქმედების შედეგების დასაკვირვებლად (მაგ., სითბოს ზემოქმედება ყინულზე, სინათლის გავრცელება და ჩრდილები). • ატარებს მარტივ ცდებს ბგერის წყაროს ჟღერადობის ცვლილების მიზეზებზე დასაკვირვებლად (მაგ., შუშის ბოთლში წყლის რაოდენობის ზეგავლენა მის ჟღერადობაზე). • აღწერს (მაგ., „გავიგონე“, „დავინახე“, „ვიგრძენი“) სინათლის, სითბოსა და ბგერის ზემოქმედებაზე დაკვირვებისას მიღებულ შთაბეჭდილებებს. ეყრდნობა სხვადასხვა შეგრძნების (სმენა, მხედველობა, გემო, სუნი, შეხება) საშუალებით მიღებულ ინფორმაციას.

ქვესფერო	შედეგი	ინდიკატორები
საგნებისა და მოვლენების აღმოჩენა		• იცავს უსაფრთხოების ზომებს სითბოს, სინათლის და ბგერის წყაროებთან ურთიერთობისას (მაგ., ძალიან ხმამაღლა არ უწევს მაგნიტოფონს, სინათლის წყაროს პირდაპირ ხანგრძლივად არ უმზერს და არც თანატოლებს ანათებს თვალებში).
ლოგიკური აზროვნების განვითარება	1. ბავშვი ავლენს ციფრების ცოდნას და შეუძლია დათვლა	• ირჩევს და ქმნის მოცემული რიცხვის შესაბამისი რაოდენობის საგანთა ერთობლიობას და პირიქით, მოცემულ საგანთა ერთობლიობას შეუსაბამებს რიცხვს. • შეუსაბამებს რაოდენობას მის რიცხვით გამოსახულებას. • დამოუკიდებლად ითვლის 21-მდე. • ასრულებს მათემატიკურ გარდაქმნებს (მიმატება-გამოკლებას 10-ის ფარგლებში) ყოველდღიურ აქტივობაში სათამაშოებისა და მონეტების გამოყენებით (მაგ.: მე მივეცი გიას ერთი კუბურა. მას ახლა ორი აქვს). • შეუძლია რიცხვის გამოყენება რიგითობის აღსანიშნავად (ზეიმზე პირველი გამოდის მარიკა, მეორე ლევანი; წამყვანის შემდეგ გამოდის ნინო და მღერის).
	2. ბავშვი აღიქვამს და აფასებს ზომას, მოცულობას, სიმაღლეს, სიგრძეს და წონას	• ესმის, რომ რაოდენობა რჩება იგივე, მიუხედავად ობიექტის ფორმის ცვლილებისა. • შეუძლია საგანთა რაოდენობრივი შედარება პრაქტიკულ მაგალითზე დაყრდნობით (მაგ., სწორად ხმარობს ტერმინებს ტოლია, არ არის ტოლი, მეტია, ნაკლებია).

ქვესფერო	შედეგი	ინდიკატორები
ლოგიკური აზროვნების განვითარება	3. ბავშვი იცნობს ბრტყელ და მოცულობით ფიგურებს და ამოიცნობს მათ განსხვავებულ სიტუაციებში.	• ასახელებს მარტივ გეომეტრიულ ფიგურებს (სამკუთხედი, ოთხკუთხედი, წრე), იცის მათი ელემენტარული მახასიათებლები; • შეუძლია იპოვოს სურათზე მითითებული ფორმა (მაგ., სურათზე ხატია მაღაზია, ბავშვმა უნდა მოძებნოს ხუთი ვაშლი, ოთხი სამკუთხედი და ა.შ.). • დანაწევრებული ელემენტებისგან აგებს მითითებული ფორმის ფიგურას (მაგ., სამკუთხედებით ადგენს სხვა გეომეტრიულ ფიგურას).
	4. ბავშვი აჯგუფებს საგნებს ზომის, ფორმისა და დანიშნულების, ან სხვა კანონზომიერების მიხედვით	• შეუძლია საგნების დაჯგუფება ერთი თვალსაჩინო ნიშნით (მაგ., აჯგუფებს ბრტყელ და მოცულობით ფიგურებს ფერის, ზომის ან ფორმის მიხედვით), აყალიბებს დაჯგუფების პრინციპს. • ამოიცნობს დაჯგუფების პრინციპს უკვე არსებული სიმრავლისათვის. • ალაგებს მსგავსი ფორმის გეომეტრიულ ფიგურებს პატარადან დიდამდე და პირიქით, დიდიდან პატარამდე. • შეუძლია გაიმეოროს რაიმე სახის მიმდევრობა (მოქმედება, ხმა, ფერი,ზომა, ფორმა ან ორიენტაცია) და აღწეროს მოცემული მიმდევრობა. • თავად ქმნის მიმდევრობას ნახატის, საგნების, ბგერების ან სხვა მოქმედების (მაგ., ტაში, ხელების აწევა, ბუქნი) საშუალებით და აღწერს თანმიმდევრობას (მაგ., სამი ტაშის შემდეგ ორი ბუქნი, სამი ტაში, ორი ბუქნი).

ქვესფერო	შედეგი	ინდიკატორები
ლოგიკური აზროვნების განვითარება	5. ბავშვი განასხვავებს მოვლენათა მიმდინარეობის დროს - წარსულს, აწმყოსა და მომავალს	• ადეკვატურად იყენებს დროის აღმნიშვნელ სიტყვებს - გუშინ, დღეს, ხვალ; სწორად პასუხობს კითხვაზე, როგორი ამინდი იყო გუშინ. • იცის კვირის დღეები, ესმის მათი მიმდევრობა. • შეუძლია გადმოსცეს საკმაოდ რთული ამბავი, ისტორია სწორი თანამიმდევრობით (მაგ., ისტორია, რომელიც რამდენიმე მოქმედებისაგან შედგება და რამდენიმე პერსონაჟი ჰყავს). • აქვს წარმოდგენა იმაზე, რომ წარსულში ადამიანები განსხვავებულად ცხოვრობდნენ, ვიდრე დღეს (იცის, რომ იყო დრო, როდესაც კომპიუტერი, მანქანა, ტელევიზორი არ არსებობდა).
	6. ბავშვს შეუძლია საკუთარი თავის, გარემოში არსებული ობიექტების მდებარეობის აღქმა და საგნებს შორის სივრცითი მიმართების დადგენა	• არჩევს მარჯვენას და მარცხენას საკუთარი სხეულის ნაწილებზე, სივრცეში და ფურცელზე (მაგ., შეუძლია ფურცლის ზემოთა მარჯვნა კუთხის ჩვენება). • საუბარში იყენებს ისეთ სიტყვებს, როგორიცაა ახლოს, შორს, წინ, უკან, მარჯვნივ, მარცხნივ. • შეუძლია ლაბირინთში გზის გაკვლევა.
	7. ბავშვს ესმის, სწვდება მიზეზშედეგობრივ კავშირებს	• შეუძლია ივარაუდოს რაიმე ქცევასთან დაკავშირებული შესაძლო შედეგი (მაგ., ღამე, როდესაც შუქს ჩავაქრობ, დაბნელდება). • შეუძლია განსაზღვროს, სხვადასხვა გარემოებიდან გამომდინარე, თუ რამდენად განსხვავებული შედეგი შეიძლება მიიღოს (მაგ., ყვითელი და წითელი ფერის შერევით ნარინჯისფერი მიიღება, ხოლო ყვითელი და ლურჯის შერევით - მწვანე). • შეუძლია განსაზღვროს საგნის (ობიექტის) რომელი ელემენტები (ნაწილები) იწვევს ამა თუ იმ ეფექტს (მაგ., დახურული ყუთში ლობიოს მარცვლები ჩხრიალებს).

სფერო - სოციალურ-ემოციური განვითარება

სკოლამდელი განათლების საფეხურზე მნიშვნელოვანია საფუძველი ჩაეყაროს ისეთი უნარების და კონპეტენციების განვითარებას, როგორიცაა: დამოუკიდებლობა, ტოლერანტობა, თანაგრძნობა, თავდაჯერებულობა, თანამშრომლობა, საზოგადოებრივი ნორმების დაცვა და სხვა; სწორედ ამ ტიპის უნარების სრულყოფილად განვითარების შემთხვევაში ყალიბდება პიროვნება მოქალაქედ და საზოგადოების სრულფასოვან წევრად. ზემოთ ჩამოთვლილი უნარები სოციალურ-ემოციური განვითარების სფეროს მიეკუთვნება; შესაბამისად, სასკოლო მზაობის კუთხით მუშაობისას ამ სფეროს განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება. იმისათვის, რომ მასწავლებელმა ხელი შეუწყოს ამ უნარების განვითარებას, სასურველია ხშირად გამოიყენოს როლური თამაშების მეთოდიკა, ატაროს ბავშვები სხვადასხვა ტიპის ექსკურსიებზე, გააცნოს სხვადასხვა პროფესიები, ათამაშოს ისეთი თამაშები, რომლებიც ყურადღების კონცენტრაციას და დამოუკიდებლად გადაწყვეტილების მიღებას საჭიროებს (ლეგო, საბავშვო ლოტო, ასაწყობი ფაზლი და სხვა), წაუკუთხოს პატარებს წიგნები, სადაც სხვადასხვა ტიპის ტრადიციებზე და წესებზეა საუბარი, განუვითაროს მათ თვითმომსახურების უნარი, დაეხმაროს ბავშვებს კონფლიქტის პოზიტიურად მოგვარებაში და მათაც მისცეს საშუალება კონფლიქტის მოგვარების სხვადასხვა გზები აირჩიონ.

ქვესფერო	შედეგი	ინდიკატორები
ემოციური განვითარება	1. ბავშვი შესაბამისად გამოხატავს ემოციებს და გრძნობებს და ახერხებს მათ მართვას	• იმშვდებს საკუთარ თავს და აკონტროლებს გრძნობების გამოხატვას უფროსის დახმარებით (მაგ., გამოხატავს ბრაზს ან წყენას ჩხუბის გარეშე). • შესაბამის გრძნობებს ავლენს ყოველდღიურ ცხოვრებაში მომხდარ მოვლენებთან და წიგნებში აღწერილ ამბებთან დაკავშირებით.
	2. ბავშვი აღიქვამს თავს საზოგადოების წევრად-გაცნობიერებული აქვს ოჯახის, სკოლის, სამშობლოს და სხვა ცნებები და იცავს შესაბამის ქცევის წესებს	• იცავს წესებს შესაბამის გარემოში (მაგ., დაუწევს ხმას, როდესაც თეატრში ან ბიბლიოთეკაში შედის). • მარტივად ყვება საკუთარი ბაღის და ოჯახის შესახებ (მაგ., ჩვენს ჯგუფს ბაღში „ცისარტყელა“ ქვია; ჩემი და და მე ხშირად დავდივართ სტუმრად ჩვენს დეიდასთან).

ქვესფერო	შედეგი	ინდიკატორები
ემოციური განვითარება	3. ბავშვი აღიქვამს თავს სხვებისგან გამოცალკევებულად 4. არის თავდაჯერებული და ამაყობს მიღწევებით	• მუშაობს დამოუკიდებლად და ამით სიამოვნებას იღებს. • ფლობს საკუთარი თავის შესახებ მონაცემებს (მისამართი, ტელეფონი) და უზიარებს ამ ტიპის ინფორმაციას სხვას. • განოხატავს კმაყოფილებას საკუთარი ნამუშევრის დასრულებისას და იგივეს მოელის სხვისგანაც (მაგ.: ნახეთ, რა ლამაზი ფისო დავხატე!). • ამჟღავნებს, რომ იცნობს საკუთარ თვისებებს, შესაძლებლობებსა და სურვილებს (იცის როგორია, რა სურს და რა შეუძლია). • აღწერს საკუთარ უნარებს და შესაძლებლობებს (მაგ.: მე სირბილი კარგად შემიძლია). • აღწერს საკუთარ თავს რამდენიმე ფიზიკური და ქცევითი მახასიათებლის მიხადვით.
სოციალური განვითარება	1. ბავშვი ავლენს დამოუკიდებლად მოქმედების უნარს	• იღებს პასუხისმგებლობას და ბოლომდე ასრულებს ნაკისრ ვალდებულებას (მაგ.: მე ჩავაწყობ სათამაშოებს ყუთში). • ამჟღავნებს ინიციატივას და დამოუკიდებლად ირჩევს საქმიანობას.
	2. ბავშვი სრულფასოვნად ურთიერთობს თანატოლებთან და უფროსებთან-ავლენს კონფლიქტის მოგვარების და თანამშრომლობითი ურთიერთობის უნარებს	• მსჯელობს საკუთარ უფლებებზე ოჯახში და სოციუმში და იქცევა შესაბამისად. • მიილტვის კონფლიქტის ალტერნატიული გზებითმშვიდობიანად მოგვარებისაკენ. • გამოხატავს ნდობას და კეთილგანწყობას უფროსების მიმართ. • ჰყავს მეგობრები სხვადასხვა ადგილას (ეზოში, ბაღში). • სრულფასოვნად ერთვება თამაშის პროცესში (გეგმავს თამაშს, ითვალისწინებს დანარჩენების სურვილებს, უნაწილებს სხვებს სათამაშოებს და ა.შ.). • ითვალისწინებს უფროსის გადაწყვეტილებას და რჩევას.

ქვესფერო	შედეგი	ინდიკატორები
ემოციური განვითარება	3. არის ტოლერანტი აცნობიერებს ადამიანების განსხვავებულ სტატუსსა და ფუნქციებს და იცავს შესაბამის ქცევის ნორმებს	• თავისუფლად თამაშობს განსხვავებული სქესის, წარმომავლობის და შესაძლებლობების ბავშვთან. • ესმის, რას გრძნობენ სხვები, პატივს სცემს სხვის აზრს.
	4. ბავშვი ავლენს თავის მოვლის, დღის განრიგის, საგზაო მოძრაობის და სხვა წესების დაცვის უნარს	• იცის და იცავს გადასასვლელზე გადასვლის წესებს (იცის შუქნიშნის ფერების, მიწისქვეშა გადასასვლელის მნიშვნელობა და ა.შ.). • იცავს დღის განრიგს (მაგ., ამბობს „ახლა კითხვის დროა“). • დამოუკიდებლად შეუძლია გახდა, ჩაცმა, ხელის დაბანა და სხვა პირად ჰიგიენასთან დაკავშირებული ქმედებების შესრულება. ესმის მათი მნიშვნელობა (მაგ., თუ კბილებს ყოველ დილით არ გავიხეხავ, კბილები გამიფუჭდება და ა.შ.).

სფერო - მეტყველების განვითარება

მეტყველების სრულფასოვან განვითარებას უდიდესი როლი აქვს სასკოლო მზაობის ეტაპზე; ეს სფერო მოიცავს როგორც ზეპირი მეტყველებისა და კითხვის, ასევე წერის კომპეტენციებს. აღსანიშნავია, რომ სწორედ ამ ასაკში უყალიბდებათ ბავშვებს გამართულად მეტყველების უნარი, დამოკიდებულება ნაბეჭდი მასალის/წიგნების მიმართ, ის საბაზისო ცოდნა, რომელიც სკოლის ეტაპზე წერისა და კითხვის დაუფლებისათვის აუცილებელია. ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე აუცილებელია მასწავლებელმა აქტიურად იმუშაოს მეტყველების განვითარების კუთხით. სასწავლო პროცესი მდიდარი უნდა იყოს ისეთი აქტივობებით, როგორიცაა: ბავშვებისთვის მრავალფეროვანი წიგნების შეთავაზება, ყოველდღიურად კითხვა, ენის გასატეხებში ვარჯიში, სიტყვების დამარცვლა, მოსმენილის გადმოცემა სხვადასხვა ფორმით, მარტივი წერითი (წერისთვის მოსამზადებელი) სავარჯიშოების შესრულება. აუცილებელია სათანადო ყურადღება დაეთმოს იმ ბავშვებს, რომლებისთვისაც ქართული არაა მშობლიური ენა, მათთვის აუცილებელია მრავალფეროვანი და განსაკუთრებული აქტივობების მოფიქრება. ასეთ ბავშვებთან კონტაქტის დასამყარებლად სასურველია მასწავლებელმა ისწავლოს რამდენიმე ელემენტარული სიტყვა მათ მშობლიურ ენაზე.

ქვესფერო	შედეგი	ინდიკატორები
მოსმენა და ზეპირი მეტყველება	1. ბავშვს შეუძლია მოსმენა და მოსმენილის მნიშვნელობის გაგება (რეცეპციული მეტყველება)	• შეუძლია საპირისპირო მნიშვნელობის სიტყვების (არსებითი და ზედსართავი სახელების, დროისა და სივრცითი მიმართებების აღმნიშვნელი ზმნიზედების, მაგ., დღე - ღამე; მაღალი - დაბალი; ზევით-ქვევით) დასახელება. • ინტერესით უსმენს ზღაპრებს, მოთხრობებს, შეუძლია განასახიეროს ის, რაც მოისმინა.
	2. ბავშვი იყენებს სიტყვებს, ჟესტიკულაციას თავისი აზრებისა და გრძნობების გამოსახატავად და საუბრობს გამართულად (ექსპრესიული, პროდუქტიული მეტყველება)	• შეუძლია მოკლე ამბის თანმიმდევრულად, ქრონოლოგიურად მოყოლა. • ცდილობს გამოიყენოს ახლად ნასწავლი სიტყვები კონტექსტის შესაბამისად. • იყენებს რთულ წინადადებებს, ხმარობს მაქვემდებარებელ კავშირებს: რომ, თუ, რომელიც, რადგან. • იყენებს როგორც დროისა და ადგილის ზმნიზედებს, ასევე ზმნისწინებს სივრცითი და და დროითი მიმართების გამოსახატავად.
	3. არაქართველი ბავშვი იყენებს ქართულ ენას სხვადასხვა მიზნისთვის	• ასრულებს 2-3 საფეხურიან ინსტრუქციას • უსმენს მოკლე ამბავს და შეუძლია ორი სამი წინადადებით შინაარსის გადმოცემა. • შეუძლია საკუთარ თავზე ინფორმაციის მოწოდება.
კითხვა	1. ბავშვს აქვს უნარი სამეტყველო ნაკადში გამოყოს ბგერები და სიტყვები (ფონოლოგია)	• შეუძლია გამოყოს, დაასახელოს სიტყვის პირველი ბგერა. • შეუძლია მარცვლების გაერთიანება ერთ მთლიან სიტყვად (მაგ., თი-ვა - რა სიტყვაა? – „თივა!“). • შეუძლია მოსმენისას სამეტყველო ნაკადში გამოარჩიოს წინასწარ მითითებული სიტყვა. • თამაშის დროს ბავშვს შეუძლია დამარცვლით გაითვალოს.

ქვესფერო	შედეგი	ინდიკატორები
კითხვა	2. ბავშვი გამოხატავს ინტერესს ნაბეჭდი მასალის მიმართ და ესმის მისი სიმბოლური მნიშვნელობა	• ინტერესდება ისეთი სიტყვებით, რომლებიც მას ხშირად ხვდება გარემოში (მაგ., წარწერით საკვებ ყუთზე, იმ გაზეთის ან ჟურნალის სათაურით, რომელსაც ხშირად ხედავს) და ცდილობს ამოიკითხოს. • აინტერესებს კავშირი რეალობასა და წიგნში წაკითხულ შინაარს შორის, სვამს შეკითხვებს. • ცნობს დაწერილ საკუთარ სახელს, ხშირად ნახმარ რამდენიმე სიტყვას, წარწერას. • რომელიღაც წიგნი განსაკუთრებით უყვარს და ჰყავს საყვარელი პერსონაჟი. • იჩენს ინტერესს სხვადასხვა შინაარსის წიგნების მიმართ
წერა	1. ბავშვი იწყებს წერის უნარის განვითარებას	• თამაშის დროს ბაძავს სხვადასხვა წერით მოქმედებას. • ნახატებსა და სურათებს ურთავს მოკლე მარტივ წარწერას (მაგ., აწერს საკუთარ სახელს). • ცდილობს ასოების გამოყვანას: რაღაც იდეის აზრის გამოსახატავად, ცდილობს ამ ასოებს სასურველი ფორმა მისცეს.

სფერო - ესთეტიკა და კულტურა

როდესაც ადამიანს შეუძლია სიამოვნება მიიღოს ხელოვნების სხვადასხვა ნაწარმოებისგან, თავად იყოს შემოქმედებითი ცხოვრებაში, ეზიარებოდეს და აფასებდეს სხვადასხვა ერების კულტურებს, ეს ყველაფერი მის ჰარმონიულ განვითარებაზე მეტყველებს. ზემოთ ჩამოთვლილ თითოეულ უნარს საფუძველი სწორედ სასკოლო მზაობის ეტაპზე ეყრება. იმისათვის, რომ ბავშვებს ამ ტიპის უნარები განუვითარდეს, მასწავლებელმა ხშირად უნდა მისცეს მათ საშუალება დაათვალიერონ ხელოვნების ნიმუშები და ისაუბრონ მათზე, თავად შექმნან მრავალფეროვანი ნამუშევრები, გაეცნონ სხვადასხვა კულტურის ნიმუშებს, თავად მიიღონ მონაწილეობა კულტურულ რიტუალებში.

ქვესფერო	შედეგი	ინდიკატორი
შემოქმედების აღქმა და გაგება	ბავშვს შეუძლია აღიქვას და სიამოვნება მიიღოს ხელოვნების ნაწარმოებისგან	• ბავშვს შეუძლია სხვადასხვა წარმომავლობის და სახის ხელოვნების ნიმუშის ცნობა და გაანალიზება. • ბავშვს შეუძლია ხელოვნების ნაწარმოების აზრის, განცდის ან ნამუშევარით მიღებული შთაბეჭდილების სიტყვიერად გადმოცემა.
შემოქმედებითი თვითგამოხატვა	ბავშვი იყენებს შემოქმედებით უნარებს აზრების, გრძნობების და ცოდნის გამოსახატავად.	• ბავშვს შეუძლია სხვადასხვა სახის ნამუშევრის შექმნა, ნააზრევის, განცდილის გადმოცემა ფორმებით და ფერებით, სხვადასხვა ტიპის მასალების გამოყენებით. • ბავშვს შეუძლია აღიქვას ხმის განსხვავებული ჟღერადობები, რიტმული ნახაზები და მიბაძოს მათ. • ბავშვს შეუძლია გამოხატოს საკუთარი განწყობა, ემოციები მუსიკისა და პლასტიკის (სხეულის მოძრაობის) საშუალებით.
კულტურა	ბავშვი ამჟღავნებს საკუთარი და სხვა ქვეყნების კულტურის და ტრადიციების ცოდნას, პატივისცემას.	• ცნობს ეროვნულ მუსიკას, ცეკვას, საკვებს, ტანსაცმელს. • მონაწილეობს ეროვნულ-ტრადიციულ დღესასწაულებში (რთველში, ჩურჩხელების ამოვლებაში). • გამოხატავს ინტერესს სხვა კულტურის ხალხთა ეროვნული მუსიკის, ცეკვის, საკვებსა და ტანსაცმლის მიმართ. • ყურადღებით ისმენს სხვა ერების ლეგენდებს, ზღაპრებს, სიმღერებს.

სფერო - ჯანმრთელობა და ფიზიკური განვითარება

ბავშვის ფიზიკური უნარების განვითარება დიდ როლს თამაშობს მისი ჯანმრთელობის მდგომარეობისა და სასკოლო მზაობისთვის. აუცილებელია სკოლაში შესვლისთვის ბავშვს საკმარისად ჰქონდეს განვითარებული მსხვილი მოტორიკა, რათა მან შეძლოს მერხთან ჯდომა გარკვეული დროის განმავლობაში, ნატიფი მოტორიკა, რათა შეძლოს წერის ათვისება და ა.შ. ასევე უნდა გვახსოვდეს, რომ ფიზიკური და შემეცნებითი უნარების განვითერება ადრეულ ასაკში მჭიდროდ არის ერთმანეთთან დაკავშირებული, და, შესაბამისად, ფიზიკური უნარების განვითარების ხელშეწყობა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სკოლამდელი განათლების კონტექსტში.

მასწავლებელმა ყოველდღიურად უნდა შესთავაზოს ბავშვებს როგორც მსხვილი მოტორიკის განმავითარებელი აქტივობები (ბურთით თამაში, ხტუნვა, სირბილი, წინააღმდეგობების გადალახვა, აძრომა, გადაძრომა და სხვა), ასევე აქტივობები ნატიფი მოტორიკის განვითარებისათვის (სხვადასხვა ფიგურების გამოჭრა, მძივების აგება, ხატვა, ძერწვა და სხვა).

აუცილებელია აგრეთვე პირადი ჰიგიენის უნარ-ჩვევების განვითარების ხელშეწყობაც. ბავშვები უნდა ასრულებდნენ პირად ჰიგიენასთან დაკავშირებულ საქმიანობებს: ხელის დაბანა ჭამის წინ და საჭირო ოთახის შემდეგ, კბილების გახეხვა და სხვა. აღნიშნული სფეროს ფარგლებში ასევე მოიაზრება უსაფრთხოებასთან დაკავშირებული კომპეტენციები.

ქვესფერო	შედეგი	ინდიკატორი
ნატიფი მოტორიკა	ბავშვს შეუძლია სხეულის წვრილი კუნთების კონტროლი და კოორდინირებული მოქმედება	• აგებს მცირე ზომის მძივს ძაფზე. • შეუძლია სპეციალური მაკრატლით ქაღალდისაგან მარტივი ფიგურების გამოჭრა. • დახმარებით იკრავს ფეხსაცმლის თასმას. • შეუძლია ფანქრის გამოყენებით სხვადასხვა სახის ხაზების (ტეხილი, ტალღოვანი, წყვეტილი) და მარტივი ფორმების (სამკუთხედი, ოთხკუთხედი, წრე) გადმოხატვა.

ქვესფერო	შედეგი	ინდიკატორი
მსხვილი მოტორიკა	ბავშვს შეუძლია სხეულის მოძრაობის კონტროლი, მიზანმიმართულ კოორდინირებული მოძრაობა და წონასწორობის შენარჩუნება	• სწორ ხაზზე (შეიძლება იყოს ფიცარი ან დახაზული ხაზი) მოძრაობისას ინარჩუნებს წონასწორობას. • დიდი ზომის ბურთს ურტყამს ფეხს და აძლევს სასურველ მიმართულებას. • კიბეზე ასვლა-ჩამოსვლის დროს უჭირავს სათამაშო ერთ ან ორივე ხელში. • შეუძლია ცალ ფეხზე დგომა 30 წამის განმავლობაში და მეტხანს.
პირადი ჰიგიენა და უსაფრთხოება	1. ბავშვი ავლენს პირადი ჰიგიენისა და თვითმომსახურების უნარ-ჩვევებს 2. ბავშვს შეუძლია სახიფათო ნივთებისა და სიტუაციების თავიდან აცილება და ესმის უსაფრთხოების წესები	• დამოუკიდებლად იბანს ხელს ჭამამდე და ტუალეტით სარგებლობის შემდეგ, დაბანისას არ ისველებს ტანსაცმელს. • ცემინებისა და ხველების დროს ცხვირსახოცს ან ხელს იფარებს. • როლური თამაშის დროს ახდენს უსაფრთხოების ჩვევების დემონსტრირებას. • იცის, როგორ გამოიყენოს საგნები უსაფრთხოდ. • იცის ჯანმრთელობისთვის სახიფათო ნივთიერებების შესახებ და იცავს შესაბამის ნორმებს.

ნაწილი IV

ბავშვის განვითარების შეფასების ინსტრუმენტი

ამ ნაწილში გთავაზობთ ინსტრუმენტს, რომელიც ერთ-ერთი ძირითადი კომპონენტია ბავშვის განვითარების და საკუთარი მუშაობის ეფექტიანობის შეფასებისთვის. ეს ინსტრუმენტი შექმნილია სპეციალურად პროგრამა ბასკოსთვის და ითვალისწინებს ბავშვის განვითარების იგივე სფეროებს, რაც საკუთრივ პროგრამა.

მნიშვნელოვანია გახსოვდეთ, რომ ამ ინსტრუმენტის გამოყენება არ შეიძლება ბავშვის გონებრივი თუ ფიზიკური უნარების სამედიცინო შეფასების მიზნით.

ბავშვის განვითარების შეფასება

ბავშვის განვითარების შეფასება სასურველია მოხდეს სასწავლო წლის განმავლობაში სამჯერ - სექტემბერში, თებერვალში და ივნისში. ყოველი შეფასება ხდება შემდეგი ეტაპების მიხედვით:

1. ბავშვზე დაკვირვება;
2. დაკვირვების ცხრილების შევსება;
3. შედეგების შეჯამება.

ბავშვზე დაკვირვება

ბავშვებზე გეგმიური დაკვირვებების წარმოება ხდება 2-3 კვირის განმავლობაში (გააჩნია ბავშვების რაოდენობას ჯგუფში, დაკვირვება ხდება რამდენიმე ბავშვზე ერთდროულად). ამ ეტაპზე მასწავლებელი აკვირდება ბავშვებს როგორც ჯგუფური, ასევე ინდივიდუალური აქტივობების დროს, თავისუფალი თამაშისას და მაშინაც, როცა ბავშვები მასწავლებლის დავალებას ასრულებენ. მნიშვნელოვანია, რომ დაკვირვება ხორციელდებოდეს მაქსიმალურად ბუნებრივ ვითარებაში, ამისთვის არ არის საჭირო სპეციალურად რთული სიტუაციების შექმნა ან ისეთი მოქმედებისკენ მოწოდება, რომელზეც ბავშვი უარს ამობს. მასწავლებლის ამოცანაა, დააკვირდეს, თუ როგორ ამჟღავნებს ბავშვი კონკრეტულ უნარებსა და/ან ცოდნას, და ჩაინიშნოს შედეგები.

დაკვირვების ცხრილის შედგენა

ამ ეტაპზე მასწავლებელს გადააქვს დაკვირვების შედეგები ქვემოთ მოყვანილ დაკვირვების ცხრილში. ცხრილის შევსებისას პასუხი უნდა მიეთითოს შესაბამის სვეტში და შეფასდეს ციფრებით 1 ან 0, რაც შემდგომი რაოდენობრივი ანალიზისთვისაა საჭირო:

1 ნიშნავს იმას, რომ ბავშვი ამჟღავნებს მოცემულ უნარს და/ან ცოდნას.

0 ნიშნავს, რომ მასწავლებელს არ შეუმჩნევია მოცემული უნარი და/ან ცოდნა.

ბავშვზე დაკვირვების ცხრილი

აღსაზრდელის სახელი და გვარი:			
აღსაზრდელის დაბადების თარიღი:			
სასკოლო მზაობის ცენტრის ადგილი:			
პირველი კვლევის თარიღი:			
განმეორებითი კვლევის თარიღი:			
კვლევა ჩაატარა:			
პოზიციის ნომერი	**პოზიცია**	**პირველი დაკვირვების შედეგი**	**განმეორებითი დაკვირვების შედეგი**
დაკვირვების სფერო – ჯანმრთელობა და ფიზიკური განვითარება			
ნაწილი I: ნატიფი მოტორიკა			
I.1	**ბავშვს შეუძლია სხეულის წვრილი კუნთების კონტროლი და კოორდინირებული მოქმედება**		
I.1.1	აგებს მცირე ზომის მძივს		
I.1.2	შეუძლია მაკრატლით მარტივი ფიგურების გამოჭრა (ოთხკუთხედი, სამკუთხედი, წრე)		
I.1.3	უფროსის დახმარებით იკრავს ფეხსაცმლის თასმას		
I.1.4	უჭირს გეომეტრიული ფიგურების გადახატვა		

ნაწილი II: მსხვილი მოტორიკა			
II.1	**ბავშვს შეუძლია სხეულის მოძრაობის კონტროლი, მიზანმიმართული კოორდინირებული მოძრაობა და წონასწორობის შენარჩნება**		
II.1.1	მოძრაობს სწორ ხაზზე (2 მეტრი სიგრძე და 3-4 სმ სიგანის გახაზულ ლენტზე) და ინარჩუნებს წონასწორობას		
II.1.2	დიდი ზომის ბურთს ურტყამს ფეხს და აძლევს სასურველ მიმართულებას		
II.1.3	უჭირს წონასწორობის შენარჩუნება ასკინკილის დროს.		
II.1.4	ადის და ჩამოდის კიბიდან როცა ერთ ან ორივე ხელში უჭირავს საგანი		
ნაწილი III: პირადი ჰიგიენა და უსაფრთხოება			
III.1	**ბავშვი ავლენს პირადი ჰიგიენისა და თვითმომსახურების უნარ-ჩვევებს**		
III.1.1	შეუძლია ჰიგიენური ნივთების (საპონი, პირსახოცი) დანიშნულებისამებრ გამყენება		
III.1.2	დამოუკიდებლად იბანს ხელ-პირს ყოველთვის, როცა ამისი საჭიროებაა (ამბობს, მასწავლებელო ხელი დასაბანი მაქვს გამიცხიმიანდა და ა.შ.)		
III.1.3	იფარებს ხელს ცემინებისას, ან ხველებისას		
III.1.4	დროულად მიდის სააბაზანოში, იხდის ტანსაცმელს, მოხმარების შემდეგ რეცხავს საპირფარეშოს, იბანს ხელს		
III.2	**ბავშვს შეუძლია სახიფათო ნივთებისა და სიტუაციების თავიდან აცილება და ესმის უსაფრთხოების წესები**		
III.2.1	ესმის შუქნიშანის ფერების მნიშვნელობა		
III.2.2	იცის რომ, ზოგიერთი ნივთი სახიფათოა (ამბობს: ფრთხილად, ეს დანა ბასრია და ა.შ)		
III.2.3	იცის საჭირო დროს როგორ ითხოვოს დახმარება, მაგ., როგორ და რა შემთხვევაში გამოიძახოს პატრული, სახანძრო, სასწრაფო და ა.შ.		

დაკვირვების სფერო – ესთეტიკა და კულტურა			
ნაწილი I: შემოქმედების აღქმა და გაგება			
I.1	**ბავშვს შეუძლია აღიქვას და სიამოვნება მიიღოს ხელოვნების ნაწარმოებისგან**		
I.1.1	ცნობს და ასახელებს ხელოვნების ფორმებს, იცის რა მასალისგან არის შექმნილი (მაგ., ამბობს ეს ნახატია, ქანდაკებაა, ბალეტია).		
I.1.2	სიტყვიერად გამოხატავს თავის დამოკიდებულებას ხელოვნების ნიმუშის მიმართ (მაგალითად: ამბობს ეს ნახატი სევდიანია, ეს მუსიკა კარგ ხასიათზე მაყენებს).		
I.1.3	ნამუშევრის აღწერისას იმეორებს მეგობრების ნათქვამს.		
ნაწილი II: შემოქმედებითი თვითგამოხატვა			
II.1.	**ბავშვი იყენებს შემოქმედებით უნარებს აზრების, გრძნობების და ცოდნის გამოსახატავად**		
II.1.1	შეუძლია რიტმის შექმნა დასარტყამი ინსტრუმენტებით		
II.1.2	შეუძლია დახატოს რთული სქემატური ნახატი (მაგ., ადამიანის ფიგურა და ა.შ)		
II.1.3	ხატვისას ბაძავს გვერდზე მჯდომ მეგობარს		
II.1.4	ნამუშევრის შესაქმნელად იყენებს სხვადასხვა მასალას (მაგ., ითხოვს ბამბას თოვლიანი პეიზჟის აპლიკაციისთვის, გუაშით ხატავს ზღვას და ა.შ.)		
ნაწილი III კულტურა			
III.1	**ბავშვი ამჟღავნებს საკუთარი და სხვა ქვეყნების კულტურისა და ტრადიციების ცოდნას, პატივისცემას.**		
III.1.1	იცის რამოდენიმე ქართული ხალხური სიმღერა		
III.1.2	განასხვავებს სხვადასხვა ეროვნების ხალხთა ტანსაცმელსა და მუსიკას		
დაკვირვების სფერო – შემეცნება და ზოგადი ცოდნა			
ნაწილი I: დედამიწა და გარემო			
I.1	**ბავშვი შეისწავლის მის უშუალო ბუნებრივ გარემოს და ამ გარემოში დროთა განმავლობაში მომხდარ ცვლილებებს**		
I.1.1	ასახელებს წელიწადის დროებს და იცის, რა არის მათთვის დამახასიათებელი		

I.1.2	განასხვავებს სხვადასხვა ლანდშაფტებს ფოტოებზე (უდაბნო, ოკეანე, ჯუნგლები და ა.შ.)		
I.2	**იცის და სწორად შეუძლია განასხვავოს სხვადასხვა სახის ლანდშაფტები და ბუნებრივი პირობები**		
I.2.1	იცის როგორ მოუაროს ბუნებას (არ ყრის ნაგავს ქუჩაში, არ ატეხს ხეს ტოტს)		
ნაწილი II: ცოცხალი სამყაროს აღმოჩენა			
II.1	**ადვილად დაკვირვებადი ნიშნების/მახასიათებლების მიხედვით ბავშვი შისწავლის მცენარეებს, ცხოველებს, ადამიანებს, მათ ურთიერთდამოკიდებულებას ერთმანეთთან და საარსებო გარემოსთან.**		
II.1.1	შეუძლია სხეულის ნაწილების ჩამოთვლა		
II.1.2	ვერ ხსნის რა ფუნქცია აქვს ზოგიერთ შინაგან ორგანოს		
II.1.3	შეუძლია მცენარის აგებულების ახსნა (იცის რა არის ფესვი, ღერო, ნაყოფი და ა.შ.)		
II.1.4	განასხვავებს ერთმანეთისგან ცხოველებს, ფრინველებს, მწერებს		
II.1.5	ასახელებს შინაურ და გარეულ ცხოველებს და ფრინველებს		
II.1.6	უფროსის დახმარებით აღწერს ცხოველებს, მცენარეებსა და გარემოს შორის ურთიერთდამოკიდებულებას		
ნაწილი III: საგნებისა და მოვლენების აღმოჩენა			
III.1	**ბავშვი შეისწავლის მის უშუალო გარემოში არსებულ საგნებს, მასალებს და ნივთიერებებს**		
III.1.1	განარჩევს მასალების თვისებებს (ამბობს: ეს ფხვიერია, ამას მძაფრი სუნი აქვს, ეს გამჭვირვალეა და ა.შ.)		
III.1.2	შეუძლია მსგავსი მასალისგან დამზადებული საგნების ამოცნობა (მაგ., ხის კოვზი, ხის სკამი და ა.შ.)		
III.1.3	აყალიბებს შეკითხვებს მისი გარემომცველი ნივთების მასალისა და დამზადების ხერხების შესახებ (მაგ., ეს ჩანთა რისგან არის დამზადებული და ა.შ.)		
III.2	**ბავშვი იყენებს ტექნიკას შესაბამისი დანიშნულებით**		
III.2.1	შეუძლია ტელევიზორის, მაგნიტოფონის და ა.შ. ჩართვა, გამორთვა		

III.3	**ბავშვი შეისწავლის სხვადასხვა ფიზიკური ძალების ზემოქმედებას ლოკალური გარემოს ობიექტებზე**		
III.3.1	აღწერს სხვადასხვა ფიზიკური მოვლენების შედეგად მიღებულ შეგრძნებებს (ცხელია და ხელი დამეწვა, კაშკაშა სინათლეა და თვალებს მტკენს)		
III.3.2	ატარებს მარტივ ცდებს (აგდებს ყინულს წყალში/დებს ნათურის ქვეშ და აკვირდება დნობას და ა.შ.)		
III.3.3	უჭირს მიზეზშედეგობრივი კავშირის დადგენა ობიექტების თვისებებიდან გამომდინარე. მაგ., ყინული დადნა სიცხეში, ბურთი გაგორდა კუბურა არა და ა.შ.		
ნაწილი IV: ლოგიკური აზროვნების განვითარება			
IV.1.	**ბავშვი ავლენს ციფრების ცოდნას და შეუძლია დათვლა**		
IV.1.1.	დამოუკიდებლად ითვლის 21-მდე		
IV.1.2.	აწყობს 16 ნაწილიან ფაზლს დამოუკიდებლად		
IV.1.3	უმატებს და აკლებს 10-ის ფარგლებში თვალსაჩინოების (სათამაშოების, სხვადასხვა საგნების) მეშვეობით		
IV.1.4	ერთმანეთს უსადაგებს რაოდენობას და რიცხვს		
IV.1.5	თვლისას ტოვებს ზოგიერთ რიცხვს ან ურევს თანმიმდევრობას.		
IV.2.	**ბავშვი აღიქვამს და აფასებს ზომას, მოცულობას, სიმაღლეს, სიგრძეს და წონას**		
IV.2.1	ადარებს და განასხვავებს საგნებს ზომის მიხედვით (ჩემი თოჯინა უფრო დიდია ვიდრე შენი)		
IV.2.2	ადარებს და განასხვავებს საგნებს მოცულობის მიხედვით (ბოთლში უფრო მეტი წყალი ჩადის, ვიდრე ჭიქაში)		
IV.2.3	ადარებს და განასხვავებს საგნებს სიმაღლის მიხედვით (ყვავილი უფრო დაბალია, ვიდრე ბუჩქი)		
IV.2.4	ადარებს და განასხვავებს საგნებს წონის მიხედვით (ლურჯი ბურთი უფრო მძიმეა, ვიდრე ყვითელი)		
IV.3.	**ბავშვი იცნობს ბრტყელ და მოცულობით ფიგურებს და ამოიცნობს მათ განსხვავებულ სიტუაციებში**		
IV.3.1.	ცნობს და ასახელებს გეომეტრიულ ფიგურებს (სამკუთხედი, ოთხკუთხედი, წრე)		

IV.3.2.	აკავშირებს ერთმანეთთან დახატულ ფიგურას და სათამაშო ფიგურას (ნახატზე დახატულ წრეს მიუსადაგებს სათამაშო წრეს)		
IV.4.	**ბავშვი აჯგუფებს საგნებს ზომის, ფორმისა და დანიშნულების, ან სხვა კანონზომიერების მიხედვით.**		
IV.4.1.	აჯგუფებს საგნებს ერთი თვალსაჩინო ნიშნით (მაგ., წითელი ნივთები, მრგვალი ნივთები, პრიალა ნივთები)		
IV.4.2.	უფროსის მითითებით გამოყოფს ორი საგნის მსგავსობის და განმასხვავებელ ნიშანს.		
IV.4.3.	ალაგებს ფიგურებს ზრდადობის მიხედვით, პატარიდან დიდამდე და პირიქით, დიდიდან პატარამდე.		
IV.4.4.	ახდენს საგანთა კატეგორიზაციას, მაგ., ცხოველები, ფრინველები, ჭურჭელი.		
IV.4.5.	შეუძლია გაიმეოროს რაიმე სახის მიმდევრობა მოცემული ნიმუშის მიხედვით.		
IV.5.	**ბავშვი განასხვავებს მოვლენათა მიმდინარეობის დროს – წარსულს აწმყოსა და მომავალს**		
IV.5.1.	გააზრებულად ხმარობს შემდეგ ცნებებს: გუშინ, დღეს, ხვალ.		
IV.5.2.	ასახელებს დღის მონაკვეთებს (დილა, შუადღე, საღამო, ღამე), უსადაგებს მათ შესაბამის მოვლენებს.		
IV.5.3.	შეუძლია გადმოსცეს რთული ისტორია სწორი ქრონოლოგიური თანმიმდევრობით		
IV.6.	**ბავშვს შეუძლია საკუთარი თავის, გარემოში არსებული ობიექტების მდებარეობის აღქმა და საგნებს შორის სივრცითი მიმართების დადგენა.**		
IV.6.1	ასახელებს თავისი სხეულის მარჯვენა და მარცხენა მხარეს.		
IV.6.2.	წიგნის თვალიერებისას ფიგურების მდებარეობას მიუთითებს არასწორად.		
IV.6.3.	შეუძლია გზის ახსნა, სხვისთვის გზის სწავლება (მაგ., სად მდებარეობს საპირფარეშო, სად არის ჯგუფი)		
IV.7	**ბავშვს ესმის, სწვდება მიზეზშედეგობრივ კავშირებს**		
IV.7.1.	შეუძლია ივარაუდოს რაიმე მოქმედების შედეგი (შუქს რომ ჩავაქრობთ, დაბნელდება და ა.შ.)		

დაკვირვების სფერო – სოციალურ-ემოციური განვითარება			
ნაწილი I: დამოუკიდებლობა			
I.1	**ბავშვი დამოუკიდებლად ასრულებს რუტინულ მოქმედებებს**		
I.1.1	შეუძლია დამოუკიდებლად და გამართულად ჩაცმა (იცმევს და იხდის ჩაცმულობის სხვადასხვა ელემენტებს, შეუძლია შეკვრა და გაყრა, ღილების და ელვის საკრავის შეკვრა)		
I.1.2	შეუძლია დავალების დამახსოვრება და შესრულება		
I.1.3	დაეუფლა ჯგუფში მოქმედების წესებს		
I.1.4	უფროსების დახმარების გარეშე მოძრაობს სკოლაში/ბაღში მისასვლელ გზაზე		
I.1.5	დაეუფლა სხეულის ჰიგიენის და მოვლის ჩვევებს		
I.1.6	თვითმომსახურების მოქმედებებს ასრულებს მხოლოდ უფროსების დახმარებით		
I.2	**სირთულეების დაძლევა**		
I.2.1	ქვს მცდელობა თვითონ გადალახოს სირთულე		
I.2.2	არის შეუპოვარი, არ ეგუება წარუმატებლობას		
I.2.3	იჩენს ინიციატივას, ცდის მიზნის მიღწევის სხვადასხვა მეთოდებს		
I.2.4	პირველივე წარუმატებელი მცდელობის შემდეგ თავს ანებებს ამოცანას		
I.3	**ამოცანაზე და მიზანზე ორიენტირებული აქტივობების წამოწყება**		
I.3.1	აინტერესებს შედეგი, ცდილობს დაასრულოს მუშაობა		
I.3.2	უყვარს სამუშაოს კარგად შესრულება, შეაქვს მასში ცვლილებები, აუმჯობესებს		
I.3.3	აცნობიერებს საკუთარ შესაძლებლობებს და იყენებს მათ (ფიზიკური უნარები და ხასიათი)		
I.3.4	კმაყოფილია საკუთარი ნამუშევრით და მოელის აღიარებას		

I.4	**ისეთი სიტუაციებისთვის თავის არიდება, რომელიც მოითხოვს დამოუკიდებლად მოქმედებას**		
I.4.1	არ არის მონდომებული დახმარება სთხოვოს უფროსებს		
I.4.2	ბაძავს სხვა ბავშვების ნამუშევრებს და საქციელს		
I.4.3	ცდილობს ახლოს იყოს მასწავლებელთან ან სხვა უფროსთან		
I.4.4	მოითხოვს დამატებით ახსნა-განმარტებას და ინფორმაციას		
ნაწილი II: არაკონფლიქტურობა			
II.1	**მოქმედება შეთანხმების შესაბამისად**		
II.1.1	ალაგებს სათამაშოებს, ტანსაცმელს, ჭურჭელს, მოწყობილობებსა და თვალსაჩინოებებს		
II.1.2	ახსოვს ჯგუფში უსაფრთხოდ მოქცევის წესები		
II.1.3	პატივს სცემს სხვების უფლებებს, მაგ., ელოდება საკუთარ რიგს, ითვალისწინებს სხვების შეფასებას/მოსაზრებას		
II.1.4	სჭირდება შეთანხმების შესახებ შეხსენება		
II.1.5	არ ასრულებს ნებაყოფლობით აღებული ვალდებულებებს, მაგ., მორიგის მოვალეობებს		
II.2	**საქციელი ინტერესთა კონფლიქტის სიტუაციაში**		
II.2.1	თავს არიდებს კონფლიქტურ სიტუაციებს		
II.2.2	ცდილობს კონფლიქტის მშვიდობიანი გზით გადაჭრას		
II.2.3	აბეზღებს, კონფლიქტურ სიტუაციებში სხვა ბავშვებს ადანაშაულებს		
II.3	**რთულ სიტუაციებში რეაგირება**		
II.3.1	გამოხატავს გაბრაზებას ჩხუბის გარეშე		
II.3.2	გამოხატავს გაბრაზებას, იბუტება, ზურგს აქცევს, განერიდება		
II.3.3	არის აგრესიული სხვების მიმართ		

II.3.4	ეწინააღმდეგება, არ ასრულებს მითითებებს		
ნაწილი III: სოციალური აქტივობა			
III.1	**კონტაქტის ინიცირება**		
III.1.1	მისი მხრიდან კონტაქტის დამყარების მცდელობა გასაგებია მეორე მხარისთვის		
III.1.2	იწვევს ბავშვებს თამაშში და საუბრებში		
III.1.3	უკარგავს სხვა ბავშვებს კონტაქტის ხალისს, განდევნის მათ ან გაურბის		
III.2	**თანაგრძნობისა და დახმარების სურვილის გამოხატვა**		
III.2.1	ეხმარება სხვა ბავშვებს, ცდილობს მათ დამშვიდებას და აძლევს რჩევებს		
III.2.2	შეიცნობს და ახმოვანებს სხვა ბავშვების განცდებს		
III.2.3	იცავს სხვა ბავშვებს		
III.3	**საუბარი საკუთარი თავის და საკუთარი განცდების შესახებ**		
III.3.1	საუბრობს მისთვის მნიშვნელოვანი საკითხების შესახებ		
III.3.2	აღწერს საკუთარ თავს, მათ შორის საკუთარ ფიზიკურ ნიშნებს		
III.3.3	შეუძლია დაახასიათოს საკუთარი თავი ფსიქიკურად		
III.3.4	წარმოადგენს საკუთარ თავს სრული სახელითა და გვარით		
III.3.5	გამოხატავს სიხარულს მიღწეული შედეგის გამო		
III.4	**კონტაქტი თანატოლებთან და უფროსებთან**		
III.4.1	აქვს დადებითი რეაქცია საუბრისკენ ან თამაშისკენ მოწოდებისას განურჩევლად იმ პიროვნების სტატუტისა, რომელიც მასთან შედის კონტაქტში		
III.4.2	ხშირად სვამს შეკითხვებს, ცდილობს გაიაზროს სხვების მოქმედება		
III.4.3	ითხოვს იმას, რაც მას სჭირდება		

III.4.4	იქცევა სიტუაციისდა შესაფერისად		
III.4.5	ჰყავს მეგობრები საკუთარ სოციალურ გარემოში		
III.4.6	არ უნდა სხვებთან თამაში და საუბარი		
III.4.7	არ ითვალისწინებს სხვების რჩევებს და შეთავაზებებს		
დაკვირვების სფერო — მეტყველების განვითარება			
ნაწილი I: მოსმენა და მეტყველება			
I.1	**სმენითი აღქმა**		
I.1.1	ესმის დროსთან და მიმართულებებთან დაკავშირებული ცნებების მნიშვნელობა		
I.1.2	შეუძლია გაითამაშოს მოსმენილი ამბავი		
I.2	**მეტყველება**		
I.2.1	სიტყვების არტიკულაცია არის სუფთა		
I.2.2	წინადადებებს გამოთქვამს სწორი ინტონაციით/კილოთი (შეკითხვა, თხრობა)		
I.2.3	ყვება ამბავს სწორი ქრონოლოგიით		
I.2.4	სწორად ხმარობს ახლად ნასწავლ სიტყვებს		
I.2.5	აქვს აქტიური ლექსიკონის მწირი მარაგი		
I.2.6	ადგილისა და დროის გარემოების აღმნიშვნელ სიტყვებს ხმარობს ადექვატურად		
I.2.7	სწორად აკეთებს მარტივი თანწყობილი ან ქვეწყობილი წინადადების ფორმულირებას (თუ, რომელიც, იმიტომ რომ)		
I.3	**ქართული ენის ცოდნა (არაქართველი ბავშვებისათვის)**		
I.3.1	ასრულებს 2-3 წინადადებისგან შემდგარ ინსტრუქციას		
I.3.2	იმეორებს მოკლე მონათხრობის შინაარსს		
I.3.3	შეუძლია გადმოსცეს ძირითადი ინფორმაცია საკუთარი თავის შესახებ		

ნაწილი II: კითხვა			
II.1	**სმენითი ანალიზი**		
II.1.1	გამოარჩევს სიტყვის პირველ და ბოლო ასოს		
II.1.2	სწორად ყოფს სიტყვას მარცვლებად		
II.1.3	აწყობს სიტყვებს მარცვლებისგან		
II.1.4	არჩევს სიტყვებს ცოცხალი მეტყველებიდან		
II.2	**დაინტერესება დამწერლობით**		
II.2.1	ცნობს მისთვის ნაცნობ წარწერებს როგორც დასახელების გრაფიკულ ნიშნებს, მაგ., პროდუქტების დასახელება შეფუთვაზე		
II.2.2	აინტერესებს წიგნები, მათი პერსონაჟები		
II.2.3	ესმის სიმბოლოების და ზოგადი ნიშნების მნიშვნელობა, როგორიცაა WC, M, საგზაო ნიშნები სკოლის გზაზე		
II.2.4	იმახსოვრებს საკუთარი სახელის და მეგობრების სახელების დაწერილ ფორმას		
ნაწილი III: წერისთვის მზაობა			
III.1	ხელს აწერს საკუთარ ნახატებს		
III.2	ხატავს მარტივ გრაფიკულ ფორმებს		
III.3	ხაზებიან ფურცელზე ხატავს ასოების მსგავს ნიშებს		
III.4	ბაძავს წერას კვალზე თითის გაყოლებით		

შედეგების შეჯამება

დაკვირვების შედეგების შეჯამებისთვის საჭიროა კრებითი ცხრილების შევსება. ამ ცხრილების ყოველ უჯრაში იწერება დაკვირვების ცხრილის პოზიციების შესაბამისი ქულები. აკვირვების ცხრილში ყვითლად შეღებილი პოზიციების შედეგები კრებით ცხრილში შედის საპირისპირო ნიშნით (ნული ერთიანის მაგივრად და პირიქით, ერთიანი ნულის მაგივრად).

შემდეგ კრებით ცხრილში ჩაწერილი ქულები იკრიბება თითოეული სფეროს მიხედვით, და მიღებული ჯამი იწერება იასამნისფერ სტრიქონში.

ქვემოთა (ცისფერ) სტრიქონში იწერება თითოეულ სფეროში მიღებული ქულების ჯამის (იასამნისფერი სტრიქონიდან) შეფარდება მოცემულ სფეროში მაქსიმალურად შესაძლებელ ქულების რაოდენობასთან (მაგალითად, სფეროსთვის სოციალურ-ემოციური განვითარება მაქსიმალური შესაძლებელი ქულა არის 34, ამიტომ ბავშვის მიერ ამ სფეროში მიღებული ჯამური შედეგი უნდა გაიყოს 34-ზე, ხოლო სფეროსთვის - მეტყველების განვითარება მაქსიმალური შესაძლებელი ქულა არის 24, ამიტომ ჯამური შედეგი ამ სფეროში იყოფა 24-ზე). სწორედ ეს იქნება ბქავშვის განვითარების, ან სასკოლო მზაობის დონის მაჩვენებელი.

კრებითი ცხრილები (სფეროების მიხედვით):

დაკვირვების სფერო	სოციალურ-ემოციური განვითარება			მეტყველების განვითარება		
შკალის პოზიცია	**დამოუკიდ-ებლობა**	**არაკონფლიქ-ტურობა**	**სოციალური აქტივობა**	**მოსმენა და მეტყველება**	**კითხვა**	**წერითვის მზაობა**
პოზიციის ნომერი	I.1.1, I.1.2, I.1.3, I.1.4, I.1.5, I.1.6	II.1.1, II.1.2, II.1.3, II.1.4, II.1.5,	III.1.1, III.1.2, III.1.3	I.1.1, I.1.2	II.1.1, II.1.2, II.1.3, II.1.4	III.1, III.2, III.3
	I.2.1, I.2.2, I.2.3, I.2.4	II.2.1, II.2.2, II.2.3	III.2.1, III.2.2, III.2.3	I.2.1, I.2.2, I.2.3, I.2.4, I.2.5, I.2.6, I.2.7	II.2.1, II.2.2, II.2.3, II.2.4	
	I.3.1, I.3.2, I.3.3, I.3.4	II.3.1, II.3.2, II.3.3, II.3.4	III.3.1, III.3.2, III.3.3, III.3.4, III.3.5	II.3.1, II.3.2, II.3.3		
	I.4.1, I.4.2, I.4.3, I.4.4		III.4.1, III.4.2, III.4.3, III.4.4, III.4.5, III.4.6, III.4.7			
ქულების ჯამი	X=?			X=?		
სასკოლო მზაობის ხარისხი	X/34			X/24		

დაკვირვების სფერო	ჯანმრთელობა და ფიზიკური განვითარება			ესთეტიკა და კულტურა		
შკალის პოზიცია	**ნატიფი მოტორიკა**	**მსხვილი მოტორიკა**	**პირადი ჰიგიენა და უსაფრთხოება**	**შემოქმედების აღქმა და გაგება**	**შემოქმედებითი თვითგამოხატვა**	**კულტურა**
პოზიციის ნომერი	I.1.1, I.1.2, I.1.3, I.1.4,	II.1.1, II.1.2, II.1.3, II.1.4,	III.1.1, III.1.2, III.1.3, III.1.4	I.1.1, I.1.2, I.1.3	II.1.1, II.1.2, II.1.3, II.1.4	III.1, III.2,
			III.2.1, III.2.2, III.2.3			
ქულების ჯამი	X=?			X=?		
სასკოლო მზაობის ხარისხი	X/13			X/7		

დაკვირვების სფერო	შემეცნება და ზოგადი ცოდნა			
შკალის პოზიცია	**დედამიწა და გარემო**	**ცოცხალი სამყაროს აღმოჩენა**	**საგნებისა და მოვლენების აღმოჩენა**	**ლოგიკური აზროვნების განვითარება**
პოზიციის ნომერი	I.1.1, I.1.2	II.1.1, II.1.2, II.1.3, II.1.4, II.1.5, II.1.6.	III.1.1, III.1.2, III.1.3	IV.1.1, IV.1.2, IV.1.3, IV.1.4, IV.1.5
	I.2.1		III.2.1.	IV.2.1, IV.2.2, IV.2.3, IV.2.4
			III.3.1, III.3.2, III.3.3.	IV.3.1, IV.3.2
				IV.4.1, IV.4.2, IV.4.3, IV.4.4, IV.4.5
				IV.5.1, IV.5.2, IV.5.3
				IV.6.1, IV.6.2, IV.6.3
				IV.7.1.
ქულების ჯამი	X=?			
სასკოლო მზაობის ხარისხი	X/35			

აგრეთვე შესაძლებელია ბავშვის უფრო დაწვრილებითი შეფასება - თითოეული ქვესფეროს მიხედვით. შედეგები ითვლება ანალოგიურად. მაგალითად, სოციალურ-ემოციური სფეროს ქვესფეროების მიხედვით:

კრებითი ცხრილი (ქვესფეროების მიხედვით):

შკალის ნაწილი	დამოუკიდებლობა	არაკონფლიქტურობა	სოციალური აქტივობა
პოზიციის ნომერი	I.1.1, I.1.2, I.1.3, I.1.4, I.1.5, I.1.6	II.1.1, II.1.2, II.1.3, II.1.4, II.1.5,	III.1.1, III.1.2, III.1.3
	I.2.1, I.2.2, I.2.3, I.2.4	II.2.1, II.2.2, II.2.3	III.2.1, III.2.2, III.2.3
	I.3.1, I.3.2, I.3.3, I.3.4	II.3.1, II.3.2, II.3.3, II.3.4	III.3.1, III.3.2, III.3.3, III.3.4, III.3.5
	I.4.1, I.4.2, I.4.3, I.4.4		III.4.1, III.4.2, III.4.3, III.4.4, III.4.5, III.4.6, III.4.7
ქულების ჯამი	X=?	X=?	X=?
	X/12	X/6	X/16

შედეგების ინტერპრეტირება

შედეგების ინტერპრეტირება შემდეგია:

0-0,19	0,20-0,49	0,50-0,69	0,70-0,89	0,90-1,00
ძალიან დაბალი	დაბალი	საშუალო	მაღალი	ძალიან მაღალი

თუ ბავშვის მიერ ნაჩვენები შედეგი არ არის "მაღალი" ან "ძალიან მაღალი", საჭიროა მიღებული მონაცემების შემდგომი ანალიზი. უნდა ვიფიქროთ დაბალი შეფასების მიზეზებზე და გამოსწორების გზებზე.

თუ შეფასება ტარდება სექტემბერში და ბავშვისთვის ეს პირველი წელია საბავშვო ბაღში, მაშინ დაბალი შედეგები (საშუალო, დაბალი ან ძალიან დაბალი) შეიძლება გამოწვეული იყოს იმით, რომ ბავშვს არ ჰქონდა სხვადასხვა განმავითარებელ აქტივობებში მონაწილეობის საშუალება. აგრეთვე შეიძლება არსებობდეს სხვა მიზეზებიც, რომლებსაც როგორც მასწავლებელმა, ასევე მეურვემ აუცილებლად უნდა მიაქციოს ყურადღება.

თუ განმეორებითი, თებერვლის შეფასების შედეგი ისევ არის "საშუალო", ეს შეიძლება მიუთითებდეს ნაწილობრივ შეფერხებებზე მოცემულ განვითარების სფეროში; შესაბამისად, მასწავლებელმა უნდა დაგეგმოს დამატებითი, მიზანმიმართული აქტივობები ამ შედეგის გაუმჯობესებისთვის. თუმცა, თუ პირველი შეფასებისას ბავშვის შედეგი ამ სფეროში იყო "ძალიან დაბალი", მაშინ მეორე, განმეორებითი შეფასებისას შედეგი "საშუალო" გარკვეული პროგრესის მაჩვენებელია.

მეორე დაკვირვების შეფასებები "დაბალი" და "ძალიან დაბალი" შეიძლება იყოს მითითება ბავშვის მეურვეებისათვის მიმართონ შესაბამის სპეციალისტებს. თუმცა ასეთი დასკვნის გამოტანისთვის არ არის საკმარისი მხოლოდ დაკვირვების ფორმა, სრულფასოვანი შეფასებისთვის აუცილებელია ყურადღება მიექცეს შემდეგ საკითხებს:

- ინფორმაცია ბავშვის ჯანმრთელობის შესახებ, მაგალითად: შეზღუდული შესაძლებლობები, ქრონიკული დაავადება, ალერგია და სხვა;
- ინფორმაცია ბავშვის ოჯახის სოციალურ-ეკონომიკური მდგომაროების შესახებ;
- სხვა შენიშვნები, რომელიც არ იქნა ასახული ცხრილში, მათ შორის: რომელ ხელს ანიჭებს ბავშვი უპირატესობას - მარჯვენას თუ მარცხენას - ფანქრის დაჭერისას ან კოვზის ხმარებისას;
- სხვა მნიშვნელოვანი დასკვნები ბავშვის ქცევასთან დაკავშირებით;
- ბავშვის მიერ გაცდენილი დღეების პროცენტული მაჩვენებელი სექტემბრიდან დაკვირვების დღემდე.

ეს დამატებითი ინფორმაცია დაეხმარება მასწავლებელს შედეგების გაანალიზების დროს - მაგალითად, თუ ბავშვს აქვს ბევრი გაცდენა, სწორედ ეს შეიძლება იყოს მის მიერ მიღებული დაბალი შედეგის ერთ-ერთი მიზეზი.

მეორე შეფასება, როგორც უკვე ითქვა, ტარდება თებერვალში. ეს მასწავლებელს აძლევს საშუალებას იზრუნოს შედეგის გაუმჯობესებაზე სასწავლო წლის ბოლომდე - შეიმუშავოს ბავშვის ინდივიდუალური განვითარების გეგმა ან გამოიყენოს განსხვავებული აქტივობები მთელი ჯგუფისთვის.

ბოლო დაკვირვების (ივნისი) შედეგები არის საფუძველი მასწავლებლისთვის შეაფასოს ბავშვის სასკოლო მზაობის ხარისხი და მოამზადოს შესაბამისი რეკომენდაციები მეურვეებისა და სკოლისთვის.

ბავშვების მიერ მიღებული შედეგები აგრეთვე შეიძლება იყოს საფუძველი მასწავლებლის თვითშეფასებისთვის. მაგალითად, თუ მთელ ჯგუფში შედეგები რომელიმე განვითარების სფეროში დაბალია, მასწავლებელი უნდა დაფიქრდეს ამ სფეროს განვითარების საკუთარი მეთოდების სისწორეზე.

ნაწილი V

დანართები

ამ ნაწილში გთავაზობთ დამხმარე მასალას - ცხრილებს, რომლებიც გეგმებს უფრო თვალსაჩინოს გახდის, მშობლებთან ურთიერთობის ფორმებს, და ა.შ. აქვე მაგალითისთვის განვიხილავთ ორ კვირის თემას.

დანართი 1. წერილი მშობლებთან

იმისათვის, რომ მშოვლები მაქსიმალურად ჩავრთოთ სასწავლო პროცესში, გთავაზობთ წერილის ნიმუშს, რომლის გამოყენებაც შეგიძლიათ ნებისმიერი თემის დასაწყისისთვის. ასეთი წერილი უნდა გაამზადოთ და გადასცეთ ყველა მშობელს.

პატივცემულო _____

(მშობლების სახელები)

პროგრამის გათვალისწინებით ამ კვირაში ვიწყებთ მუშაობას თემაზე _____

(თემის სახელწოდება)

მუშაობის პროცესში დაგეგმილია შემდეგი სახის აქტივობები: _____

_____

(აქ იწერება მოკლედ ის აქტივობები, რომლებიც განხორციელდება თემის ფარგლებში, მაგ: ბავშვები წავლენ ექსკურსიებზე, დაათვალიერებენ წიგნებს, იხილავენ თემატურ ვიდეოებს, გააკეთებენ ჩანახატებს, დაამზადებენ მაკეტებს, წიგნებს, პლაკატებს, კოლაჟებს და ა.შ.)

ძალიან გთხოვთ სერიოზულად მიუდექით ბავშვის შეკითხვებს ამ თემასთან დაკავშირებით, ეცადეთ არ გასცეთ მას პირდაპირი პასუხები, არამედ მიეცით საშუალება თვითონ გამოიკვლიოს და მივიდეს დასკვნამდე.

თემაზე მუშაობისას ჩვენ დაგვჭირდება თქვენი დახმარება. გთხოვთ შეგვიგროვოთ შემდეგი მეორადი მასალა:

_____

თუ იცით საინტერესო ისტორია თემასთან დაკავშირებით, ან თუ ეს თემა თქვენს პროფესიასთან ახლოსაა, სიამოვნებით მივიღებთ თქვენს იდეებს.

თვალყური ადევნეთ ჩვენს მუშაობას და ერთად დავეხმაროთ ბავშვებს აღმოჩენების გაკეთებაში.
წინასწარ დიდი მადლობა თანადგომისთვის!

დანართი 2. წლის გეგმა

ქვემოთ მოცემულია წლის გეგმის ფორმა, რომელიც მასწავლებელმა სასწავლო წლის დაწყებამდე უნდა შეავსოს, ანუ განსაზღვროს, რომელ თვეში რომელ თემზე იმუშავებს, და შესაბამისად ჩაწეროს მოცემულ ცხრილში

შემოდგომა		
სექტემბერი	ოქტომბერი	ნოემბერი
1. 2. 3. 4.	1. 2. 3. 4.	1. 2. 3. 4.
ზამთარი		
დეკემბერი	იანვარი	თებერვალი
1. 2. 3. 4.	1. 2. 3. 4.	1. 2. 3. 4.
გაზაფხული		
მარტი	აპრილი	მაისი
1. 2. 3. 4.	1. 2. 3. 4.	1. 2. 3. 4.
ზაფხული		
ივნისი	ივლისი	აგვისტო
1. 2. 3. 4.	1. 2. 3. 4.	1. 2. 3. 4.

დანართი 3. კვირის გეგმა

კვირის გეგმის ჩაწერა მოსახერხებელია ქვემოთ მოყვანილი ცხრილის დახმარებით. გეგმის ამ ფორმით დალაგება საშუალებას გვაძლევს არ გამოვტოვოთ არცერთი განვითარების სფერო, კარგად დავინახოთ, თუ რა უნარების განვითარებისთვის არის შესარჩევი და რომელ ცენტრებში გასანაწილებელი ბავშვებისთვის სახალისო აქტივობები.

კვირის თემა _____ თარიღი _____

განვითარების სფერო	მოსალოდნელო შედეგი (ინდიკატორი)	აქტივობები/ცენტრი	მასალები
ჯანმრთელობა და ფიზიკური განვითარება			
ესთეტიკა და კულტურა			
მეტყველებაის განვითარება			
შემეცნება და ზოგადი ცოდნა			
სოციალურ-ემოციური განვითარება			

თანამშრომლობა მშობლებთან (თემთან) _____

თემის „ხორბლის გრძელი გზა“ მაგალითზე (თემა „ხორბლის გრძელი გზა“ იხ. დანართი 4) გთავაზობთ ნიმუშს, თუ რა პრინციპით უნდა მოხდეს კვირის გეგმის ფორმის შევსება. კურსივით მოცემული ტექსტი მასწავლებლის მიერ არის ჩაწერილი.

კვირის თემა: *ხორბლის გრძელი გზა.* თარიღი: *25/09 – 29/09*

განვითარების სფერო	**მოსალოდნელო შედეგი (ინდიკატორი)**	**ცენტრი/აქტივობები**	**მასალები**
ჯანმრთელობა და ფიზიკური განვითარება	ბავშვს შეუძლია სხეულის მოძრაობის კონტროლი, მიზანმიმართულ კოორდინირებული მოძრაობა და წონასწორობის შენარჩუნება	ეზო/თამაში: ქარი უბერავს ყანაში (ბავშვები დგანან ხელაწეულები, მასწავლებელი ამბობს ქარი უბერავს ყანაში, ბავშვები ამოძრავებენ ხელებს, მასწავლებელი ამბობს, ქარი ჩადგა, ბავშვები ჩერდებიან), ხორბლის მოკრეფის იმიტაცია	*არაფერი*
ესთეტიკა და კულტურა	*ბავშვი იყენებს შემოქმედებით უნარებს აზრე-ბის, გრძნობების და ცოდნის გამოსახატავად*	*მუსიკა: ხორბლისა და იოგურტის ცარიელი კოლოფების გამოყენებით მარაკასების დამზადება.* *ხელოვნება: კოლაჟის დამზადება ხორბლის თავთავების გამოყენებით, ხორბლის თავთავის ხატვა ნატურიდან.* *ხორბლის ზრდისა და განვითარების ეტაპების ხატვა სლაიდშოუს მიხედვით.*	*ხორბლის მარცვალი, იოგურტის ცარიელი კოლოფები, სკოჩი, სტეპლერი* *ხორლის მარცვალი, მუყაო, წებო, ფერადი ქსოვილი* *ხორბლის თავთავი, ფურცელი, ფანქრები. ფურცელი, ფანქრები.*

განვითარების სფერო	**მოსალოდნელო შედეგი (ინდიკატორი)**	**ცენტრი/აქტივობები**	**მასალები**
მეტყველებაის განვითარება	*ბავშვი იყენებს სიტყვებს, ჟესტიკულაციას თავისი აზრებისა და გრძნობების გამოსახატავად და საუბრობს გამართულად (ექსპრესიული, პროდუქტიული მეტყველება)* *ბავშვი გამოხატავს ინტერესს ნაბეჭდი მასალის მიმართ და ესმის მისი სიმბოლური მნიშვნელობა*	*ჯგუფური შეხვედრების ადგილი/კითხვა-პასუხი ხორბლის მოპოვების შესახებ* *წიგნიერება/წიგნების დათვალიერება ხორბალზე* *წიგნიერება/წიგნის დამზადება*	*დასურათებული წიგნები* *ფურცლები, სახვრეტელა, მაკრატელი, თოკი.*
შემეცნება და ზოგადი ცოდნა	*ბავშვი შეისწავლის მის უშუალო ბუნებრივ გარემოს და ამ გარემოში დროთა განმავლობაში მომხდარ ცვლილებებს* *ადვილად დაკვირვებადი ნიშნების/ მახასიათებლების მიხედვით ბავშვი შეისწავლის მცენარეებს, ცხოველებს და ადამიანებს, მათ ურთიერთდამოკიდებულებას მათ საარსებო გარემოსთან და ერთმანეთთან* *ბავშვი აღიქვამს და აფასებს ზომას, მოცულობას, სიმაღლეს, სიგრძეს და წონას*	*სამაგიდო/ თამაში: რომელია ხორბლის მარცვალი* *ეზო/ ხორბლის მარცვლების დათესვა* *კუბურები/ კუბურებით ხორბლის ყანის აშენება* *აღმოჩენები/ ხორბლის მარცვლების აწონვა*	*სხვადასხვა სახის მარცვლეული, ტომარა.* *ხორბალი, ნიჩბები.* *კუბურები* *ხორბალი, სასწორი*
სოციალურ-ემოციური განვითარება	*ბავშვი ავლენს დამოუკიდებლად მოქმედების და ყურადღების კონცენტრაციის უნარს* *ბავშვი სრულფასოვნად ურთიერთობს თანატოლებთან და უფროსებთან- ავლენს კონფლიქტის მოგვარების და თანამშრომლობითი ურთიერთობის უნარებს*	*დრამატული/ დრამატულ ცენტრში დახლის მოწყობა, სასწორისა და მარცვლეულის ტომრების გამოყენებით გაზრობანას თამაში*	*დაბალი მაგიდები, ტომრები, ხორბლის მარცვალი, სასწორი, სათამაშო ფული*

თანამშრომლობა მშობლებთან (თემთან): *მეორადი მასალით უზრუნველყოფა.*

დანართი 4. კვირის თემის ნიმუშები

ნიმუშისთვის გთავაზობთ ორ თამას - „ხორბლის გრძელი გზა“ და „სახლები“ - დაშლილს ქვეთემებად და აქტივობებად.

I თემა: ხორბლის გრძელი გზა

თემის ხანგრძლივობა - 5 დღე

თემის მიზნები:

- ბავშვები გაეცნობიან ხორბლის ზრდის ეტაპებს და დამუშავების ხერხებს.
- გაიგებენ რაში გამოიყენება ფქვილი, რომელი პროდუქტის დასამზადებლად იხმარება.
- ბავშვები ჯგუფურ აქტივობებში მონაწილეობით ისწავლიან თანამშრომლურ ურთიერთობას, გუნდურ მუშაობას, რიგის დაცვას, სხვისი აზრის პატივისცემას, საკუთარი აზრის გამოთქმას.

ქვეთემა 1: ხორბლის მოპოვება

ჯგუფური: კითხვა-პასუხი ხორბლის მოპოვების შესახებ - რა არის ხორბალი, სად და როგორ იზრდება ხორბალი (ინფორმაციის მიწოდება ბავშვებისთვის), ხორბლის სურათების დათვალიერება.

სამაგიდო თამაშების ცენტი: თამაში: რომელია ხორბლის მარცვალი (თვალახვეული ბავშვი ხელით სინჯავს სხვადასხვა მარცვლეულს, ან ტომარაში ჩაყრილ მარცვლეულში ამოარჩევს ხორბალს).

წიგნიერების ცენტრი: წიგნების დათვალიერება ხორბალზე, ხელოვნების ცენტრში დახატული სურათების გამოყენებით წიგნის დამზადება. ზღაპარი „ჩექმებიანი კატა“ წაკითხვა

აღმოჩენების ცენტრი: ხორბლის მარცვლების აწონვა;

ხელოვნების ცენტრი: კოლაჟის დამზადება ხორბლის თავთავების გამოყენებით, ხორბლის თავთავის ხატვა ნატურიდან, ხორბლის ზრდისა და განვითარების ეტაპების ხატვა ფოტოების მიხედვით.

დრამატული თამაშების ცენტრი: დრამატულ ცენტრში დახლის მოწყობა, სასწორისა და მარცვლეულის ტომრების გამოყენებით ბაზრობანას თამაში.

მუსიკა: ხორბლისა და იოგურტის ცარიელი კოლოფების გამოყენებით მარაკასების დამზადება.

ფიზიკური აქტივობა: თამაში - ქარი უბერავს ყანაში (ბავშვები დგანან ხელაწეულები, მასწავლებელი ამბობს ქარი უბერავს ყანაში, ბავშვები ამოძრავებენ ხელებს, მასწავლებელი ამბობს, ქარი ჩადგა, ბავშვები ჩერდებიან), ხორბლის მოკრეფის იმიტაცია.

ეზო: ხორბლის მარცვლების დათესვა.

რესურსები: მცირე ზომის ტომარა, სხვადასხვა მარცვლეული, წიგნები ხორბალზე, ფოტოები ხორბლის გამოსახულებით, ხორბლის მარცვალი, სასწორი, ხორბლის თავთავი, ფერადი ფანქრები, ფურცლები.

ქვეთემა 2: გადამუშავება - ფქვილი

ჯგუფური: მასწავლებელი ბავშვებს სთხოვს გამოთქვან ვარაუდები, რას ფიქრობენ, როგორ მიიღება ხორბლისგან პური და იწერს გამოთქმულ აზრებს, შემდეგ მასწავლებელი აჩვენებს ვიდეოს.

სამაგიდო თამაშების ცენტრი: ფქვილის პაკეტის ეტიკეტების დახარისხება;

წიგნიერების ცენტრი: დასურათებული წიგნების დათვალიერება და წისქვილის მოძებნა.

კუბურების ცენტრი: წისქვილის აშენება;

აღმოჩენების ცენტრი: ყავის საფქვავში ხორბლის მარცვლების დაფქვა; ფქვილში სხვადასხვა ნივთიერებების შერევა და დაკვირვება, ფქვილით სახამებლის დამზადება და მის თვისებებზე დაკვირვება, წებოდ გამოყენება.

ხელოვნების ცენტრი: ფქვილით მარილიანი ცომის მოზელა და თოჯინების დამზადება, ფერადი მარილიანი ცომის ფიგურები, „ჯადოსნური ქილების“ დამზადება (გამჭვირვალე ქილებში ბავშვები ფენა–ფენა ყრიან დაფხვნილ ფერად ცარცში შერეულ ფქვილს), ფქვილის ფერწერა: საღებავიანი ფქვილით მოცულობითი ნახატის შესრულება, სახამებლის გამოყენება პაპიემაშესთვის. ქაღალდისგან ქარის სატრიალოების დამზადება.

დრამატული თამაშების ცენტრი: დრამატული თამაში: მაღაზიაში, წისქვილში.

მუსიკა: ბავშვები მოიგონებენ სიმღერას, რომელიც მეწისქვილემ უნდა შეასრულოს ხორბლის დაფქვისას.

ფიზიკური აქტივობა: თამაში „აავსე ტომარა ფქვილით“. მასწავლებელი ბავშვებს ორ ჯგუფად ყოფს, თითოეული გუნდის წევრმა უნდა გაირბინოს გზა და რიგრიგობით ჩაყაროს ფქვილი გზის ბოლოს მოთავსებულ ტომარაში.

ეზო: თამაში - რამდენი კოვზი ფქვილი ჩავა ჭიქაში (მასწავლებელი აჩვენებს ბავშვებს სხვადასხვა ზომის ჭიქასა და კოვზს და ეკითხება რამდენი კოვზი ფქვილი ჩავა ჭიქაში. ბავშვები ასახელებენ საკუთარ ვერსიებს, მასწავლებელი იმახსოვრებს, ბოლოს დაითვლიან და გამოავლენენ გამარჯვებულს); დაკვირვება ქარის სატრიალოებზე; წყლის ბორბლის მოწყობა

თამაში - რომელია ფქვილი (მასწავლებელს პატარა ჭურჭლებში მზად აქვს სხვადასხვა ფაქტურის მქონე ფხვნილი თვალახვეულმა ბავშვმა შეხებით უნდა გამოიცნოს რომელია ხორბლის ფქვილი, იგივე თამაში შეიძლება ჩატარდეს სუნითაც).

რესურსები: დასურათებული წიგნები წისქვილის ილუსტრაციებით, ფქვილი, მარილი, საღებავი, ფერადი ცარცი, სახამებელი, ძველი გაზეთები, ხორბლის, სიმინდის და სხვა ფქვილი, კოვზები.

ქვეთემა 3: პურ–ფუნთუშეულობა

ჯგუფური: კითხვა-პასუხი - ბავშვების აზრით რაში შეიძლება ფქვილის გამოყენება. პურის გამოცხობა. ცხრილის შედგენა: რომელ საკვებში შედის ფქვილი.

სამაგიდო თამაშების ცენტრი: ერთნაირი სახეობის პურის სურათების დახარისხება.

წიგნიერების ცენტრი: სიტყვის „პური“ მოძებნა წიგნებში, სიტყვის „პური“ გადახატვა. ლექსის „ჯეჯილი“ წაკითხვა

კუბურების ცენტრი: პურის მაღაზიის აშენება.

აღმოჩენების ცენტრი: პურის გამოშრობა ღუმელში და დაკვირვება რა მოსდის, სხვადასხვა სახეობის პურზე დაკვირვება (რუხი, შავი, თეთრი, თონის). საფუარიანი და საფუარის გარეშე მოზელილი ცომის შედარება, ასეთი ცომით გამომცხვარი პურის შედარება.

ხელოვნების ცენტრი: ხატვა - ფუნთუშის დიზაინი;

დრამატული თამაშების ცენტრი: დრამატული თამაში: პურის მაღაზიაში;

ფიზიკური აქტივობა: ცომის ზელვის იმიტაცია.

ეზო: ახლომდებარე მაღაზიაში გასვლა და პურისა და ფუნთუშების ყიდვა;

რესურსები: ფქვილი, მარილი, წყალი, საშუალო ზომის ჯამები, სურათები პურის გამოსახულებთ, საბავშვო წიგნები, სხვადასხვა ზომის კუბურები.

ქვეთემა 4: მაკარონის პროდუქტი

ჯგუფური: მაკარონის დამზადება (მარილიან ცომს ბავშვები სასურველ ფორმას აძლევენ და შემდეგ ახმობენ).

სამაგიდო თამაშების ცენტრი: სხვადასხვა ფორმის მაკარონის ასხმა თოკზე გარკვეული კანონზომიერების მიხედვით.

წიგნიერების ცენტრი: წიგნის დამზადება: ხორბლის გრძელი გზა.

კუბურების ცენტრი: მაკარონის ქარხნის აგება კუბურებით.

აღმოჩენების ცენტრი: მაკარონზე წყლის დასხმა და დაკვირვება, მაკარონის ცომში ფერების შერევა.

ხელოვნების ცენტრი: სხვადასხვა სახის მაკარონის კოლაჟის დამზადება; მაკარონის მოზაიკის დამზადება; მაკარონის ანაბეჭდების კოლაჟი.

დრამატული თამაშების ცენტრი: დრამატული თამაში - მაკარონის ქარხანა.

მუსიკა: მაკარონიჭამიების სიმღერის შეთხზვა, მაკარონის გამოყენებით მუსიკალური ინსტრუმენტის დამზადება.

ფიზიკური აქტივობა. ესტაფეტა მაკარონის ტომრებით.

რესურსები: მარილიანი ცომი, სხვადასხვა ფორმის მაკარონი, ტომრები, სასწორი და ა.შ.

ქვეთემა 5: სტუმრად პურის ქარხანაში, ან მაკარონის საწარმოში

- საწარმოში მიმდინარე პროცესებისთვის ფოტოების გადაღება.
- განვლილი კვირის შეჯამება:
  * დისკუსია - რა ვნახეთ საწარმოში?
  * რაში ვიყენებთ ფქვილს;
  * რომელ პროდუქტში შედის ფქვილი.

II თემა: სახლები

თემის ხანგრძლივობა - 5 დღე

თემის მიზნები:

- ბავშვები გაეცნობიან სხვადასხვა ხალხების საცხოვრებელ სახლებს, ასევე გამორჩეული და განსხვავებული არქიტექტურის ნიმუშებს.

- გაიგებენ, რა მასალისაგან მზადდება სახლები, რა დანიშნულება შეიძლება ჰქონდეთ მათ.

- გაიგებენ რა ელემენტებისაგან შედგება ნაგებობები, როგორ განსხვავდება ეს ელემენტები ერთმანეთისაგან.

- ბავშვები აღიქვამენ ხელოვნების ნაწარმოებს, გამოიყენებენ სხვადასხვა შემოქმედებითი უნარებს აზრების, გრძნობებისა და ცოდნის გამოსახატავად.

- ბავშვები მოახდენენ ყურადღების კონცენტრაციას მოცემულ ამოცანაზე და ეძიებენ პრობლემის გადაჭრის სხვადასხვა გზებს.

- ბავშვები შექმნიან საკუთარ პროექტებს და მათ მიხედვით დაამზადებენ სამგამზომილებიან მაკეტებს; მოაწყობენ მაკეტების გამოფენას და ისაუბრებენ მათ მიერ დამზადებულ ნაგებობებზე.

ქვეთემა I: სახლები

ჯგუფური აქტივობა: მასწავლებელი ასეირნებს ბავშვებს და დააკვირვებს სახლებზე, ყურადღებას გაამახვილებს მათ ფორმებზე, მასალაზე, ნაწილებზე, სართულების რაოდენობაზე: სახურავი, საკვამური, ფანჯარა, კარი, კიბე, საწვიმარი მილი, აივანი, მანსარდა; მაღალი, დაბალი, ოთხკუთხედი, კვადრატი, წრე, სამკუთხედი; აგური, ქვა, ლითონი, შუშა და ა.შ.

ერთად არკვევენ სახლების დანიშნულებას,გამოკითხავენ მაცხოვრებლებს ან მომუშავეებს, იღებენ ნებართვას და ათვალიერებენ ინტერიერებს სხვადასხვა ნაგებობებში.

ბავშვები აკეთებენ როგორც მთელი სახლების, ასევე მათი დეტალებისჩანახატებს,იღებენ ფოტოებს, იხატავენ აბრების წარწერებს.

ჯგუფში დაბრუნების შემდეგ ბავშვები დაათვალიერებენ არტეფაქტებს, ჩანახატებს, გამოფენენ მათ.

ქვეთემა II: სახლის ნაწილები

ჯგუფური: მასწავლებელი და ბავშვები საუბრობენ ექსკურსიის შთაბეჭდილებებზე, აღწერენ და ადარებენ წინა დღეს ნანახ სახლებს, გამოსახავენ დაფაზე სხვადასხვა ფორმის ნაწილებს. მასწავლებელი ხატავს ან აჩვენებს რაღაც ნაწილს (ფანჯარა, კარი, საკვამური, სახურავი),ხოლო ბავშვებმა რიგ-რიგობით უნდა გამოიცნონ და მიუხატონ შესაბამისი ფორმა: წრე, სამკუთხედი, ოთხკუთხედი და ა.შ.

მასწავლებელი აჩვენებს ბავშვებს სხვადასხვა სართულიანი სახლების ფოტოებს, ბავშვებმა ერთი შეხედვით უნდა გამოიცნონ, რამდენ სართულიანია სახლი, შემდეგ კი დაითვალონ და შეამოწმონ თავისი ვარაუდები.

სამაგიდო თამაშების ცენტრში ახარისხებენ ცალ-ცალკე: ფანჯრების, კარებების, ბუხრების, სახურავების ნახატებს ან ფოტოებს.

წიგნიერების ცენტრში ბავშვები წიგნებში ათვალიერებენ და პოულობენ სახლებს. ცდილობენ გადაიწერონ ჩახატული აბრები.

კუბურების ცენტრში ბავშვები აშენებენკუბურებით სხვადასხვა ფორმის სახლებს, ადარებენ მათ სიმაღლისა და ფორმის მიხედვით.

ხელოვნების ცენტრში ბავშვებს გადააქვთ ექსკურსიის დროს გაკეთებული ჩანახატები ერთ გრძელ ფორმატზე.

დრამატული თამაშების ცენტრში სკამების, მუყაოს ყუთებისა და ნაჭრების დახმარებით აგებენ სახლს სხვადასხვა ნაწილებით, თამაშობენ მშენებლობას და სახლობანას.

მუსიკა: ბავშვები სხვადასხვა სამშენებლო იარაღებით გამოსცენ ხმები და შექმნან სახლის შენების მუსიკა.

ფიზიკური აქტივობა: ბავშვები აკეთებენ ერთმანეთისთვის ქვების გადაწოდების იმიტაციას; მოძრაობენ მასწავლებლის შექმნილ სხვადასხვა მასალის კონსტრუქციებში, „სახლებში“ - ცდილობენ გაძვრნენ ძალიან დაბალ „სახლებში“ ან აძვრენ ძალიან მაღალ „სახლებზე“, გაიარონ საცალფეხო ბილიკებზე სახლიდან სახლამდე.

რესურსები: სახატავი დაფები, უბრალო ფანქრები, ფოტოაპარატი, კუბურები, წიგნები სახლების გამოსახულებებით, თაბახის ფურცლები, გრძელი ფორმის ფორმატი ან კედელზე გასაკრავი თეთრი შპალიერი, აგურის, ქვისა და ხის პატარა ნატეხები, პატარა ჩაქუჩი, ხის დაფები, რკინის კონტეინერი, სხვადასხვა ზომისა და გეომეტრიული ფორმის სახლების ფოტოები, დიდი ზომის ქსოვილები და სარეცხის სარჭები, სამშენებლო ქუდები და იარაღები.

ქვეთემა III : მშენებლობა და მასალები

ჯგუფური: მასწავლებელი ჯგუფში მიიტანს აგურს, ხის ნაჭერსა და ცოტა თივას. ინტერაქტიული მეთოდებით

უკითხავს ბავშვებს ზღაპარს „სამი გოჭი“. კითხვის განმავლობაში ყურადღებას ამახვილებს მასალაზე, და შესაბამის დროს გადააწოდებს ბავშვებს თივას, ხის ნაჭერს და აგურს დასათვალიერებლად. ბავშვებს შეუძლიათ შეეხონ,მოსინჯონ სიმძიმე და სიმყარე, უყნოსონ ამ განსხვავებულ მასალებს. მასწავლებელი ბავშვებს დაუსვამს ღია კითხვებს და სთხოვს აღწერონ, ერთმანეთს შეადარონ მასალა; გაიხსენონ, კიდევ რა მასალისგან აშენებული სახლები უნახავთ.

სამაგიდო თამაშების ცენტრი: ბავშვები წონიან სხვადასხვა მასალას და ჩაინიშნავენ, რომელია ყველაზე მძიმე. ააწყობენ მშენებლობის ფაზლს.

წიგნიერების ცენტრი: ბავშვები ათვალიერებენ ზღაპარს სამ გოჭზე, შეეცდებიან იპოვონ წიგნში სიტყვა „სახლი“ ნიმუშის მიხედვით.

კუბურების ცენტრი: მასწავლებელი შეიტანს სხვადასხვა მასალას: პატარა ზომის ქვებს, დაჭრილ ხის ტოტებს, ბალახს ან თივას, ქსოვილებს. ბავშვები თავისუფლად იმუშავებენ მასალით და შექმნიან კონსტრუქციებს.

აღმოცენების ცენტრი: აკვირდებიან აგურის, ქვის, ხის პატარა ნაწილებს, ცდილობენ დაფშვნან, გატეხონ პატარა ჩაქუჩებით; მასწავლებლის ზედამხედველობის ქვეშ რკინის კონტეინერში ცდილობენ დაწვან სხვადასხვა მასალები;იკვლევენ, რა მასალა იძირება და რა ტივტივებს წყლის კონტეინერში. ჩაინიშნავენ მონაცემებს მასალების თვისებების შესახებ.

ხელოვნების ცენტრი: ბავშვები ხატავენ თემაზე „მშენებლობა“.

დრამატული თამაშების ცენტრიში მასწავლებელს შეაქვს მშენებლობასთან დაკავშირებული მასალა: ქაფჩა, სათლები და ნიჩბები, ჩაფხუტი, სათამაშო საბავშვო ჩაქუჩი და ხერხი, ხის მასალა.

მუსიკა: ბავშვები მოუსმენენ რაიმე მშენებლობის ვიდეო ან აუდიო ჩანაწერს, დააკვირდებიან რა ხმები ისმის, აღწერენ ამ ხმებს და შეეცდებიან მიბაძონ სხვადასხვა ინსტრუმენტებით(დაირა, სალამური, მარაკასი და ა.შ.). შეეცდებიან შექმნან სახლის შენების მუსიკა.

ფიზიკური აქტივობა: ბავშვები აკეთებენ ერთმანეთისათვის ქვების გადაწოდების იმიტაციას რეალური უსაფრთხო საგნით (დიდი ზომის კუბურა), უროს დარტყმისა და ხერხვის იმიტაციას წყვილებში სინქრონული მოძრაობებით.

რესურსები: მშენებლობის ვიდეო ან აუდიო ჩანაწერი, ქაფჩა, სათლები და ნიჩბები, ჩაფხუტი, სათამაშო საბავშვო ჩაქუჩი, ხერხი, ხის მასალა, აგურის, ქვის, ხის პატარა ნაწილები, ზღაპარი სამი გოჭი, სამხატვრო მასალები, პატარა ზომის ქვები, დაჭრილი ხის ტოტები, ბალახი ან თივა, ქსოვილები, ფაზლი მშენებლობის გამოსახულებით, სასწორი.

ქვეთემა IV: ნაირ-ნაირი სახლები

ჯგუფური: მასწავლებელს მიაქვს ბავშვებთან წიგნები არქიტექტურაზე, სხვადასხვა ეპოქის, ქვეყნების საცხოვრებელი და სხვა დანიშნულების სახლების ფოტოები. ამახვილებს

ყურადღებას ნაგებობების ფუნქციაზე. ბავშვები ათვალიერებენ და აღწერენ სახლებს, მათ ფორმებს, მასალას, ფუნქციას. თითოეული ირჩევს მისთვის ყველაზე მოსაწონ სახლს და ყვება, თუ რა მოეწონა ამ სახლში ყველაზე მეტად.

სამაგიდო თამაშებშის ცენტრი: მასწავლებელი წინასწარ დაჭრის სხვადასხვა ტიპის სახლის ფოტოს საშუალო ზომის ნაჭრებად, ბავშვები ააწყობენ როგორც ფაზლს.

წიგნიერების ცენტრი: ბავშვები დაათვალიერებენ წიგნებს არქიტექტურაზე.

კუბურებშის ცენტრი: ბავშვები ირჩევენ რომელიმე ხალხის რაიმე ტიპის ნაგებობას და ეცდებიან ააწყონ კუბურებისა და სხვა მეორადი მასალების დახმარებით.

აღმოჩენების ცენტრი: ბავშვები აკვირდებიან სახლების ფოტოებს და ცდილობენ დაახარისხონ მსგავსების მიხედვით, მერე ახსნიან, რატომ ან რითი არის, მათი აზრით, ეს ნაგებობები მსგავსი.

ხელოვნების ცენტრი: ბავშვები სურვილის მიხედვით ხატავენ სხვადასხვა ტიპის სახლებს, ან აკეთებენ აპლიკაციას ქსოვილებისა და სხვა მასალის გამოყენებით.

დრამატული თამაშების ცენტრი: მასწავლებელი, ბავშვების ინტერესიდან გამომდინარე, წაახალისებს და დაეხმარება ბავშვებს მეორადი მასალით (ჯოხები, ქსოვილი, დიდი ყუთები) ააგონ რაიმე ტიპის სახლი: ინდიელების ვიგვამი, ესკიმოსებისიგლუ, ეგვიპტური პირამიდა, რომაული კოლიზეუმი ან სიდნეის ოპერა. არჩეულიდან გამომდინარე, შეიტანს შესაბამის ატრიბუტებს იმისათვის,რომ ბავშვებმა ითამაშონ.

მუსიკა: მასწავლებელი ასმენინებს ბავშვებს სხვადასხვა ქვეყნების ან დროის შესაბამის მუსიკას და უკავშირებს დათვალიერებულ ნაგებობებს.ბავშვები ცდილობენ მიბაძონ მელოდიას სიმღერით.

ფიზიკური აქტივობა: მასწავლებელი აჩვენებს ბავშვებს სხვადასხვა ქვეყნების ან დროის ცეკვის ვიდეოებს და უკავშირებს დათვალიერებულ ნაგებობებს. ბავშვები ცდილობენ მიბაძონ მოძრაობებს.

რესურსები: წიგნები არქიტექტურაზე, სახლების ფოტოები, კუბურები, მეორადი მასალა კონსტუირებისთვის - ჯოხები, ქსოვილი, დიდი ყუთები, სხვადასხვა ხალხების ცეკვის ვიდეოები.

ქვეთემა V: არქიტექტორი

ჯგუფური: მასწავლებელი სთხოვს ბავშვებს დახუჭონ თვალები და წარმოიდგინონ სახლი, რომელიც უნდათ რომ ააშენონ, შემდეგ კი სთხოვს აღწერონ ეს სახლი: როგორია? რამდენი სართული აქვს? როგორი ფანჯრები აქვს? ვინმე ცხოვრობს, მუშაობს, თუ გასართობი ადგილია? რა მასალითაა აშენებული? მასწავლებელისთხოვს ბავშვებს გაახილონ თვალები და დახატონ ის სახლი, რომელიც წარმოიდგინეს, შემდეგ კი ყველა ბავშვის განმარტებას მიაწერს მისი ნახატის კუთხეში. მასწავლებელიეტყვის ბავშვებს, რომ დღეს ისინი არქიტექტორები იყვნენ.

სამაგიდო თამაშებშის ცენტრი: მასწავლებელიწინასწარ გამოჭრის და დააწებებს ბარათებზე ერთნაირი არქიტეტურული დეტალების წყვილებს, მაგალითად, ორი ფანჯარა, ორი კარი, ორი სახურავი და სხვა. ბარათები იწყობა მაგიდაზე უკუღმა,ბავშვები რიგრიგობით ატრიალებენ ორ -ორ ბარათს, ვიდრე არ იპოვიან წყვილებს (მეხსიერების განმავითარებელი თამაში მემო).

წიგნიერების ცენტრი: ბავშვები სიტყვაში „არქიტექტორი“ იპოვნიან და შემოხაზავენ ერთნაირ ასოებს; დაათვალიერებენ წიგნებს არქიტექტურაზე.

აღმოჩენების ცენტრი: დაათვალიერებენ სხვადასხვა ნაგებობების პროექტების გეგმას, ჭრილს, ფასადს და შეადარებენ ერთმანეთს.

ხელოვნების ცენტრი: მასწავლებელს შეაქვს სხვადასხვა მასალა: მუყაო, საწრუპები, ფაფუკი ღერო, ფოლგა, ცელოფანი, ქსოვილები, მავთული, პლასტელინი. ბავშვები ცდილობენ დაამზადონ სახლები საკუთარი პროექტით.

დრამატული თამაშების ცენტრი: მასწავლებელი მოაწყობს არქიტექტორის სახელოსნოს და წაახალისებს ბავშვებს შეუკვეთონ არქიტექტორს სახლი, რომლის აშენებაც სურთ. არქიტექტორმა შეიძლება მიიღოს შეკვეთები, დასვას კითხვები, დახატოს და აღუწეროს დამკვეთს სახლი, დაუთვალოს ფასი, მისცეს რეკომენდაციები.

მუსიკა: მასწავლებლები ბავშვებთან ერთად გადააკეთებენ რაიმე ნაცნობი სიმღერის სიტყვებს ისეთნაირად, რომ გამოვიდეს სიმღერა არქიტექტორზე და დაისწავლიან მას.

ფიზიკური აქტივობა: ნებისმიერი მოძრავი თამაში.

გამოფენა: დღის ბოლოსთვის, მასწავლებლის დახმარებით, ბვშვები გამოფენენ დამზადებულ ნამუშევრებს და წარუდგენენ მშობლებს.

რესურსები: სახატავი ფანქრები და ფურცლები, მუყაო, საწრუპები, ფაფუკი ღერო, ფოლგა, ცელოფანი, ქსოვილები, მავთული, პლასტელინი, ნაგებობების პროექტები.

გამოყენებული ლიტერატურა:

- ბავშვის უფლებათა კონვენცია. 2007. http://unicef.ge/publikaciebi/114 (08.08.2014.)
- აფთარაშვილი ი. და სხვ. „საბავშვო ბაღის აღმზრდელის დამხმარე სახელმძღვანელო“. ეროვნული სასწავლო გეგმების და შეფასების ცენტრი. 2011.
- ბერძენიშვილი თ. და სხვ. „ადრეულ ასაკში სწავლისა და განვითარების სტანდარტები“. ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრი. თბილისი. 2010.
- ნიაური ნ. „სკოლამდელი ასაკის ბავშვთა შეფასების ფორმა“. ეროვნული სასწავლო გეგმების და შეფასების ცენტრი. 2011.
- უზნაძე, დ. „ბავშვის ფსიქოლოგია. სასკოლო ასაკის ფსიქოლოგია“. თბილისი. 2005.
- უზნაძე, დ. „შრომები“, ტ. V. თბილისი. 1967
- ჯაყელი თ., სლოვინსკი ე. „სკოლამდელი განათლების პროგრამა“. ეროვნული სასწავლო გეგმების და შეფასების ცენტრი. 2011.
- Выготский Л.С. „Вопросы детской психологии“. СПб. 1997.
- Крайг Г. „Психология развития“. СПб. 2000.
- Пиаже Ж. „Избранные психологические труды“. М. 1969.
- Abbas Pourhossein Gilakjani. Seyedeh Masoumeh Ahmadi. „The Effect of Visual, Auditory, and Kinaesthetic Learning Styles on Language Teaching“. International Conference on Social Science and Humanity. Singapore. 2011.
- Dettlaff, Alan J. „Understanding Learning Styles“. University of Washington School of Social Work. 2003.
- Dodge Diane Trister, Laura J.Colker and Cate Heroman. „The Creative Curriculum For Preschool“. Teaching Strategies. 2002.
- Helm Judy Harris , Lilian G. Katz. Young Investigators. „The Project Approach in The Early Years“. Teachers College, Columbia University. 2001.
- Keith S. Taber. „Constructivism as Aducational Theory: Contingency in Learning and Optimally Guided Instruction”. Nova Science Publishers. 2011.
- Young,C. „Entertaining and Educating Young Children“. Usborn Publishing. 2008.

საგანმანათლებლო საზოგადოება „ედუკატორი“

SPOŁECZNO-OŚWIATOWE STOWARZYSZENIE POMOCY POKRZYWDZONYM I NIEPEŁNOSPRAWNYM "EDUKATOR" W ŁOMŻY

ul. Wojska Polskiego 29A, 18-400 Łomża Polska
www.sosedukator.pl

საგანმანათლებლო საზოგადოება „ედუკატორი“ დაფუძნდა 1999 წელს პოლონეთში, ქალაქ ლომჟაში. ორგანიზაცია შეიქმნა ადამიანთა ჯგუფის შინაგანი მოთხოვნილების შედეგად - იმოქმედონ და საკუთარი პროპესიონალიზმი მოახმარონ საზოგადოების დახმარებას. მცირე სკოლების ლიკვიდაციის პროცესი, რომელიც წამოიწყო სხვადასხვა დონის ადგილობრივმა თვითმმართველობებმა, გააჩინა უამრავი დაზარალებული, რომლებიც ეძებდნენ დახმარებას და გადარჩენის გზებს. 2000 წელი განსაკუთრებით მძიმე იყო პატარა სკოლებისათვის. ეკონომიკური მიზეზების გამო გმინებმა მასიურად დაიწყეს მათი ლიკვიდაცია საზოგადოებრივ-კულტურული ვითარებისა და სასოფლო ტერიტორიების მაცხოვრებელთა აზრის გათვალისწინების გარეშე. 2000 წლის 1 სექტემბრიდან „ედუკატორს“ სამართავად გადაეცა 2 სოფლის სკოლა.

დღეს, 15 წლის მუშაობის შემდეგ, „ედუკატორი“ არის პოლონეთში ერთადერთი ორგანიზაცია, რომელიც კურირებს სოფლის სკოლებს არა ლოკალურად, არამედ დიდ ტერიტორიაზე, ხშირად ძალიან შორს ორგანიზაციის ოფისიდან. "ედუკატორი" კურირებს 40 სკოლას, ორ საბავშვო ბაღს, და სკოლამდელი განათლების 20 ალტერნატიულ ჯგუფს, რომლებიც განლაგებულია 4 რეგიონის ტერიტორიაზე.

ორგანიზაცია „ედუკატორის“ მუშაობის ერთ-ერთ მნიშვნელოვან მიმართულებას წარმოადგენს ალტერნატიული სკოლამდელი განათლება. სკოლამდელი ასაკის ბავშვებისათვის საგანმანათლებლო მომსახურების კომერციალიზაციისადმი წინააღმდეგობის გაწევა, სოფლის ბავშვების საგანმანათლებლო შანსების გათანაბრება. ყველა სკოლაში, რომელსაც კურირებს „ედუკატორი“, 2004 წლიდან მუშაობს სკოლამდელი განათლების სხვადასხვა ტიპის ჯგუფები, რომლებიც ემსახურება 3-დან 5 წლამდე სოფლის ბავშვებს.

საზოგადოება „ედუკატორს“ აქვს მასწავლებლებთან მუშაობის დიდი გამოცდილება, მათ შორის, რუსეთში, უკრაინაში და საქართველოში. "ედუკატორი" მასწავლებლებთან ერთად ცდილობს ჩართოს ახალგაზრდები სამოქალაქო საზოგადოების მშენებლობის პროცესში.

საზოგადოება „ედუკატორი“ მჭიდროდ თანამშრომლობს ადგილობრივ თვითმმართველობებთან და არასამთავრობო ორგანიზაციებთან როგორც პოლონეში, ასევე მის საზღვრებს გარეთ.

ამჟამად „ედუკატორი“ არის ერთ-ერთი ყველაზე დიდი საზოგადოებრივი ორგანიზაცია პოლონეთში, რომელიც მუშაობს განათლებისა და სკოლამდელი განათლების სფეროში და ადგილობრივი საზოგადოების აქტივიზაციისათვის.

საერთაშორისო ასოციაცია „კივიტას გეორგიკა“

97 Tsinamdzgvrishvili Street, Tbilisi, 0164, Georgia
www.civitas.ge

საერთაშორისო ასოციაცია „კივიტას გეორგიკა“ 1996 წელს დაფუძნდა იმ ადამიანების მიერ, რომელთაც სწამთ, რომ საქართველო ევროპულ ფასეულობათა ქვეყანაა. ჩვენი მიზანია ხელი შევუწყოთ საქართველოში დემოკრატიული და ეფექტური თვითმმართველობის და სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბებას, დემოკრატიულ რეფორმებს და გადაწყვეტილების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობის დონის ამაღლებას.

ორგანიზაციის საქმიანობის მთავარი სამიზნე ჯგუფები/ბენეფიციარებია ადგილობრივი თვითმმართველობები, ეთნიკური უმცირესობები და მარგინალიზებული ჯგუფები (იძულებით გადაადგილებული, სოციალურად დაუცველი ჯგუფები), ახალგაზრდები და ბავშვები, რეგიონალური ორგანიზაციები.

ჩვენ გვწამს, რომ ადგილობრივი დემოკრატიის აშენება და სამოქალაქო საზოგადოების ფორმირება შეუძლებელია იმ ადამიანთა აქტიური მონაწოლეობის გარეშე, რომლებიც მზად არიან საკუთარი პიროვნული და პროფესიული წვლილი შეიტანონ საზოგადოების განვითარებაში. ამიტომაც ავირჩიეთ დევიზად „თანამშრომლობა განვითარებისათვის“.

საქართველოში ღია, ეფექტური და დემოკრატიული მმართველობის სისტემის ჩამოყალიბება, გადაწყვეტილებების მიღებაში საზოგადოების კომპეტენტური თანამონაწილეობის ზრდა, ადგილობრივი თემის გაძლიერება და მდგრადი განვითრება - ეს ის მიზნებია, რომლის ხელშეწყობაშიც ხედავს თავის მისიას კივიტას გეორგიკა.

განსაკუთრებულ ყურადღებას კივიტას გეორგიკა სასოფლო ტერიტორიების განვითარებას უთმობს. ისეთი საკითხები, როგორიცაა სკოლამდელი განათლება, სასკოლო დებატები, ბუნებრივი კატასტროფებისთვის მზაობა და ზიანის შემცირება ჩვენი ორგანიზაციის ინტერესის სფეროშია.

„კივიტასგეირგიკას“უკვეგანხორციელებულიაქვს50-ზემეტი დიდი და მცირე პროექტი, რომელთა უშუალო ბენეფიციართა რიცხვი 250 000-ზე მეტია.

„კივიტას გეორგიკა“ არის რამდენიმე ქსელის წევრი: ENTO - ტრენინგ ორგანიზაციათა ევროპული ქსელი, CEE CN - ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის სამოქალაქო ქსელი. კივიტას გეორგიკას განხორციელებული აქვს ან ამჟამად ახორციელებს ერთობლივ პროექტებს პარტნიორებთან ჩეხეთიდან, რუმინეთიდან, უნგრეთიდან, სლოვაკეთიდან, უკრაინიდან და პოლონეთიდან.

The Project is co-financed by the Polish development cooperation programme of the Ministry of Foreign Affairs of the Republic of Poland.

The program of school readiness Basco was created in the framework of the project "School Readiness Groups in Georgia". It is based on the national aims and objectives of preschool education and early learning and development standards approved by the Ministry for Education and Science of Georgia.

While working with children of older pre-school age, priority is often given to development of so called academic skills, such as writing, reading, and math. But besides these, it is also very important for their future success and self-realization at school (and in life in general) to have well developed social skills, to enjoy learning, to be self-assured and creative. Opposed to the so called tendency of "academization" of pre-school education, Basco presents holistic approach to development and education of children. The program involves development of skills and knowledge in a natural way, through more interesting and enjoyable activities. So called "school" skills are just one particular result of holistic development. Basco focuses main attention on the favorite activity of children – game – and introduces it as a main way of learning.

Basco consists of several parts – main principles of working with children, methodology, results to be achieved and practical examples. The book contains the instrument for assessment, specially created for this program and providing possibility to evaluate the progress of child development and level of school readiness.

The Basco program is aimed to teachers of older groups of pre-school establishments, though it can be interesting and useful also for teachers of other age groups, as well as parents, other family members and any persons working with children of pre-school age.

The publication expresses exclusively the views of the author and cannot be identified with the official stance of the Ministry of Foreign Affairs of the Republic of Poland.

EDUKATOR

polska pomoc

Civitas GEORGICA